K 155329
3

ვლადიმერ ჭიაურელი

თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლები

ნაკაფული

ვლადიმერ ციბუტი

თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლები

ნაკაიდული თბილისი · 1974

K 155323

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВГ 2
899.9621.09—93
ჯ 422

კრიტიკოს ვლადიმერ ჯიბუტის ეს წიგნი მოგვითხრობს უფროსი თაობის იმ მოამაგე მწერლებზე, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის შექმნასა და განვითარებაში. ნინო ნაკაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ანა ხახუტაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მარიამ ალექსიძე, (მარიჯანი), ილია სიხარულიძე, გიორგი ნახუცრიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი — აი, ის მწერლები, რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებას მიმოიხილავს ავტორი.

წიგნში განხილულია აგრეთვე რამდენიმე სხვა ქართველი საბჭოთა პოეტის საბავშვო ნაწარმოებები.

© „ნაკადული“ 1974

სპეგ-2000
შემოწმებულია

7—6—3
141—74

М—603

912
1942-35

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამეროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნინო ნაკაშიძემ სამწერლო მოღვაწეობა XX საუკუნის დამდეგს დაიწყო. 1903 წელს ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ძიძა“. ამის შემდეგ გამოქვეყნდა მოთხრობები: „შობა“, „დამნაშავე“, „მოვალეობა“, „გურიის სოფელში“, ოთხმოქმედებიანი პიესა „ვინ არის დამნაშავე?“; ეს პიესა ქართულ ლიტერატურაში სოციალური დრამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

„ჩემი ლიტერატურული მუშაობის დასაწყისში,—გადმოგვცემს ნ. ნაკაშიძე,—მე ვწერდი მოზრდილთათვის. ნაწარმოებებში, რომლებიც გამოვაქვეყნე იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად ედო კერძო საკუთრება, ვცდილობდი ხალხისათვის დამენახვებინა, რომ ადამიანი ამ საკუთრებაზე უფრო ძვირფასია, რომ საკუთრების სიყვარული ღუპავს ადამიანს, ამახინჯებს მის სულსა და გულს, ღუპავს და ამახინჯებს საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებას“. მწერლის ამ მოსაზრების სრულყოფილი გამოხატულება, მისი მხატვრული დასაბუთება არის ზემოთ დასახელებული მოთხრობები, რომლებსაც თავის დროზე დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ ნ. ნაკაშიძის ლიტერატურული ღვაწლი მარტო ამით როდი ამოიწურება. მის კალამს ღრმა შინაარსის შემცველი ბევრი საბავშვო მოთხრობა ეკუთვნის. ეგი თავიდანვე დაინტერესებული იყო ბავშვის აღზრდის საკითხებით, საბავშვო ლიტერატურის პრობლემებით. ამით აიხსნება ნ. ნაკაშიძის შემოქმედებითი თემატიკის მრავალფეროვნება და ის დი-

დი ინტერესი, რომელსაც ნორჩი მკითხველი მწერალი ქალის ნაწარმოებების მიმართ იჩენს.

ნინო ნაკაშიძე დაიბადა 1872 წლის 1 იანვარს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. „მამაჩემი იოსებ ანთაძე,—გადმოგვცემს ნ. ნაკაშიძე,—დაუზარებელი მუშა იყო. დილით ალიონზე დგებოდა ხოლმე და მთელი დღე შეუსვენებლივ მუშაობდა, მხოლოდ საუზმისა და სადილისათვის თუ შემოვიდოდა სახლში. გამრჯესა და შრომისმოყვარეს, ჭკუასაკითხავი კაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული და სოფელში საერთო პატივისცემით სარგებლობდა“.

იოსებმა ნინოს ბავშვობიდანვე შეაყვარა შრომა, ხოლო კეთილმა და სათნო დედამ, ელისაბედმა—წიგნი და სწავლა. 1884 წელს ნ. ნაკაშიძე ოზურგეთის ორკლასიან სასწავლებელს ამთავრებს, 1892 წელს კი —თბილისის საბებიო ინსტიტუტს. 1894 წელს ნ. ნაკაშიძე მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში. 1898 წელს მას მოსკოვში ვხედავთ. სწორედ ამ წელს გაიცნო მან გენიალური რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომლის ახლო მეგობარი იყო მისი მეუღლე ილია ნაკაშიძე. 1899 წელს ნ. ნაკაშიძე რუსეთში მიღებული ღრმა შთაბეჭდილებებით გამდიდრებული ბრუნდება სამშობლოში და საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ებმება.

1904 წელს დაარსდა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“. ნ. ნაკაშიძე ხდება ამ ჟურნალის აქტიური თანამშრომელი, 1910 წელს კი—მისი რედაქტორი. ამ გარემოებამ ნ. ნაკაშიძე უფრო დააახლოვა საბავშვო მწერლობასთან და სულ მალე საბავშვო მოთხრობებმა მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი დაიკავა.

ნინო ნაკაშიძის პირველი საბავშვო მოთხრობა „საწყალი ლევანი“ დაიბეჭდა 1908 წელს. ამ ნაწარმოებში კიდევ უფრო ნათლად გამომჟღავნდა მისი უსაზღვრო სიძულვილი თვითმპყრობელური სინამდვილის მიმართ. მოთხრობის მთავარი გმირი, ვისაც ასე თანაუგრძნობს მწერალი, ობოლი ბიჭია; იგი უსიხარულო ცხოვრებამ, შიმშილ-წყურვილმა, დაცინვამ და აბუჩად აგდებამ სულით ავადმყოფთა თავშესაფრამდე მიიყვანა. შავბნელი ცხოვრებისაგან წამებული ბავშვი

აქ უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე გარეთ: „გასუფთავდა, წყლულები არა აქვს, გაიზარდა და გამხიარულდა; შეშლილებმა შეუმსუბუქეს ცხოვრება საბრალო ბიჭს, მაგრამ ვერ გამოასწორეს გონიერი ადამიანებისაგან დამახინჯებული იმისი სულიერი მდგომარეობა". ძნელია წარმოვიდგინოთ ამაზე სასტიკი განაჩენი იმ წყობილებისა და საზოგადოებისადმი, რომლის მსხვერპლიც გახდა ერთ დროს სწავლასა და შრომას მოწყურებული პატარა ბიჭი ლევანი.

ნ. ნაკაშიძის იმდროინდელი საბავშვო ნაწარმოებები მძაფრ კონტრასტებზეა აგებული და ეს სავსებით გასაგებია, რადგან მაშინ თავად ცხოვრება იყო უაღრესად კონტრასტული, და მწერალს არ შეეძლო ეღალატნა რეალისტური ლიტერატურის მაღალი პრინციპებისათვის.

ცხოვრების სხვადასხვა პირობებში იზრდებოდნენ მათია და ნიკო („მათია და ნიკო"). პირველის ქოხში შიმშილსა და გაჭირვებას დაესადგურებინა, მეორეს კი ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრება არგუნა ბედმა. მწერალს ამ გარემოებისათვის ხაზგასმა იმდენად სჭირდება, რამდენადაც მასში მჟღავნდება მოთხრობის გმირების ავკარგი, ხასიათი, ფიზიკური და სულიერი თვისებები.

მათია ფეხშიშველი დატანტალებდა, მაგრამ არასოდეს ავად არ გამხდარა, ფიზიკურად გაცილებით უფრო ჯანსაღი იყო, ვიდრე ნიკო, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა არ იცოდა, რა იყო სიტიტვლე და სიცივე. მათია ლაღი ბუნების წიაღში დანავარდობდა, ბავშვებში ერთობოდა და დედასაც ეხმარებოდა ოჯახში. ნიკო კი, მარტოდმარტო ოთახში გამოკეტილი, ტოლ-ბიჭებს ჩამოცილებული იყო, მას მშობლებისაგან აკრძალული ჰქონდა გლეხის ბიჭებთან თამაში და სიახლოვე.

ნიკოს მამამ ერთხელ მათია სახლიდან გააგდო და ქუჩის მაწანწალა უწოდა, ხოლო თავისი შვილი ნიკო სასტიკად დატუქსა იმის გამო, რომ მრეცხავის ბიჭს თავი გაუყადრა. ნიკოს მამის სახით მწერალი გვიხატავს გონებაშეზღუდულ, ტლანქ და პირქუშ ადამიანს, უსულგულო მშობელს, რომელმაც საკუთარ შვილში ჩაჰკლა წმინდა ბავშვური გრძნობები და სიხალისე.

მდიდარი ოჯახის შვილია ლეოც („ორი დედოფალა"). მასაც ისე ანებივრებდნენ, როგორც ნიკოს. იმ დიდმა „ზრუნვამ", რომელსაც მისდამი იჩენენ შინაურები, იგი ეგინიანი და ეგოისტი გახადა. ლეო ჯერ პატარა ბიჭია, მაგრამ მას უკვე საკუთარი მოთხოვნილებები აქვს. იმდენად არის გათავხედებული, რომ არაფერს და არავის ანგარიშს არ უწევს. რაც არ მოეწონება, ამსხვრევს და ამტვრევს.

არც პატარა თინას („პასუხად პატარა მეხრეს") აღზრდა მიმდინარეობს ნორმალურად, მას სასტიკად უკრძალავენ ღარიბ მაგდანასთან დაახლოებას.

მაღალი წრის ქალბატონის რწმენით, თინასა და მაგდანას მეგობრობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა არისტოკრატიული ოჯახის ღირსების შელახვას, მის უპატივცემლობასა და შეურაცხყოფას. მისი აზრით, რა უნდა ისწავლოს და გადმოიღოს მაგდანასაგან თინამ, თუ არა სიტლანქე და მდაბიური, უზრდელი ლაპარაკი? ნინო ნაკაშიძე მწარედ დასცინის ასეთ მშობლებს, დაუზოგავად კიცხავს მათ.

ნ. ნაკაშიძის რევოლუციამდელ საბავშვო მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ მოქმედ პირთა ორ ჯგუფს. ერთნი არიან მდიდართა შვილები, ცხოვრების მიერ განებივრებული ბავშვები, მეორენი— ღარიბ-ღატაკთა ოჯახის წარმომადგენლები. მწერალი მათ შორის განსხვავებას ხედავს არა მარტო მდგომარეობის, ცხოვრების პირობების, არამედ ხასიათისა და ადამიანური თვისებების მხრივაც.

მათია, დათიკო, მაგდანა, ეკა კეთილი და სათნო, გულმართალი ბავშვები არიან, მათში თავმოყრილია ყოველივე კარგი, რაც კი ბუნებას, მშრომელ ხალხსა აქვს მომადლებული. რაც შეეხება ნიკოს, ლეოს, რუსიას, ისინი ისეთ ატმოსფეროში იზრდებიან, რომ ვერაფერს იძენენ პატივმოყვარეობის, ეგოიზმის, უზნეობის, მედიდურობის გარდა.

მწერალი ბრალს სდებს ბურჟუაზიული საზოგადოების აღზრდის მთელ სისტემას, დიდი მხატვრული სიმართლით ამხელს და ამჟღავნებს ამ საზოგადოების შინაგან სიმახინჯესა და სიდამპლეს. მას გარდუვალად მიაჩნია მტაცებლურ მორალსა და საშინელ ეგოიზმზე დამყარებული წყობილების დაღუპ-

ვა. ასეთი გაბედული ნაწარმოებების შექმნისა და რევოლუციური მოღვაწეობის გამო ნ. ნაკაშიძე ორჯერ იყო გადასახლებული, მაგრამ სულიერად იგი არასოდეს არ დაცემულა, მის ნაწარმოებებში სევდისა და უიმედობის განწყობილება არასოდეს არ შეჭრილა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ნ. ნაკაშიძე აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში. 1921 წელს ნ. ნაკაშიძე დაინიშნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სოციალისტური აღზრდის მთავარი სამმართველოს სამხატვრო-სალიტერატურო სექტორის გამგედ. ამავე წელს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა პირველი ქართული საბავშვო თეატრი, 1925 წელს კი — პირველი საბჭოთა საბავშვო ჟურნალი „წითელი სხივი", რომელსაც 1926 წელს „პიონერი" ეწოდა.

1948 წლის 16 თებერვალს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ნ. ნაკაშიძის დაბადების 75 წლისთავი (1962 წლის 20 თებერვალს კი —90 წლისთავი), ერთხმად აღიარა მისი ამაგი და ღვაწლი ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის წინაშე. ნ. ნაკაშიძე თავის საპასუხო სიტყვაში მოკრძალებულად და თავმდაბლად ამბობდა: „რა ბევრის გაკეთება მინდოდა... და რა ცოტა გავაკეთე! სამაგიეროდ, რა დიდ სიხარულს მანიჭებდა მე ჩემი შრომა, რა სიხარული იყო ჩემთვის, როდესაც ვგრძნობდი, რომ ჩემი სიტყვები აღწევდა ჩემი მკითხველის გულს...

ერთი დიადი აზრი აძლევს კმაყოფილებას ჩვენი დროის მწერალს, ის აზრი, რომ ჩვენ მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან ერთად ვაშენებთ კაცობრიობის მომავალს. ჭექა-ქუხილში და ქარიშხალში იბადება ახალი ცხოვრება... მაგრამ ამავე დროს მშვენიერია დღევანდელი დღე და ბედნიერია მწერალი, რომელიც ცხოვრობს და ქმნის ამ ეპოქაში".

ეს სტრიქონები მხცოვანი მწერლის გულის სიღრმიდან არის ამოსული და გამოხატავს ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლოსადმი უმხურვალესსა და უწრფელეს სიყვარულს.

ნ. ნაკაშიძის მრავალმხრივი ნაყოფიერი შრომა, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საბჭოთა მთავ-

რობამ ჯეროვნად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

* * *

ნ. ნაკაშიძე, რომელიც პირველი ორი ათეული წლის მანძილზე მედგრად იბრძოდა სოციალური ჩაგვრისა და უკუღმართობის წინააღმდეგ, ახალ თემებზე დაწერილ თავის ნაწარმოებებში ჩვენი ბავშვების ცხოვრების ნათელ სურათებს ხატავს. თუ წინათ არსებული სინამდვილის გამოსახატავად მწერალი ქალი მუქ საღებავებს მიმართავდა, ახლა იგი ცოცხალი და ნათელი ფერებით ამკობს ბედნიერი და სიცოცხლით აღსავსე საბჭოთა ბავშვების ტიპიურ სახეებს.

დაკვირვებული და გამოცდილი მწერალი მხატვრულ სიტყვას ბავშვის აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი აღვიძებს ჩვენს ბავშვებში პატრიოტულ და კეთილშობილურ გრძნობებს, ნერგავს საუკეთესო ჩვევებს, გმობს ცუდ საქციელს და მათ უმნიშვნელო შეცდომასაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ. ალეკო („შეხვედრა მწერალთან") კარგი ბავშვია, იგი ბევრი დადებითი თვისებითაა აღჭურვილი. მწერალს უყვარს თავისი პატარა გმირი, მაგრამ ერთხელ მან უფროსის წინაშე ვერ გამოიჩინა თავაზიანობა და ეს ვერ უპატიებია მისთვის. ვისაც ეს მოთხრობა წაუკითხავს, მან კარგად იცის, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ალეკო ტრამვაის ვაგონში, როცა სკამი არ დაუთმო მასზე უფროსს, რომელიც შემდეგ პოეტი გიორგი ქუჩიშვილი აღმოჩნდა. ალეკოს კი სწორედ ამ პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი უნდა წაეკითხა იმ საღამოზე...

„იცი, ალეკო, ზოგი შემთხვევა ისეთია, რომ მთელ სიცოცხლეში არ დაგავიწყდება და გაკვეთილად დაგრჩება. ადამიანი უნდა ცდილობდეს ყოველთვის იყოს თავაზიანი",— ეუბნება მწერალი ალეკოს. მეტად ღრმა აზრია ჩაქსოვილი ამ პატარა მოთხრობაში, ხოლო მისი ქვეტექსტი შორს სცილდება საბავშვო მოთხრობის ჩარჩოს, იგი ღრმად დააფიქრებს არა მარტო პატარებს, არამედ მოზრდილთაც. სწო-

რედ ამაში მდგომარეობს ნაწარმოების ზემოქმედების ძალაც.

ნ. ნაკაშიძისათვის დამახასიათებელი, ყველასათვის გასაგები ენითა და ნათელი განწყობილებითაა დაწერილი პატარა მოთხრობა „ყველამ მიულოცა“. იგი საინტერესოა არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ მხატვრული ასახვის თავისებური ფორმითაც.

მასწავლებელი ელენე პედაგოგიურ სარბიელზე ოცდაათი წლის უმწიკვლო შრომისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ეს დიდი და სასიხარულო მოვლენა იყო მის ცხოვრებაში. აი, ახლაც, უკვე ჭაღარაშერეული მასწავლებელი ზის თავის ოთახში მაგიდასთან და საყვარელი მოწაფეების რვეულებს ასწორებს: „ჯერ დახედავდა ყდას, ამოიკითხავდა სახელსა და გვარს, მერე გადაშლიდა და გაღიმებული აქნევდა თავს.

—თინა, ჰაი, ის კუდრაჭა! რა კარგად დაუწერია! ნინო ლიაძე... იმას უყურე, რა საოცარი ბავშვია... სოფიო, ერთი შეხედეთ, რა ლამაზი წერა იცის ამ ცელქმა! ლამარა, ლამარა, დახეთ ერთი, როგორ გაუუმჯობესებია ხელი, როგორ ცდილობს, რა ყოჩაღია“...

ასეთი სასიხარულო და დამატკბობელი შრომით იყო გართული ელენე, კარზე კაკუნი რომ მოესმა. კარი გააღო და ოცდაათი ბავშვი, თეთრი წინსაფრებითა და ბაფთებით მორთულნი, მერცხლებივით შემოცქრიალდნენ მასწავლებლის ოთახში და თან შემოიტანეს სიცოცხლე და სიხალისე ასე უზომოდ რომ უყვარდა ელენეს. ხელში ყველას წითელი ყვავილი ეჭირა. ბავშვები რიგრიგობით შემოეხვივნენ მასწავლებელს ყელზე და უმაღლესი ჯილდო მიულოცეს. ძნელია ამ სურათისა და ელენე მასწავლებლის მღელვარების გადმოცემა. ვიტყვით მხოლოდ, რომ აქ,ამ პატარა სურათში საოცარი ბუნებრიობითაა გადმოცემული ჩვენი ბავშვების მდიდარი შინაგანი სამყარო, მათი უკეთილშობილესი გრძნობები, რომელთა გაღრმავებასაც ემსახურება ეს ნაწარმოები.

ნინო ნაკაშიძე თავის მოთხრობებში ეხება ბავშვთა აღზრდის მრავალ საჭირბოროტო საკითხს. და ეს საკითხები ყოველთვის გადაჭრილია არა მშრალად, დიდაქტიკურად, არამედ

შემოქმედებითად, ცხოვრებისეული სიმართლის ღრმა გაგებისა და გადმოცემის საფუძველზე.

მწერალი უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს უფროსებს ბავშვის აღზრდისა და მეთვალყურეობის საქმეში. როცა ეს პასუხისმგებლობა შენელებულია, შეიძლება ისეთ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, როგორც, მაგალითად, ლეოს პაპა. მას დიდ ქალაქში დაეკარგა შვილიშვილი და მერე აღარ იცოდა, რა ექნა. ყველაფერი ეს თუმცა უხიფათოდ დამთავრდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა პატარა ლეოსათვის საბედისწერო გამხდარიყო მისდამი გამოჩენილი უპასუხისმგებლობა? მწერალს ერთი კონკრეტული აზბავი,—ლეოსა და შემდეგ რუსიკოს ეზოში მარტო მიტოვება, შემდეგ კი ქუჩაში მათი ხეტიალი—გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ მშობლებს მოაგონოს, თუ რამდენად საშიშია თვითდამშვიდება, როცა საქმე ეხება ბავშვზე ზრუნვას, როცა დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ვიჩენთ.

მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო თემაზეა დაწერილი „როგორი ბიჭი იყო თომა". აქ ის აზრია გატარებული, რომ ბავშვზე უნდა ზრუნავდეს, მისდამი მეთვალყურეობას უნდა იჩენდეს უკლებლივ ყველა, მთელი საზოგადოება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ მთავარია, ჩემი ბავშვი იყოს წესიერი და ნაკლებად საინტერესოა ის, თუ როგორი იქნება სხვისი შვილიო. მწერალმა დაგმო პატარა თომასადმი მეზობლების გულგრილი დამოკიდებულება და გვიჩვენა, რომ ბავშვი ბუნებით როდი იბადება უარყოფითი თვისებების მატარებელი, რომ მას ოჯახი, სკოლა, საზოგადოება ზრდის და ქმედით გავლენასაც ახდენს მასზე. არა კმარა მარტო უარყოფითი თვისებების მქონე ბავშვის განსჯა—გაკიცხვა, საჭიროა მასში დავინახოთ კარგი მხარეებიც, ჩავჭიდოთ მათ ხელი, დავაყენოთ ბავშვი სწორ გზაზე, ეს ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა, აქეთკენ მოგვიწოდებს ნ. ნაკაშიძე ამ მოთხრობაში, სადაც ყველაფერი ისეა მოფიქრებულ-გააზრებული, რომ თქვენთვის ნათელი ხდება, თუ რა დიდი მოვალეობა აკისრია საზოგადოებას ბავშვის აღზრდაში.

სამამულო ომში ნ. ნაკაშიძემ ცხოველი მონაწილეობა მიი-

ღო თავისი ბასრი კალმით, ამაღელვებელი და უაღრესად პატრიოტული მოთხრობებით, რომლებშიც მწერალი მოგვითხრობს ფაშისტების ბარბაროსობაზე, მათ აღმაშფოთებელ მოქმედებაზე. ჩვენ აქ განსაკუთრებით გამოვყოფთ „არიშკას“, რომელშიც განცდილი და აღბეჭდილია ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა. არიშკას სოფელი ფაშისტებმა დაარბიეს. გოგონამ თავისიანები დაკარგა და შემთხვევით საქართველოში მოხვდა. აქ იგი ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. თავის ტოლებს შეეჩვია და შემდეგ მათთან დაცილება უძნელდება. პატარა არიშკასა და მისი ტოლი ბიჭიკოს მეგობრობა იმდენად ძლიერი და სათუთი აღმოჩნდა, რომ როცა არიშკას მშობლებმა მოაგნეს და სამშობლოში მისი დაბრუნების წამი დადგა, მან ღრმად განიცადა ეს ამბავი. ცხადია არიშკა გაჰყვა პაპას თავის საყვარელ უკრაინაში, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი. მთავარია თვით ფაქტი იმ დიადი მეგობრული ატმოსფეროსი, რომელშიც იზრდებიან ჩვენი ბავშვები. მწერალი ხაზს უსვამს ამ ატმოსფეროს, როგორც დიადსა და საამაყო მოვლენას, რომლის განვითარება-გაღრმავებასაც ემსახურება ჩვენი მწერლობა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დიდი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული მწერალი ქალი აქვეყნებს მოთხრობას „ახალი წლის დილა“, სადაც ასახავს ჩვენი მოზარდების ომისშემდგომ ცხოვრებას. პატარა ანდუყაფარის მიერ შესრულებული სურათი „თბილისის ზღვა“ იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად აინტერესებს ბავშვს ყველაფერი ის, რაც მის ირგვლივ ხდება. სწორედ ამიტომ ბავშვს გაბედულად, მაგრამ მისთვის გასაგებად უნდა ვესაუბროთ ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ადგილზე გავაცნოთ ყველა ღირსშესანიშნავი მშენებლობა. ადგილზე მისვლა, ექსკურსია, როგორც თვალსაჩინოების საშუალება, დიდად უწყობს ხელს ბავშვის გონების განვითარებას, მისი შემეცნებითი უნარის გაძლიერებას.

ამიტომ ვამბობთ, რომ საბავშვო მწერალს მოეთხოვება არა მარტო იდეური სიმახვილე, მხატვრული დამაჯერებლობა, არამედ მახვილი პედაგოგიური ალღოც და დიდი დაკვირვების უნარიც. ნ. ნაკაშიძეს ყოველივე იმთავითვე კარგად ჰქონდა შეგნებული. იგი ღრმად და საფუძვლიანად სწავლობდა გამო-

ჩენილი ქართველი და რუსი პედაგოგების თხზულებებს, რაც ნათლად ჩანს, კერძოდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ მის ნაწარმოებებში.

მოთხრობებში „კახაბერი“, „დევიკოსა და თემურის თავგადასავალი“, „ზურიკო და პაპა“, „ქეთო და ბეკეკა“, თქვენ ხედავთ, თუ რაოდენ დაკვირვებით არჩევს მწერალი პატარებისათვის შესაფერ მასალას, ითვალისწინებს მათს ასაკსა და გონებრივ ჰორიზონტს. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი მისი მოთხრობები მოკლე და შინაარსიანია, მათში ისე სხარტად არის აღწერილი ყველა საგანი, რომ ბავშვს იზიდავს და აძლიერებს მის ინტერესს სამყაროს კიდევ უფრო ფართო შეცნობისადმი.

ერთი სიტყვით, ყველა ზემოთჩამოთვლილი მოთხრობა, იქნება ეს „კახაბერი“ თუ სხვა, გარკვეულ მორალურ პრინციპს ემყარება. თითოეული მათგანი ბავშვს უკარნახებს თავაზიანად მოიქცეს, უნერგავს სწავლისა და შრომის ჩვევებს, უღვიძებს კეთილშობილურ გრძნობებს, ხელს უწყობს მათ სრულყოფილ ადამიანებად აღზრდის დიდ საქმეს. მაგრამ რა მშვენიერი და დიდებულიც არ უნდა იყოს მწერლის მისწრაფება, იგი ვერ მიაღწევს საჲურველ შედეგს, თუ მისი მიზანი ნაძალადევია და არ გამომდინარეობს შინაგანი მოწოდებიდან, ავტორის ჭეშმარიტი მხატვრული შესაძლებლობიდან.

ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ნ. ნაკაშიძის ნაწარმოებთა შინაარსში ღრმად ჩაქსოვილ დიდაქტიკურობას. აი, პატარა კახაბერს („კახაბერი“) ლამბაქზე შემორჩა მურაბის ტკბილი ვარდისფერი წვეთები. რამდენსაც არ ეცადა, კოვზით ვერ აიღო. მაშინ ბებიას შეეკითხა, შეიძლება თუ არა მოვლოკო მურაბიანი ლამბაქიო. ბებოს სამართლიანმა და მკაცრმა პასუხმა პატარა ბიჭი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და ნათლად შეაგნებინა რამდენად სამარცხვინო იყო თვით ასეთი შეკითხვაც კი.

დიდი უშუალობითა და ბუნებრივი გრძნობითაა დაწერილი „ზურიკო და პაპა“, გულისხმიერება, რომელსაც ზურიკო თავისი მოხუცი პაპისადმი იჩენს, უაღრესად შთამაგონებელია.

ბავშვის სამყაროს მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა ჩანს მოთხრობაში „ქეთიხო და ბეკეკა“, სადაც სრულიად უბრა-

ლოდ, საოცრად მსუბუქი ფერებითაა გადმოცემული გულკეთილი ქეთინოს ფიქრები და გრძნობები.

აი, თქვენს წინაშეა რუსიკო თავისი რაშით, პატარა ანიკო, ასე რომ განიცდის თავისი დედოფალას ავადმყოფობას, კოწო და მისი პატარა დაიკო ნუცა, სათევზაოდ რომ მიეშურებიან, სანადიროდ მიმავალი გივი თავისი სათამაშო თოფით მხარზე, ვაჟა, ნათია, ნანა და ვინ ჩამოთვლის კიდევ ნ. ნაკაშიძის მიერ შექმნილ ბავშვთა მკვეთრად გამოკვეთილ ინდივიდუალურ ხასიათებს! სწორედ ეს ინდივიდუალური ხასიათები იპყრობენ ჩვენს ყურადღებას, ასე მიმზიდველად და ცოცხლად რომ გვიხატავს მწერალი.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნ. ნაკაშიძის სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დაწერილი მოთხრობები თავისი მიზანდასახულობით მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი დროისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანებთან, უპასუხებს ბავშვის აღზრდის მღელვარე საკითხებს და ჩვენი ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება. ამით კიდევ იმის თქმა გვინდა, რომ საბავშვო ლიტერატურა განუყოფელი ნაწილია მთელი ჩვენი დიდი მწერლობისა, რომელიც მოიცავს იმ იდეურ და ესთეტიკურ თავისებურებას, რაც დამახასიათებელია საერთოდ ჩვენი დიდი საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნებისათვის. აქ მხოლოდ ცხოვრების მოვლენების ასახვის ფორმაშია განსხვავება. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ნ. ნაკაშიძის მოთხრობები უსაზღვროდ უყვართ ჩვენს პატარა მკითხველებს.

მწერალი ქალის მადლიან კალამს ეკუთვნის ბევრი კარგად მოფიქრებული, შთამაგონებელი, შემეცნებითი მნიშვნელობის ზღაპარი: „მახობელა", „მჭედელი ჰაე და მეფე ოჰ", „ვინ დათესა პირველად პური" და სხვ. ამ ზღაპრების სიუჟეტი ცხოვრებიდან არის აღებული. რასაკვირველია, მწერალი თავის ზღაპრებში ფანტაზიას მიმართავს, მისი მოქმედი პირები გამოგონილი არიან და სასწაულებს ახდენენ, მაგრამ ეს სასწაულები როდი გვანცვიფრებს. მკითხველს სჯერა, რომ ადამიანი ყოველის შემძლეა, რომ ადამიანის ძალას ნამდვილად შეუძლია დაიმორჩილოს ბუნების სტიქიური მოვლენები.

ზღაპარში ,,მახობელა'' სწორედ ეს აზრია გატარებული და მისი სიუჟეტიც ამ თვალსაზრისის შესაბამისად არის აგებული. ზღაპარი ,,მჭედელი ჰაე და მეფე ოჰ'' სულ სხვა მოტივზეა გამ-ლილი. ამ ნაწარმოებში ბოროტი ადამიანები სასტიკად მარ-ცხდებიან, კეთილი ყველგან იმარჯვებს ბოროტზე, რადგან კეთილის სახით ავტორს ხალხი ჰყავს გამოყვანილი, ბოროტის სახით კი—ერთი მუჭა მჩაგვრელები, სხვისი შრომის მიმთვისებ-ლები. კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა მწერალს მოცემუ-ლი აქვს როგორც ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ანარე-კლი, როგორც ისტორიული სინამდვილე.

,,ვინ დათესა პირველად პური'' უძველესი ხანის ადამიანის ყოფაცხოვრებაზე მოგვითხრობს. იმდროინდელი ადამიანის თავგადასავალი, მისი ბრძოლა არსებობისათვის აქ გადმო-ცემულია ისტორიული მასალების მიხედვით, მათ საფუძველზე, მაგრამ არა მშრალი მსჯელობით, არამედ ცოცხალი, ემოციური სურათებით. ამიტომ მოიპოვა ამ ზღაპარმა ჯეროვანი წარმა-ტება. ნ. ნაკაშიძის ამ ციკლის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ,,ულუ და თეთ''. აქაც, მაგრამ გაცილებით ფართოდ და ღრმად, ასახულია თემური საზოგადოების ცხოვ-რება, უძველესი ხანის ადამიანთა ზნე-ჩვეულებები, მათი ცხოვრების პირობები აქ წარმოსახულია დიდი სიმართლით და მხატვრული სიმძაფრით. ეს წიგნი პატარა მკითხველს მის-თვის სავსებით მისაწვდომი სახეებით საინტერესო მასალას აწვდის ადამიანის შორეულ წარსულზე, ისტორიის გარიჟრაჟ-ზე წარმოშობილ კულტურაზე.

ამრიგად, ნ. ნაკაშიძის ზღაპრები ტრადიციული ზღაპრე-ბისაგან არსებითად განსხვავდება. ეს ზღაპრები გადატვირთული არ არის უჩვეულო და გაზვიადებული თავგადასავლებით, ქა-ჯებით, ავსულებით, გველეშაპებით. ეს გარემოება კი მწერლის შემოქმედებითი კონცეფციიდან, მხატვრული პრინციპიდან მო-მდინარეობს. ,,ზღაპარმა ბავშვი კი არ უნდა შეაშინოს,—თქვა მან ერთხელ,—არამედ ხელი უნდა შეუწყოს საღი ფანტაზიის გაღრმავებაში, ცოდნის შეძენაში, გონებრივი ჰორიზონტის გა-ფართოებაში. მე ისეთი ზღაპრის წინააღმდეგი ვარ, რომელიც

მოკლებულია ცხოვრების სიმართლეს". ეს სავსებით დასტურდება მწერლის მთელი შემოქმედებითი პრაქტიკით.

ნ. ნაკაშიძე მთარგმნელობითს მუშაობასაც ეწეოდა. მან დიდი სიყვარულითა და ღრმა პასუხისმგებლობით თარგმნა რუსეთის გამოჩენილი მწერლის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ლევ ტოლსტოის მოთხრობები და ზღაპრები; მასვე ეკუთვნის ანდერსენის ზღაპრების თარგმანები.

1946 წელს გამოქვეყნდა ნ. ნაკაშიძის „მოგონებანი", რომელიც ქართული მემუარული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. საგულისხმოა მისი წერილები საბავშვო ლიტერატურაზე, რომლებშიც გაბედულად არის წამოყენებული და გადაწყვეტილი საბავშვო მწერლობის მთელი რიგი აქტუალური და ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემები.

სასიქადულო ქართველმა მწერალმა ქალმა ნ. ნაკაშიძემ განუზომელი ამაგი დასდო, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობა, დიდი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.

ნ. ნაკაშიძე გარდაიცვალა 1963 წლის 2 ივლისს.

იოსებ გრიშაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოზურგეთის მკვიდრ მცხოვრებს დათია მამულაიშვილს ბატონყმობის მძიმე უღლისაგან განთავისუფლების სურვილი დაებადა, თანდათან მისწრაფებად ექცა და დათია სულ მალე ოზურგეთიდან გაიქცა. ბნელი ღამე იყო და ყმაწვილი თივით დატვირთულ ურემში მოათავსეს. თივაში ჩამალული ყმაწვილი ღელავდა, შიშობდა, რომ ყმობის მძიმე უღელი ხელახლა არ დაედგათ მისთვის კისერზე. მაგრამ ბედმა გაუღიმა, მდევრებს გადაურჩა. სამშვიდობოს გასული, ოზურგეთს კარგად დაშორებული დათია თბილისისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ღარიბ ოჯახში დაბადებული და სიღარიბეშივე გაზრდილი, უბრალო შესახედაობის ყმაწვილი თბილისში ყველასათვის შეუმჩნევლად შევიდა. სულ მალე ქალაქის ერთ-ერთ მივარდნილ უბანში, ორთაჭალაში დასახლდა. აქ გლეხმა მებაღეობას მიჰყო ხელი. თბილისელი მოქალაქის ასული, სახელად იაგუნდა, გაიცნო და სულ მალე დაქორწინდა კიდეც. ღარიბი მებაღის ოჯახში მალე ბავშვები გაჩნდნენ. მომავალი პოეტის მამა, გრიგოლი, რომელსაც შინაურები გრიშას ეძახდნენ, უფროსი ვაჟის მომდევნო იყო. მამას სურდა მისთვის განათლება მიეცა, მაგრამ საამისო ფული არ გააჩნდა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მშობლებმა გადაწყვიტეს, გრიშას ხელობა ესწავლა, კალატოზი გამოსულიყო, რადგან მისი ვაჟკაცური აგებულება კალატოზის მძიმე შრომას ადვილად აიტანდა. გრიშა ხელოსნებში გაერია. მათი ცხოვრების ადათი და წესი სწრაფად აითვისა. ახალგაზრდა კალატოზმა მალე მიიპყრო ხელოსანთა ყურადღება. მისმა ახოვანმა ტანმა ღა გარეგნულმა სილამაზემ ბევრ ქალს აუძგერა გული. მაგრამ დიღომში გათხოვილმა

მისმა დამ ყველას იმედი გაუცრუა. სტუმრად მისულ ძმას თავისი მეზობელი ქალი, მაშო ხოლუაშვილი გააცნო და მასზე დააქორწინა კიდეც. მაშო მალე გარდაიცვალა და ქმარს ორი ბავშვი დაუტოვა; გრიგოლი ქვრივად დიდხანს არ დარჩენილა. ერთმა სათნო და კეთილმა ქალიშვილმა, თბილისელი მოქალაქის ასულმა ელისაბედმა, მოხიბლა, რომელიც ითხოვა კიდეც. ელისაბედ მამულაიშვილმა 1889 წლის 10 აპრილს (ძველი სტილით) ოჯახს ახალ წევრი შემატა. ეს ყრმა იოსებ მამულაიშვილი იყო, რომელიც ჩვენს მწერლობაში გრიშაშვილის გვარით არის ცნობილი.

წერა-კითხვა იოსებს დედამ ასწავლა. პირველად მან ჩაუნერგა პატარა სოსოს წიგნისადმი სიყვარული. იოსების ბავშვობა არ იყო სახარბიელო, ბედმა საკმაოდ მძიმე ცხოვრება არგუნა. მამა 1904 წელს გარდაეცვალა. ნიჭიერი ყმაწვილი, რომელიც თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და ლუკმაპურისათვის ეზრუნა. შემდეგ უკვე ცნობილი და სასიქადულო პოეტი, თავის ბავშვობის მწარე დღეებს რომ იგონებდა, ლექსში „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“ წერდა:

„რა იყო ჩემი სიჭაბუკე
ძველ სათვალავში?
დედა სხვას გაპყვა, მამა უკვე
იწვა საფლავში.
და დედამიწის ზედაპირზე
ვგმობდი ბატონთა,
ვინ ამასხამდა წიგნის ჩხირზე,
ჩხირი არ მქონდა!
და ვიზრდებოდი დაჩაგრული
ყასბის მორებთან,
და მუხამბაზებს ჩემი გული
იმეორებდა.“

მიუხედავად მძიმე პირობებისა, გრიშაშვილი სულიერად მაინც არ დაცემულა; ღამეებს წიგნის კითხვაში ათენებდა და მძიმე შრომით ნაშოვნ გროშებს ისევ წიგნის შესაძენად ინახავდა. ამ დაუღალავმა შრომამ, დაუცხრომელმა მეცადინეობამ გაუკაფა გზა პოეტს ცხოვრებაში. ამიტომ ამბობს იგი:

K 155.329

„მიყვარდა კითხვა... წიგნს ვსახავდი
მე თვალისჩინად.
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ
გადამარჩინა...“

ი. გრიშაშვილის სულიერ ცხოვრებაში არა მარტო წიგნმა, არამედ ქართულმა თეატრმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. „რამდენჯერ მითქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლამ დამაკლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემს შინასკნელში რამე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფია. როგორც დაკვირვებული ბალღი, დავუყურადებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი ავ-კარგი“. აქ ნათლად ჩანს არა მარტო უდიდესი სიყვარული ქართული თეატრისადმი, არამედ ის ზეგავლენაც, რომელიც ქართულმა თეატრმა მოახდინა მომავალ პოეტზე. იოსებ გრიშაშვილის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა დიდი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის უკვდავი სახე. ლადოს დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტის სულიერი სალაროს გამდიდრებაში და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. „თუ ჩემს პოეზიას რაიმე გრძნობიერება ახასიათებს, — წერს ი. გრიშაშვილი, —ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია“.

ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით თბილისში 1910 წელს ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „მოგზაური დრამატული დასი“. იოსები ამ დასში მოკარნახედ და მსახიობად ჩაირიცხა. საქართველოს დაბა-ქალაქებში მოგზაურობის დროს მან უფრო ახლოს გაიცნო ლადო მესხიშვილი. თუ როგორი აღფრთოვანებული იყო იოსები ლადოს არტისტული ნიჭით, ამას ნათელყოფს პოეტის მოგონება—„სუფლიორის ნიჟარიდან“. „ლადოს სახის მეტყველება მეც ძალაუნებურად გადამქონდა. ის ხშირად გამიჯავრდებოდა, როგორც კინი უჯავრდება თავის სუფლიორს—სოლომონს. მაგრამ ფარდა დაეშვებოდა თუ არა, ლადო მომვარდებოდა და მომეხვეოდა, როგორც კინი იმავე სოლომონს მოეფერებოდა ხოლმე. მე ვიტანჯებოდი იმისი ტანჯვით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით და

ახლაც... ჩემო ძვირფასო ლადო, ცრემლი მერევა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“.

ი. გრიშაშვილი მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული ვალერიან გუნიას მიმართაც. ეს სავსებით გასაგებია. ი. გრიშაშვილი ხომ ვ. გუნიას წინადადებით დაინიშნა სუფლიორად ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში. ვ. გუნია 1907 წელს „ნიშადურს“ რედაქტორობდა. სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის პირველი ლექსები. ამიტომ ამბობდა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი ი. გრიშაშვილი: „ჩემი პირველი მეკვლე პოეზიაში ვალერიან გუნია იყო“. ვ. გუნია მოხიბლული იყო. ი. გრიშაშვილის ნიჭით, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით. ამიტომაც მან ი. გრიშაშვილი 1908 წელს „საქართველოს“ რედაქციის მდივნად მიიწვია. ვ. გუნია იმხანად ქართული დრამატული დასის ხელმძღვანელიც იყო. მას თეატრი დიდ დროს ართმევდა, რის გამოც რედაქცია ხშირად მთლიანად ი. გრიშაშვილის ხელში იყო. მით უმეტეს, რომ, გაზეთის რედაქტორი ვ. გუნია დიდად ენდობოდა თვრამეტ-ცხრამეტი წლის სოსოს და უფლებას აძლევდა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ამა თუ იმ ნაწარმოების დაბეჭდვის საკითხი. ეს ნდობა ი. გრიშაშვილს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ი. გრიშაშვილი დაახლოებული იყო აგრეთვე ვ. აბაშიძესთან, კ. მესხთან და ქართული თეატრის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. ი. გრიშაშვილი შემთხვევით როდი მოხვდა მათ წრეში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სოსომ ხარფუხში ჩამოაყალიბა „სცენის მოყვარეთა დასი“, რომელიც დგამდა დამწყები პოეტის მიერ დაწერილ პიესებს — „ტიმოთეს ლეღვი“, „ბოიკოტი“ და სხვ. რეჟისორმა და დრამატურგმა ი. გრიშაშვილმა მალე მიიპყრო მოწინავე მსახიობების ყურადღება. მაგრამ ი. გრიშაშვილი ქართულ სცენას დიდხანს არ შერჩენია. მას თავისი ნიჭი პოეზიისაკენ მოუწოდებდა.

ი. გრიშაშვილმა ბავშვობაშივე დაიწყო ლექსების წერა. მისი პირველი ლექსები 1906—1907 წლებში დაიბეჭდა და ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ი. გრიშაშვილი 1910 წლისათვის უკვე საკმაოდ ცნობილ

პოეტია. სწორედ იმ წლის 27 ოქტომბერს ქუთაისის საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ტრადიციულ საღამოზე თბილისიდან ორი პოეტი მიიწვია, ერთი მათგანი სახელმოხვეჭილი ვაჟაფშაველა იყო, მეორე კი—ჯერ კიდევ ახალგაზრდა ი. გრიშაშვილი. ეს ფაქტი თავისთავად ბევრს მეტყველებს.

თვით ი. გრიშაშვილის სალიტერატურო საღამოები ხშირად იმართებოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებშიც. ჩვენ აქ მხოლოდ თბილისში გამართულ ერთ საღამოზე შევჩერდებით. 1914 წელს ქართულ თეატრში გაიმართა ი. გრიშაშვილის მორიგი საღამო. მგოსანი ღელავდა, რადგან მის შესახებ აკაკის უნდა ეთქვა სიტყვა. პოეტის ცხოვრებაში ეს მეტად დიდი მოვლენა იყო. აი, სცენაზე აკაკი გამოჩნდა, ხალხი ფეხზე წამოდგა. იგრიალა ტაშმა. აკაკის თვალზე ცრემლი მოადგა. მოხუცს ხალხის სიყვარულით გამთბარი გული თითქოს შეუჩერდაო, კარგა ხანს დუმდა... გაისმა აკაკის ხმა, ხალხი გაინაბა. პოეტმა პატარა, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა გრიშაშვილის პოეზიაზე და მკაცრად გადაჭკრა იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ახალგაზრდა მელექსეს უსაყვედურებდნენ, სიყვარულზე რათა სწერო. აკაკიმ თავის სიტყვაში ჩაურთო ოთხი ლექსი, რომლებშიც, მგოსნისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,გამოხატულია ულამაზესი იდეალური სიყვარული''. პირველი ლექსი ა. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, მეორე—ნიკოლოზ ბარათაშვილს, მესამე—თვით აკაკის... მეოთხე კი—იოსებ გრიშაშვილს.

,,როცა ამ ლექსების წარმოთქმა მოათავა აკაკიმ, — წერს ი. გრიშაშვილი,—ჩემი ლექსი ახსენა: ,,ახლა კი წაგიკითხავთ გრიშაშვილის ლექსს''... ჩემი გვარის გაგონება და ტანში ჟრუანტელის დარბენა ერთი იყო''. მართლაც, დიდი ბედნიერება ხვდა წილად ახალგაზრდა პოეტს — აკაკიმ მისი ლექსი წაიკითხა, ისიც საკუთარი ხელით გადაწერილი. აკაკიმ ახალგაზრდა პოეტისადმი დიდი სიყვარული გამოხატა. ი. გრიშაშვილი იგონებს, ,,იმ საღამოს ერთი-ორად გავიზარდე, თითქოს სიმაღლეც მომემატაო''.

1914 წელს ,,ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზო-

გადოებამ", რომლის გამგეობის წევრები იყვნენ შიო არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, სერგო გიორგაძე და იპოლიტე ვართაგავა, გამოსცა ი. გრიშაშვილის ლექსების პირველი ტომი, რაც ოცდახუთი წლის კაცისათვის დიდ წარმატებას ნიშნავდა. 1922 წელს დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის ლექსების მეორე ტომი.

ახალი ცხოვრების დამკვიდრებამ, სოციალისტური ყოფის გამარჯვებამ უაღრესად კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ი. გრიშაშვილის პოეზიაზე. ახალ თემებზე გააზრებულ მის ლექსებში მკვეთრად არის გამოხატული საბჭოთა ხალხის სულისკვეთება, საბჭოთა ხალხის გმირული ცხოვრება, საბჭოთა ადამიანის შრომა.

ი. გრიშაშვილის ყველაზე შესანიშნავი ლექსები სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და გამოქვეყნდა. 1939 წელს დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის „ახალი ლექსების" კრებული, რომელიც სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი ცხოვრების გამომხატველი სიმღერაა. „ახალ ლექსებში" გრიშაშვილი უმღერის საბჭოთა სამშობლოს გმირ ადამიანებს. პოეტი თვალნათლივ ხედავს იმ მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა საქართველოში გმირული შრომის შედეგად მოიპოვა მშრომელმა ხალხმა.

„იქ, სადაც წინათ იყო ფარდული
და ჯიხურების ბნელი ხუხულა,
დღეს მზის ჯიღები, ცად ამართული
ოქროს თბილისზე გადმოხურულა."

აი, რა ახარებს პოეტს. ჩვენი ქვეყნის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლა და შრომა აძლევს მას პოეტური შთაგონების ძალას.

1944 წელს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ი. გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავი აღნიშნა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დიდად დაფასებული პოეტი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას. ხალხმა მისი შემოქმედება კიდევ უფრო შეიყვარა.

ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა ი. გრიშაშვილის ლექსების ერთტომეული,

რომლის წინასიტყვაობაში პოეტი აღნიშნავდა: „ეს წიგნი უამბობს მკითხველს, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვება ჩვენს სამშობლო საქართველოში იყო აგრეთვე ჩემი იდეური და პოეტური დავაჟკაცების დასაწყისი.“ მართლაც, რაც გრიშაშვილის პოეზიაში ყველაზე ღირსშესანიშნავი და იდეურად ძლიერია, საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის.

ჩვენს ეპოქაში უკვე კარგად ცნობილმა პოეტმა არა მარტო ლირიკული ნაწარმოებები შექმნა, არამედ მეტად საყურადღებო გამოკვლევებიც დაწერა. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ღირსშესანიშნავი წიგნები, როგორიცაა: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1927 წ.), „ა. ჭავჭავაძე“ (1940 წ.), „ძველ თეატრში“(1948 წ.), „ლიტერატურული ნარკვევები“ (1952 წ.) და სხვ. ი. გრიშაშვილი თარგმანებზეც მუშაობდა. ის ჩვენი მოძმე რესპუბლიკების—სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიტერატურულ ნიმუშებს მაღალი მხატვრული გემოვნებით თარგმნიდა და ქართველ საზოგადოებას აცნობდა.

ი. გრიშაშვილი, ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იგი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი იყო. ამ კოლეგიებში მისი მუშაობა უაღრესად ნაყოფიერი და საქმიანია. ი. გრიშაშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა აკაკის მესამე და მეოთხე ტომები. პოეტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და სხვადასხვა გამომცემლობაში მოღვაწეობდა. უანგაროა პოეტის სიყვარული ახალგაზრდობისადმი. არა ერთი და ორი დღე დაუღამებია მას ახალგაზრდა პოეტის წიგნის რედაქტირების დროს.

თბილისის მშრომელებმა თავისი საყვარელი პოეტი რამდენჯერმე აირჩიეს ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

1946 წელს ი. გრიშაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად იქნა არჩეული, ხოლო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პოეტი, სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, 1959 წელს კი მას მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება.

ი. გრიშაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. იგი არის ახალი საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ი. გრიშაშვილი რევოლუციამდეც წერდა პატარებისათვის ლექსებს, მაგრამ მისი ყველაზე საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები ჩვენს დროშია შექმნილი. თვით პოეტს არაერთხელ უთქვამს, საბავშვო პოეზიაში ჩემი ნამდვილი მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში დაიწყოო. იგი თავის ერთ-ერთ წერილში ამბობს: „საბჭოთა ბავშვების ბედნიერმა ცხოვრებამ წამახალისა და რაზედაც ადრე თითქმის სრულიად არ მიფიქრია, ახლა ის ჩემი შემოქმედების ორგანულ ნაწილად იქცა“.

ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებში შესანიშნავად არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის მოზარდთა მისწრაფება, მათი სურვილები. ი. გრიშაშვილი, რომელსაც ეხერხება ბავშვებისათვის საინტერესო თემების შერჩევა, მოვლენებისა და ფაქტების შემოქმედებითად განზოგადება, პატარა მკითხველზე ზემოქმედების ნათელი აზრით და ცოცხალი სურათებით ახდენს. პოეტს არ უყვარს განყენებული მსჯელობა, გაჭიანურებული თხრობა და მშრალი, უსიცოცხლო დიდაქტიკური რჩევა-დარიგება. ბავშვის შინაგანი სულიერი სამყაროს გადმოცემის დროს იგი მკაფიო, სადა, ნათელ შედარებას, მეტაფორას, ეპითეტს და ხალხურ გამოთქმებს იყენებს.

პოეტის ქმნილებები გამსჭვალულია მუსიკალური ტკბილხმოვანებით და, რაც მთავარია, მის მიერ შექმნილი სახეები ბუნებრივია, გამოთქმები— ზუსტი და ლამაზი. ი. გრიშაშვილის ლექსები მკითხველს ხიბლავს რელიეფური სახეებით, რომლებიც სავსებით გამოხატავენ მწერლის მსოფლმხედველობას და ჩვენი ახალგაზრდობის სულისკვეთებას.

„ემსახურები სამშობლოს
ნაყოფიერი შრომითა...
მაგრამ თუ მტერი დაგვესხა
სისხლით, სიკვდილით, ომითა,—
მაშინ მეც ანაზდეულად
განზე მედება წიგნები
და ჩემი ქვეყნის სახსნელად
მებრძოლთა რიგში ვიქნები.

დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
სამშობლოს მივეც პირობა—
სამი რამ უნდა მიყვარდეს.:
სწავლა, შრომა და გმირობა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსის მთავარი გმირის განწყობილება მკითხველს სიამაყის გრძნობას უნერგავს, სჯერა ამ გმირის ყოველი სიტყვისა და განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით ივსება მისადმი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს ლექსი დაწერილია სამამულო ომის დაწყებამდე. ისტორიული ფაქტია, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სამამულო ომში თავდადება და მაღალი შეგნება გამოიჩინა, ზურგში დარჩენილმა ბავშვებმა კი სწავლითა და შრომით ისახელეს თავი.

საბჭოთა ბავშვები სამამულო ომის დღეებში ყოველმხრივ ეხმარებოდნენ თავიანთ მამებსა და ძმებს მოსისხლე მტრის განადგურების საქმეში. ეს ნათლად გამოხატა პოეტმა ლექსში „პატარა პატრიოტები“.

„გუშინ დილით ჩვენს სკოლაში
გაიმართა დიდი კრება:
— „უნდა სოფლად გავეშუროთ
მოსავალის ასაკრეფად!
ახლა, როცა ჩვენი ჯარი
ბრძოლის ველზე გაემგზავრა,
ნუთუ მინდვრის მწიფე ნათესს
თან გავატანთ გზაში ჯავრად?
აქ არა ვართ? იმათ ნაცვლად
ჩვენ მოვუვლით გაშლილ ყანებს,
თვითეული ჩვენთაგანი
მტერს სიცოცხლეს შეანანებს!“
და შევძახეთ ყველამ ერთად
მთელი ქვეყნის გასაგებად:
—სოფლისაკენ! სოფლისაკენ!
მოსავალის ასაღებად!“

შრომის თემას ისეთივე სიპატიო ადგილი უჭირავს საბავშვო ლიტერატურაში, როგორც საერთოდ საბჭოთა მწერლობაში. ეს თემა უაღრესად დიდი თემაა. მხატვრულ ტილოზე მის გადმოცემას ერთობ ფართო საზოგადოებრივი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. ლექსები „პატარა ოსტატები“,

„მახარაძის მეჩაიე გოგონებს“, „პატარა პატრიოტები“ და სხვ. ნორჩ მკითხველებს არწმუნებს, რომ კეთილშობილური გრძნობების სათავე და ადამიანის ბედნიერების ერთადერთი წყარო შრომაა. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან განსაკუთრებით გვინდა, გამოვყოთ „ჰიმნი შრომისადმი“. ნიჭი ბუნების მადლია, მაგრამ „მარტოოდენ ბუნებრივი ნიჭით შორს ვერ წახვალ, ტალანტი საჭიროებს გონივრულ შინაარსს, როგორც ცეცხლი—ზეთს, იმისათვის, რომ არ ჩაქრეს“ (ბელინსკი). პოეტი ჩაეჭიდა ამ აზრს, როგორც ჭეშმარიტებას და პატარებს შრომისადმი სიყვარულს შთააგონებს ისე, რომ ნიჭის მნიშვნელობას სრულებითაც არ აუბრალოებს, პირიქით, ნიჭსა და შრომას წარმოგვიდგენს როგორც განუყოფელ მთლიანობას.

ი. გრიშაშვილი უმთავრესად ისეთ სახეებსა და ხასიათებს ხატავს, რომლებშიც ჩვენი ნორჩი თაობის კარგი, მისაბაძი თვისებები თვალნათლივ ჩანს. „ოქტომბრელის სიმღერა“, „პატარა გოგონას საჩუქარი“, „ყურადღება“, „ფოსტალიონი გელდა პიონერთა ბანაკში“, „პატარების დაუვიწყარი კონცერტი“ და სხვ. მცირე ფორმის ლირიკული ქმნილებებია, მაგრამ შინაარსიანი და ხატოვანი. აქ იგრძნობა პოეტის განუზომელი სიყვარული თავისი გმირებისადმი, რომელთაც უყვართ სწავლა და შრომა, რომელთაც უფროსებისადმი პატივისცემა და მეგობრისადმი ერთგულება სჩვევიათ. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „ფოსტალიონი გელდა პიონერთა ბანაკში“. გელდა ყოველ ცისმარე დღე დაჰქრის პიონერთა ბანაკში წერილებით სავსე ჩანთით და სიხალისე და ჟრიამული შეაქვს ბანაკის ცხოვრებაში. ჩვენი თაობისადმი მგზნებარე სიყვარულითაა შთაგონებული აგრეთვე „პატარების დაუვიწყარი კონცერტი“, სადაც მხატვრული სიმართლითაა დახატული. ჩვენი ბავშვების უსაზღვროდ ბედნიერი, ხალისიანი ცხოვრება.

ამქვეყნად მარად უკვდავი მხოლოდ ისაა, რაც ადამიანურია. ეს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად ი. გრიშაშვილის მთელ პოეზიას, ამ ჭეშმარიტების საფუძველზე აღვიძებს იგი ბავშვში პატრიოტულ გრძნობას, მეგობრობის სულისკვეთებას, ყოველივე იმას, რაც ადამიანის ცხოვრებას შინაარსსა და აზრს აძლევს, რაც ადამიანს ამაღლებს და ალამაზებს („მეგობრე-

ბი“, „პიონერის ნატვრა“, „სიმღერა მეოშრისა“, „დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს“, „ოქტომბრელის სიმღერა“ და სხვ.)

პოეტი თანაბარი ოსტატობით წერს როგორც სკოლამდელი, ისე სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, ორივე შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც ნორჩი თაობის ახლო მეგობარი, მისი შინაგანი სამყაროს შესანიშნავი მცოდნე.

რომ განვიხილოთ ორი უაღრესად პოპულარული ლექსი; „მიყიდე“ და „ზარმაცი“, ნათლად დავინახავთ, რომ ამ ნაწარმოებებში პოეტი დიდი ოსტატობით აღწევს დასახულ მიზანს. თუ პირველ ლექსში გაკიცხულია თავნება, განებივრებული ბავშვის აკვიატებული სურვილის მავნეობა, მეორეში თვალწინ წარმოგვიდგება ზარმაცი მოსწავლე, რომელიც სწავლისათვის თავს არ იწუხებს; როდესაც მისი მეგობრები ცოდნას ეუფლებიან, იგი „მზესუმზირას აკნატუნებს“.

ი. გრიშაშვილი თავის ლექსში „ხელი“ მკაცრად ჰკიცხავს დაუდევრობასა და ულაზათობას, რაც შეიძლება შემდეგ მავნე ჩვევად იქცეს.

„შენს ბარათს რომ დავაკვირდი,
შვილო, სულ არ მომეწონა.
ეს რა არის, როგორა სწერ?
ასოა თუ ფიჩხის კონა?“
„ა“ „ე“-ნსა ჰგავს, „ბ“-ანს კი „მ“-ანი,
„რ“-ს არ ხურავს თავსახური,
თითქოს ურემს გადაევლოს,
მკლე არის და უსახური.
ზოგი ასო თუთასა ჰგავს,
ზოგი კიდევ ჩიტის ბუდეს,
და მიყრილი სტრიქონები—
ძველი სახლის აბლაბუდებს.“

ჩვენს მშობლიურ ანბანზე აღიზარდნენ უდიდესი ადამიანები. ქართული ასოს უნაზესი გამოსახულებისათვის საუკუნეების მანძილზე იღვწოდნენ წინაპრები. ქართული ასო ჩუქურთმას უნდა ჰგავდეს, ლამაზი წერა ღრმა და წარმტაცი აზროვნების საწინდარია,—ამბობს პოეტი. აქ თვით ლექსის თემაა წარმტაცი. მწერალი ესაუბრება პატარა მოქალაქეებს მათს

უპირველეს მოვალეობაზე, ამასთანავე, მოუწოდებს ნორჩ თაობას:

„უნდა წერას დაეუფლო
ურბილესს და ულამაზესს,
უნდა ბევრი იმუშაო
ქართულ ხელის ჩუქურთმაზე"

პოეტი ბავშვებში შემჩნეულ ნაკლსა და დაუდევრობას გულისტკივილით აღნიშნავს, თანაც მთელი სიმკაცრით გმობს: „მიხარია თქვენი კარგი და გულსა მტკენს, თუკი რამეს ცუდს შეგამჩნევთ",—ეუბნება იგი ბავშვებს და ეხმარება მათ კარგისა და ცუდის გარჩევაში.

ი. გრიშაშვილის პირად არქივში შემონახულია ბავშვების რამდენიმე წერილი. ამ წერილებში პატარები პოეტს სიყვარულით, პატივისცემითა და მორიდებით მიმართავენ. ისინი პირობას აძლევენ მას, რომ კარგად ისწავლიან, შრომას გატაცებით მოეკიდებიან, წესიერად მოიქცევიან, არ აიჩემებენ „მიყიდე და მიყიდეო". ეს გარემოება მიგვანიშნებს ი. გრიშაშვილის პოეზიის ქმედით გავლენაზე.

ბავშვის ფსიქიკის ფორმირებასა და მის სულიერ აღზრდაში მწერლობა დიდ როლს ასრულებს. ეს კარგად იცის ი. გრიშაშვილმა, მაგრამ პოეტი თავის მხრივ ამ საქმეში არანაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებს სკოლასა და ოჯახს. სკოლისა და ოჯახის მოვალეობის იდეა გატარებულია ლექსებში „ახალგაზრდა მასწავლებელს" და „რა ქნას სკოლამ?"

დიდია მასწავლებლის ამაგი ნორჩი თაობისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ხალხიც ჯეროვნად აფასებს მის ღვაწლს. მაგრამ გვაქვს თუ არა ლიტერატურაში მასწავლებლის სრულყოფილი სახე, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის მისი ცხოვრება სავსებით საკმარის მასალას იძლევა? სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ თემაზე რამდენიმე ათეული ნაწარმოებია დაწერილი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი არც რაოდენობრივად და, განსაკუთრებით, არც თვისებრივად. ლიტერატურა ჯერ კიდევ ვალშია იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც ძველთაგანვე უდიდესი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდნენ ხალხში,— მასწავლებელთა წინაშე.

ქართულ საბჭოთა საბავშვო მწერლობაში ლექსი „ახალგაზრდა მასწავლებელს“ პირველი ნაწარმოებია ნორჩ პედაგოგზე, რომელმაც დიდი ღვაწლი უნდა გასწიოს ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკეთილდღეოდ. იგი უნდა იყოს პირდაპირი და სამართლიანი, პრინციპული და გულისხმიერი, მოსიყვარულე და შთამაგონებელი და, რაც მთავარია, თავისი საქმის უდიდესი მცოდნე, რათა დაიმსახუროს ნორჩი თაობისა და ხალხის პატივისცემა და სიყვარული. პოეტი ამხნევებს ახალგაზრდა მასწავლებელს და იმედს გამოთქვამს, რომ იგი გაამართლებს იმ ნდობას, რომელსაც საზოგადოება იჩენს მის მიმართ.

სულ სხვა მოტივზეა აგებული ლექსი „რა ქნას სკოლამ?“ აქ მოცემულია ბავშვის ცხოვრება სკოლის გარეთ, ლაპარაკია იმ უპასუხისმგებლობაზე, რასაც ზოგჯერ მშობლები იჩენენ ბავშვის აღზრდაში, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში. თუ ბავშვი მოკლებულია მშობლების ფხიზელ თვალსა და მზრუნველ ხელს, მაშინ მარტოოდენ სკოლა უძლურია ნორჩი მოქალაქის აღზრდის საქმეში. ამისათვის საჭიროა მთელი საზოგადოების აზრისა და ყურადღების დაძაბვა. აი, ამ ლექსის ძირითადი იდეა, გამოთქმული ავტორისათვის დამახასიათებელი ოსტატობით.

ბავშვი ბუნების უმანკო შვილია. ცოცხალი ბუნებიდან იწყება მისი ცნობიერების გახსნა და სამშობლოს სილამაზისა და სიდიადის შეცნობა. ამით აიხსნება, რომ ქართულ საბავშვო პოეზიაში ბუნების სურათები ასე უხვად გვხვდება. ეს სურათები ბავშვის წარმოდგენას ბუნებაზე უფრო ამდიდრებს და მის სათუთ სულს კიდევ უფრო მეტად აფაქიზებს.

ი. გრიშაშვილის პოეზიაში ჩვენ უხვად გვხვდება ბუნების ლამაზ სურათებთან შეხამებული და ამ სურათების მშვენებად ქცეული ნორჩების დაუვიწყარი სახეები:

ი ა

„ნელი იას მიეპარა
და ღობიდან გაუცინა:
„აი, თურმე, სად ყოფილხარ,
ხომ ვისწავლე შენი ბინა?“

ნ ა რ გ ი ზ ი

— ალბათ შენს თავს უფრთხილდები, —
ეუბნება ნარგიზს ლილი, —
მზიან დღეში გულია ხარ,
წვიმაში კი თავდახრილი!

ყ ა ყ ა ჩ ო

— ჰერი, ბიჭო, შეეერიოთ,
როგორ წითლად ღკივის ყანა!
ზამთარში ხომ არ გვექნება
გასართობი ამისთანა?..“

დიდაქტიკური პოეზიის სფეროში თვალსაჩინო ადგილი უკავია ი. გრიშაშვილის იგავ-არაკებსაც, რომლებშიც პოეტის მახვილი თვალით კარგადაა დანახული ადამიანის მანკიერი თვისებები—ეგოიზმი, სიხარბე, სიძუნწე, გაუტანლობა.

ი. გრიშაშვილმა თანამედროვე ზღაპრის განვითარებაშიც სათანადო წვლილი შეიტანა. ლექსად დაწერილ მის ზღაპრებში „მუსტაფას ვირი“, „მოლა და ძაღლი“, „ბაბაჯანას ქოშები“ და სხვ. ძირითადად გამოყენებულია საყოველთაოდ ცნობილი აღმოსავლური სიუჟეტები. მათში არ არის ყალბი ფანტაზია, ღმერთები და ნახევრადღმერთები, მითიური გმირები და ხელოვნურად გამოგონილი პერსონაჟები. ამ სიუჟეტების წყარო ხალხის ცხოვრებაა.

ი. გრიშაშვილის შემოქმედება ცხოვრებისმიერი და უაღრესად საზოგადოებრივია.

ბავშვის სულიერი სამყაროს გადმოცემის დროს პოეტი მიმართავს ნათელ შედარებებსა და მეტაფორებს („ხელი“ და სხვ.).

გრიშაშვილი მოკლედ და მხატვრულად გამოთქვამს თავის აზრს საგნებსა და მოვლენებზე, რის გამოც ბავშვი ადვილად იმახსოვრებს მას:

„ვისაც ვინ უყვარს, ჯურღმულშიც
მოძებნის უეჭველად“

. . . . . .

„სიკვდილს გარდა ყველაფერი
ადრეული არის კარგი“.

ლაკონიურობის შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე ლექსი „მო-

ხუცის დარიგება“, სადაც პოეტი თავის პატარა მეგობრებს ასწავლის ცხოვრების სიბრძნეს, ურჩევს, დაკვირვებით წარმოთქვან თითოეული სიტყვა, რადგან გასროლილი ისრის დაბრუნება შეიძლება, ნათქვამი სიტყვის კი—არა.

შთამაგონებელია ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილებითა და დიდი ცოდნით შეიარაღებული პოეტის შემდეგი სტრიქონებიც:

„ამდენი ხნის კაცი ვარ და
რაც არ მესმის, ვკითხავ სხვასა!“

როცა ი. გრიშაშვილის პოეზიის თავისებურებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ერთ მეტად საყურადღებო ფაქტს. ეს არის ი. გრიშაშვილის ლექსის მტკიცე და დაურღვეველი ნაჭედობა, რაც, კერძოდ, იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული სიტყვის ამ დიდი ოსტატის პოეტურ ქმნილებებში ყოველ სტრიქონს თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს, ხოლო დამამთავრებელი წერტილი მუდამ ლოგიკურად არის დასმული. იშვიათად შეხვდებით სტრიქონებს, რომლებშიც უკვე ნათქვამ აზრს იმეორებდეს. ეს ითქმის ი. გრიშაშვილის ყველა იმ ლექსზე, რომლებშიც განსაჩიერებულია ჩვენი პოეტის შემოქმედების თვალსაჩინო მიღწევები. ამ ლექსებს ვერაფერს მივუმატებთ და ვერც გამოვაკლებთ, რადგან მათში ყველაფერი შესრულებულია დიდი პოეტის უტყუარი ინტუიციით. ყოველივე ეს ითქმის მის საბავშვო ლექსებზეც, რომლებიც ხელს უწყობენ ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს.

ლეო ქიაჩელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე მთელი ჩვენი ხალხის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა; ეს იყო მწერალი, რომელმაც თითოეული ჩვენგანის ნაფიქრ-ნაგრძნობი, სურვილები და მისწრაფებანი შესანიშნავ მხატვრულ სახეებში აღბეჭდა და ჩვენი ეპოქის მოვლენათა სიდიადე ღრმად განგვაცდევინა.

„ტარიელ გოლუა", „გვადი ბიგვა", „მთის კაცი", „ჰაკი აძბა„ და სხვა მრავალი ნაწარმოები უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ლეო ქიაჩელი არის მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი სახეები, დაუვიწყარი, მისაბაძი და სამაგალითო ხასიათები. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი ადგილი ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

ლიტერატურას უზარმაზარი ამოცანის გადაწყვეტა აკისრია, მისი მთავარი მიზანია დაეხმაროს ადამიანებს, რომ მათი ცხოვრება საინტერესო და საჭირო იყოს საზოგადოებისათვის. მხოლოდ ჭეშმარიტად სრულყოფილ მხატვრულ ქმნილებას შესწევს ამის უნარი. ლეო ქიაჩელის ნაწარმოებები სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევიან, ამიტომაც ეკუთვნიან ისინი კლასიკას.

ლეო ქიაჩელის ყოველ რომანსა და მოთხრობაში ვგრძნობთ-უსაზღვრო სულიერ სითბოს იმ კეთილშობილი ადამიანისა, რომლის სიცოცხლე, მიმართულია თავისი მშობლიური ხალხის სასიკეთოდ; მწერლის ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟები ყველაფერს სწირავენ სამშობლოს ინტერესებს, მის დიადსა და ნათელ მომავალს. ქიაჩელი ეკუთვნის იმ მწერ--

ლების რიცხვს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მთლიანი და განუყოფელია. როცა ეცნობით მის საყვარელ გმირებს, გრძნობთ და ხედავთ, თუ რაოდენ ღრმად ჩაუქსოვია მწერალს თავისი სული ამ გმირების ცხოვრებაში. ვინც ლეო ქიაჩელს პირადად იცნობდა, შეუძლებელია არ დაგვეთანხმოს, რომ ტარიელ გოლუა და ბათუ ქარდუა თავიანთი სულიერი აღნაგობით, ქცევით, სიდარბაისლითა და სხვა მორალური თვისებებით, დიდად ემსგავსებიან მათ შემქმნელს (გოეთე ამბობდა, ყოველი მწერალი თავის ნაწარმოებებში გარკვეული ზომით თავის თავს გამოსახავს, ხშირად თავისი ნების წინააღმდეგაც კიო).

ჩვენი მწერლის მიერ განვლილი გზა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც გზა იმ შეუპოვარი მთამსვლელისა, რომელიც ვაჟკაცურად გაუმკლავდა სიძნელეებს და ლიტერატურულ პარნასზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

ერთი მწერალი ამბობდა: „ჩვენ ჩვენი საკასაციო სასამართლო გვაქვს—იგი მომავალია. ბედნიერია ის, ვისაც მის წინაშე წარდგომა შეუძლია“. ლეო ქიაჩელი ბედნიერია იმით, რომ იგი თავისუფლად წარსდგება მომავალი თაობების ასეთი სამსჯავროს წინაშე.

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ქიაჩელი) დაიბადა 1884 წლის 19 თებერვალს, ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქ იგი უკავშირდება რევოლუციურად განწყობილ უფროსკლასელებს და 1904 წელს მონაწილეობს ქუთაისის მოსწავლეთა გამოსვლებში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლეო ქიაჩელი ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905 წლის დამდეგს სტუდენტთა მღელვარების გამო ხარკოვის უნივერსიტეტი დროებით დახურეს. ქიაჩელი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც იგი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება; იყო ზუგდიდის გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რის გამოც დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩასვეს.

1907 წლის დამლევს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანი-

ზაციამ ქუთაისის ციხეში გვირაბი გაიყვანა. ამ საიდუმლო გვირაბით სხვა პატიმრებთან ერთად ლეო ქიაჩელიც გაიქცა. ამით იგი მძიმე სასჯელს გადაურჩა.

„დავაღწიე თუ არა თავი ქუთაისის ციხეს,—წერს ლეო ქიაჩელი ნარკვევში,,ავტობიოგრაფიიდან", — ამხანაგებმა მიშოვეს საიმედო პასპორტი და მოსკოვს მივაშურე. აქ სწავლა განვაგრძე კომერციული ინსტიტუტის ეკონომიურ დარგზე, დავეწაფე თეატრს, ვეცნობოდი იმ დროის გამოჩენილ მწერლებსა და პოეტებს, ვესწრებოდი მათ გამოსვლებს, დისკუსიებს, თვალყურს ვადევნებდი ახალ ლიტერატურას".

1912 წელს მოსკოვში მეფის ჩამოსვლას ელოდნენ, გამოცხადდა ქალაქის ,,წმენდა" არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან. აუცილებელი იყო ლეო ქიაჩელს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა მოსკოვი. ამხანაგების დახმარებით იგი ახერხებს ჟენევაში გამგზავრებას, სადაც იმ დროს ცხოვრობდნენ მისი პოლიტიკური მეგობრები.

ემიგრაციაში ლეო ქიაჩელს საშუალება მიეცა ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა მშობლიური და უცხოური ლიტერატურა. გერონტი ქიქოძე იგონებს ლეო ქიაჩელთან შეხვედრებს და წერს: „ლეო ქიაჩელს ჩემთვის უამბნია, ლიტერატურული ქართული ენა ჟენევაში შევისწავლე, სადაც მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა არსებობდა, ერთი მეცენატის მიერ დაარსებულიო".

მისი ცხოვრების ჟენევის პერიოდი სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი; აქ მან მეხსიერებაში აღადგინა 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდები, თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სახეები და შექმნა ფართო ეპიკური ტილო „ტარიელ გოლუა".

* * *

დიდია ლეო ქიაჩელის დამსახურება ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მან შექმნა ძლიერი და მკაფიო ნაწარმოებები ჩვენი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდზე, რომლებშიც ძალუმად ჩქეფს ისტორიის რომანტიკა და ხალხის უკვდავი სული.

ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ლეო ქიაჩელს თანამედროვე საბავშვო მწერლობის წინაშეც. ლ. ქიაჩელი რევოლუციამდეც წერდა ბავშვებისათვის და წერდა გულითადი სითბოთი, სიყვარულითა და საგნის ღრმა ცოდნით. მისი პირველი საბავშვო მოთხრობა ჯერ კიდევ 1912 წელს გამოქვეყნდა. ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან შექმნა მთელი რიგი საბავშვო მოთხრობები, რომლებშიც მწერალი საოცრად თბილი ტონითა და ფერებით გვიხატავს ჩვენი ბავშვების და მოზარდების მჩქეფარე სიცოცხლით აღსავსე ცხოვრებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ლეო ქიაჩელმა, თანამოკალმეებთან ერთად, მოგვცა საუკეთესო ნიმუშები საბავშვო მოთხრობებისა მათი ნათელი კომპოზიციით, უზადო მეტყველებითა და მტკიცედ გამოხატული მხატვრული კოლორიტით. საამისოდ თემასაც განსაკუთრებული გულისყურით ირჩევს მწერალი, ამ არჩევანში მჟღავნდება მისი საბავშვო მოთხრობების ერთ-ერთი თავისებურება: ავტორს ნორჩი მკითხველი ერთბაშად შეჰყავს მისთვის ნაცნობ თუ უცნობ სამყაროში. მწერლის მიერ შექმნილი ტიპიური გარემო აქ არა მარტო ფონია გმირის ხასიათის გამოსაკვეთად, არამედ თვით მკითხველის ცოცხალი ინტერესების ქვეყანაა, მისი გრძნობისა და ფიქრების ჯადოსნური სარბიელი.

ბავშვს უნდა უყვარდეს თავისი მშობლიური გარემო, ბუნება, მისი ყოველი სულდგმული. ბუნების სიყვარულმა უნდა აღზარდოს ბავშვში სიყვარული თვით ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი, ხალხისადმი,— ასეთია მწერლის ჰუმანური თვალსაზრისი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც ვკითხულობთ პატარა მოთხრობას „მეგობრები". ამ მოთხრობაში მწერალი ჩააგონებს პატარებს, რომ სიკეთე არსად იკარგება, თვით უმწეო ბელურასაც კი შეუძლია მიუზღოს სამაგიერო თავის კეთილისმყოფელს.

პატარებს უზომოდ უყვართ ცხოველები და ფრინველები, რომელთაც ისინი ადრეულ ასაკში ეცნობიან. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლელ ბიჭებზე, რომელთა ოჯახებში პირუტყვს

მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა: პირუტყვი იყო ძველად დაბეჩავებული გლეხკაცისა და მისი შვილების ერთადერთი მარჩენალი, მათი იმედი, ამიტომაა, რომ ესოდენ დრამატულია პატარა არსენას მწუხარება, როდესაც თავისი საყვარელი თხის —ჯექას დაკარგვის ამბავს შეიტყობს; ასევე უსაზღვროდ გულწრფელია ის სიხარული, რომელსაც იგი განიცდის ჯექას დაბრუნების გამო („არსენას სიხარული").

„მეგობრები" და „არსენას სიხარული" საკმაოდ ნათლად განსაზღვრავს ლ. ქიაჩელის რევოლუციამდელი საბავშვო მოთხრობების საერთო ხასიათს. ამიტომ აქ აღარ შევეხებით დანარჩენ მის ადრინდელ ქმნილებებს, მხოლოდ ვიტყვით, რომ ლ. ქიაჩელი თავის საბავშვო მოთხრობებში ყველგან გვევლინება, როგორც უაღრესად დაკვირვებული მხატვარი. მის ყოველ შტრიხს, მონახაზს, თვით უმნიშვნელო დეტალსაც კი თავისი ღრმა დანიშნულება აქვს. ლ. ქიაჩელის ნაწარმოებთა ტენდენცია ყოველთვის ქვეტექსტშია საძიებელი. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ქვეტექსტის მკვეთრი განსხვავებულობით შეიცნობიან მწერლის რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის საბავშვო მოთხრობები, რომლებშიც ვპოულობთ განუმეორებელსა და ახალს, რაც საჭირო და აუცილებელია ბავშვის ცნობიერების გახსნა-გაფართოებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლ. ქიაჩელის ნაწარმოებები სულ სხვაგვარ ელფერსა და შინაარსს იძენენ. მწერალი ახლა სულ სხვა პასუხისმგებლობით ეკიდება ნორჩი თაობისათვის განკუთვნილი თითოეული ნაწარმოების შექმნას. მას მთელი სიღრმით აქვს გათვალისწინებული, თუ რაოდენ დიდია მწერლის როლი ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში. პირველ რიგში ეს შეიმჩნევა თემის შემოქმედებითად შერჩევაში, მის თანამედროვე პედაგოგიური პრინციპების მიხედვით გააზრებაში. თუ დავუკვირდებით ლ. ქიაჩელის მოთხრობებს, შევნიშნავთ, რომ თითოეული მათგანი შემოქმედებითად ერთიმეორის ლოგიკური გაგრძელებაა, არა შინაარსისა და ფორმის მიხედვით, არამედ თემათა შინაგანი სისტემისერთობლიობით. თუ ერთი მოთხრობა ნორჩ მკითხველს უნერგავს მამაცობის, შემოქმე-

დებითი მუშაობისა და ჯანსაღი ფანტაზიის ჩვევებს, მეორე ნაწარმოები გმობს უსაგნო ოცნებას, სიცრუეს, სიზარმაცეს და ა. შ.

მოთხრობა „ბიძინა და დიდი ქუჩა“ გვიხატავს ერთი ბიჭუნას გაბედულ საქციელს. აქ ყველაფერი თითქმის ნამდვილია, თანაც შეუძლებელია უფრო კონკრეტულად და ხელშესახებად წარმოვიდგინოთ ოთხი-ხუთი წლის ბავშვის სიმამაცე მოქმედებაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ყოველმხრივ როდი ამართლებს პატარა ბიძინას საქციელს,— იგი ხომ უნებართვოდ გამოიპარა საბავშვო ბაღიდან. მაგრამ ნორჩი მკითხველის თვალში ბიძინა მაინც მაღლდება, ვინაიდან მისთვის სიმამაცე და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი ბუნებრივი შინაგანი თვისებაა.

მოთხრობებში „იოთამის ფრთები“, „ზღვა, მზე და ოთარიკო“ მწერალი ცდილობს განავითაროს და შეაყვაროს ბავშვს ჯანსაღი რომანტიკა, რომელიც ცხოვრების მიერვეა შექმნილი და თვით ცხოვრებაში არსებობს. აი, პატარა იოთამი მოწადინებულია მერცხლების მხარდამხარ იფრინოს, ინავარდოს ამწვანებული მთებისა და ლურჯი ცის სილაჟვარდეში; ეს მისი სურვილი უშუალოდ გამომდინარეობს ბუნების უსაზღვრო სიყვარულიდან და სიკეთისადმი ღრმა რწმენიდან. სწორედ ეს არის რომანტიკა ცხოვრებისა, ეს არის უნარი, დაინახო სილამაზე, შეიგრძნო სიკეთის უსაზღვრო ძალა და მომხიბვლელობა. ასევე სამყაროს უსაზღვრო სიყვარულით არის შთაგონებული პატარა ოთარიკოს სიზმარი („ზღვა, მზე და ოთარიკო“). ამ მოთხრობას მწერალმა სათავგადასავლო ზღაპრისმაგვარი სიუჟეტი დაუდო საფუძვლად. ამაშიც ვლინდება ლ. ქიაჩელის ღრმა ცოდნა ბავშვის სულიერი ინტერესებისა, მისი ფანტაზიის ბუნებისა და თავისებურებისა. მწერალმა ამ ნაწარმოებებში დიდი სითბოთი და სიყვარულით დაგვიხატა პატარა გმირი ოთარიკო, რომლის სულში ისე ღრმად არის გამჯდარი სამყაროს სიყვარული, რომ იგი მზადაა თავგანწირვით იბრძოლოს მზის და მისი სილამაზის გადასარჩენად. იოთამისა და ოთარიკოს ოცნება ლამაზიც

არის და ჯანსაღიც, რადგან მას ცხოვრებისეული კონკრეტული ნიადაგი აქვს.

მაგრამ სულ სხვაა ნიადაგს მოწყვეტილი უსაგნო ოცნება. იგი მავნეა და მიუღებელი მეცნიერებისა და კულტურის დასაუფლებლად მებრძოლი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის. აი, სწორედ ამ თემას მიუძღვნა ლეო ქიაჩელმა მოთხრობა „ირემი". მწერალი მოგვითხრობს, როგორ ჩაადგო სასაცილო მდგომარეობაში პატარა სანდრო საგნების უჩვეულო გაზვიადებამ. იგი იქამდეც კი მიდის, რომ კურდღელი ირმად ეჩვენება. როცა გაოცებით შენიშნავენ, რომ იგი აშკარად ტყუის, მაინც თავისას ამტკიცებს. სანდრო მოკლებულია არა მარტო კონკრეტული საგნის საღი აღქმის უნარს, არამედ ჯანსაღი ოცნების უნარსაც. „ირემი" პატარა დონ-კიხოტების თავისებური კრიტიკაა.

ადამიანისათვის ასევე მანკიერი, მეტად სამარცხვინო თვისებაა სიცრუე და მას ყოველი ღონისძიებით უნდა ვებრძოლოთ, —გვეუბნება მწერალი თავის ერთ-ერთ მოთხრობაში „პატარა თვითმფრინავი". ჯობია გულწრფელად ვაღიაროთ უნებლიეთ ჩადენილი დანაშაული, ვიდრე სიცრუით დავფაროთ და, ამრიგად, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ის. ეს თემა უფრო ღრმადაა გაშუქებული მოთხრობაში „ჭინკა ბიჭი". მწერალი გვიჩვენებს, რატომ არ არის ნაწარმოების მთავარი გმირის — სანდროს საქციელი მოსაწონი და მისაბაძი. ჭინკა ბიჭი ცელქი და დაუდეგარია, ხშირად ატყუებს უფროსებს, აწვალებს პირუტყვს, მეზობლის ბიჭებს. და ყოველივე ამის გამო დანაშაულს კი არ გრძნობს, არამედ სიამოვნებასაც კი განიცდის. მწერალი არ მალავს ჭინკა ბიჭის უარყოფით მხარეებს, მზის სინათლეზე გამოაქვს მისი სიცრუისა და აბეზარობის ამბავი.

შემოქმედი ადამიანის აღზრდა ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა. პატარების შემოქმედებითი ნიჭი ხომ თავდაპირველად თამაშში ვლინდება: ეს არის ბავშვის შემოქმედების პირველი საფეხური და ამ საფეხურზევე უნდა განუვითაროთ მას ნიჭიც. ამ კონცეფციის მხატვრულ გადაწყვეტას ემსახურება მოთხრობა „დიტოს ჯარისკაცი". მწერა-

ლი ზომიერების დიდი ტაქტით გამოხატავს იმ აზრს, რომ შექმნა, შენება, ისიც გარკვეული მიზანდასახულობით, ჭეშმარიტი საწყისი და სათავეა შემდგომში ნამდვილი შემოქმედებითი მოღვაწეობისა.

„ხეთიანის საიდუმლოება“ ლ. ქიაჩელის თითქმის ერთად ერთი ფართო პლანის საბავშვო მოთხრობაა, იგი უფრო მოზრდილთათვის არის განკუთვნილი. ამ ნაწარმოების გმირები — ოთამი, გივი და გოგი ჩვენი დროის სასახელო ჭაბუკები არიან. მათს ხასიათებში მწერალმა ჩააქსოვა თანამედროვე ადამიანის საუკეთესო თვისებები, როგორიცაა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მეგობრობა, სიმამაცე. ყოველი მათი ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ ემსახუროს სამშობლოს კეთილდღეობას. სწორედ ამითაა გამოწვეული მათი ღრმა დაინტერესება მშობლიური ქვეყნის ისტორიით. ამ პატარა არქეოლოგებმა ამოხსნეს ხეთიანის ციხის საიდუმლოება და მეცნიერებას მიაწოდეს ახალი ძვირფასი მასალა საქართველოს შორეულ წარსულზე. ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ლ. ქიაჩელის მაღალი მხატვრული ოსტატობისა. მკითხველს ხიბლავს მოთხრობის შესანიშნავი მდიდარი ქართული ენა და ის უბრალოება, რაც ასე დამახასიათებელია, საერთოდ, ჩვენი სასიქადულო მწერლის მთელი შემოქმედებისათვის.

ლ. ქიაჩელი პატარებისათვის თითქმის ყოველთვის ერთ-ეპიზოდიან ნაწარმოებებს წერს. იგი შეგნებულად ერიდება სიუჟეტის გართულებას და ამბის გაჭიანურებას, ნაწარმოების ზედმეტი ფუნქციებით დატვირთვას. ამ მხრივ იგი თავის სახელოვან წინამორბედთა ტრადიციების ერთგული გამგრძელებელია.

როცა ვკითხულობთ ლ. ქიაჩელის საბავშვო მოთხრობებს, ვეცნობით მისი გმირების ცხოვრებას, ყოველთვის მოხიბლული ვრჩებით იმ დიდი სიახლოვით, რომელიც არსებობს მწერალსა და ჩვენი მომავალი თაობის ფიქრ-სურვილებს შორის.

ლეო ქიაჩელი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „საქართველოში ყოველთვის მტკიცე იყო ტრადიცია იმისა, რომ მწერა-

ლი უთუოდ მოწინავე საზოგადო მოღვაწე ყოფილიყო. იმის შეგნება, რომ მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადო მოღვაწეობის ერთ-ერთი სახეობაა, ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს, გამოუკლებლივ დიდთა და მცირეთ". ეს სავსებით სწორია, სწორია ისიც, რომ თვით ლეო ქიაჩელს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი იმის შეგნება, რომ მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადო მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო დარგია; იგი იყო გაზეთ „ლომისის" რედაქტორი, მთელი რიგი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პროზის სექციას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალთა კავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ლეო ქიაჩელს მიღებული ჰქონდა შრომის წითელი დროშის ორი ორდენი და მედლები. დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით იგი ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

1941 წელს რომანისათვის „გვადი ბიგვა" ლეო ქიაჩელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

ლეო ქიაჩელი ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ ამბობდა: „მის სახელს, გარდა წმინდა ლიტერატურული დამსახურებისა, მოსავს ის გარემოებაც, რომ მას ყოველთვის მაღლა ეჭირა მწერლის საზოგადოებრივ-მორალური დროშა და მისი მოღვაწეობის ათეული წლების მანძილზე ერთხელაც არ მომხდარა, რომ მისი შემოქმედებითი ინტერესი დასცილებოდეს ნამდვილ მხატვრულ მიზნებს, ხოლო მის ნიჭს ეღალატოს თავისი ბუნებისა და მოწოდებისათვის".

ეს სიტყვები შეგვიძლია უცვლელად გავიმეოროთ თვით ლეო ქიაჩელის მიმართ. იგი ნამდვილად ღირსეულად ატარებდა მწერლის საპატიო წოდებას. „იმ გარემოებამ,—წერდა გ. ქიქოძე,—რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს

თბილისშიც კითხულობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევშიც, სიდნეიშიც და ბუენოს-აირესშიც, მისთვის არასოდეს წონასწორობის გრძნობა არ დაუკარგვინებია. ლეო ქიაჩელის დევიზია ჰორაციუსის სიტყვები: ,,ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს''.

ლეო ქიაჩელი გარდაიცვალა 1963 წლის 25 დეკემბერს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავისი საყვარელი მწერალი დაკრძალა მთაწმინდის პანთეონში.

ანა ხახუტაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1907 წელს ჟურნალ ,,ნაკადულის'' სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ანა ხახუტაშვილის პირველი მოთხრობა ,,მიტროს გაბედულება''. ამ მოთხრობაში ისე სხარტად და საინტერესოდ იყო გადმოცემული ამბავი, რომ იგი რედაქციამ ავტორთან შეუთანხმებლად ,,ცქვიტის'' ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ანა ხახუტაშვილი ამ ფსევდონიმით საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო საბავშვო მწერალი.

ანა ხახუტაშვილის ლიტერატურული ენით მოხიბლული იყო თვით დიდი აკაკი, რომელმაც ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მარიამ დემურიას სთხოვა, მისთვის გაეცნო ახალგაზრდა მწერალი ქალი, ასე გაჩარხული, ლამაზი ენით რომ წერდა. ერთ კარგ დღეს მარიამ დემურია და ანა ხახუტაშვილი აკაკის ბინაზე ესტუმრნენ. დიდმა პოეტმა ანას ჰკითხა: სად ისწავლე ასეთი ენით წერაო. ანამ დიდი მორიდებითა და მოკრძალებით უპასუხა მასპინძელს: სოფელში ვცხოვრობ და სოფლელებმა მასწავლესო.

ანა ხახუტაშვილს ნამდვილად ჰქონდა მომადლებული ლაშაზი და ემოციური მეტყველების უნარი, მაგრამ მისი მოთხრობების წარმატება მარტო ამით როდი აიხსნება. ანა ხახუტაშვილის ნაწარმოებები გამოირჩევიან მაღალი, ფაქიზი აზრებით, ცხოვრებისა და ბავშვის ბუნების ღრმა ცოდნით, ყოველივე იმით, რაც ჭეშმარიტი მწერლის ლაბორატორიის საიდუმლოებას შეადგენს საერთოდ.

ანა ანტონის ასული ხახუტაშვილი დაიბადა 1886 წლის 16 თებერვალს (ძველი სტილით) ყოფილ გორის მაზრაში, სოფელ

მეჯვრისხევში, სასულიერო პირის ოჯახში. შვიდი წლის ანა სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. 1894 წლიდან 1898 წლამდე იგი მცხეთის სამთავროს მონასტერთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა. აღნიშნული სასწავლებელი ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოიყვანეს. 1905 წელს, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 19 წლის ქალიშვილი მუშაობას იწყებს ქალაქის სატელეფონო ქსელის სადგურში. ამ დროს იგი რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებთან ერთად გაფიცვაში მონაწილეობს, რის გამოც სამსახურიდან „მგლის ბილეთით" ითხოვენ. ამის შემდეგ მომავალი მწერალი კერძო გაკვეთილებს იღებს და ამ გზით ირჩენს თავს.

1914 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ანა ხახუტაშვილს სასწავლებლად ხარკოვში აგზავნის. იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1916 წელს და სამშობლოში ბრუნდება. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი სტიპენდიანტი გორის ქალთა გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად გაგზავნა. გორში ანა ხახუტაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად რევოლუციურ საქმიანობასაც ეწევა: ავრცელებს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, მოუწოდებს მშრომელებს თვითმპყრობელობის დასამხობად. ამის გამო დევნას განიცდის და ხშირად უხდება საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. საბოლოოდ კი თბილისში სახლდება და დიდი გაჭირვებით ეწყობა სკოლის მასწავლებლად, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც მწერლობა იყო და მთელი თავისი ცხოვრება ამ უაღრესად წმინდა და დიდ ეროვნულ საქმეს მოახმარა კიდეც.

ანა ხახუტაშვილის მოთხრობები ცალკე წიგნად საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიღა. მრავალი წიგნი უძღვნა ღვაწლმოსილმა მწერალმა თავის პატარა მკითხველებს. დაბოლოს, მოთხრობების სრული კრებული „დედის ღიმილის" სახელწოდებით 1959 წელს დაიბეჭდა.

ანა ხახუტაშვილის ადრინდელ მოთხრობებში („თედოს ბატები", „პატარა ტუსაღები", „ახალწლის შეხვედრა ძველად სოფელში", „პირველი ენძელა", „ცოცხალი სურათი", „გამიშვი, რას მემართლები", „წყალდიდობა", და სხვ.) გამოხატულია ღრმა წუხილი, ის დიდი სევდა, სოციალური უსამართლობა რომ იწვევდა სოფლის უბრალო ადამიანებში. თუ როგორ აბეჩავებს და ასნეულებს სიღარიბე სულიერად და ფიზიკურად ადამიანს, ეს კარგად ჩანს მოთხრობაში „პირველი ენძელა". მისი მთავარი მოქმედი პირი, ათი-თორმეტი წლის გოგონა ნატო, მწვავედ განიცდის მშობლების საცოდაობას და თავის უსიხარულო ბავშვობას. „იმ დღეს ნაუაანთ ნინიკას რომ ჩემთვის პური არ მოეტეხა, სანამ მამაჩემი ერთ ჩანახ სიმინდს იშოვნიდა, მე გული შემიწუხდებოდა. მერე ზედ იმ ოხერმა ციებამაც შემომიტია და საღამომდის კბილები კინაღამ ჩამალეწინა. საწყალი დედაჩემიც ისე გაბრუებული დადის, თითქოს სიღარიბე ჩემი ბრალი იყოს. არავის გველაპარაკება, ზედაც არ გვიცქერის... გამოვა გარეთ, სადმე მზის გულზე მიჯდება მარტოკა და ი ბურნუთს ატანს ძალას, თან ცრემლები ნიაღვარივით გადმოსდის სიმწრისაგან".

ანა ხახუტაშვილის მოთხრობების მთავარი მოქმედი პირები უმთავრესად კეთილი ადამიანები, მშვიდი და მოკრძალებული ბავშვები არიან, მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივად მძიმე ცხოვრების პირობებში იზრდებიან. ისინი ზოგჯერ უაღრესად გულუბრყვილონი არიან, როგორც, მაგალითად, ანდრია („ცოცხალი სურათები"). ანდრიას არ სჯერა, რომ წაართმევენ ოფლით მონაგარ ჭირნახულს და ეს ამხნევებს. თუმცა მამა, ცხოვრების მძიმე გამოცდილებით დაბრძენებული, ეუბნება ანდრიას: „ეჰ, შვილო, რა გამოვიდა, განა არ იცი ჩვენი ძაღლური ბედი? ზოგს ბატონი წაგვართმევს, ზოგს ხელმწიფე, ზოგსაც მღვდელი და წავიდა, გაჰქრა შენი ოფლი და ამაგი!" ცხოვრებაზე გულგატეხილ მამას მაინცდამაინც ვერ ამშვიდებს შვილის სიტყვები: „ვერა, მამილო, ვერა, ხმასაც ვერ გაგვცემენ წორეთა. შენ კი ნუ გგონია ი ზეკუციამ შემაშინოს, ნუ იფიქრებ, აბა შემომხედე

მთასებ ბიჭსა!.. ვითომ არ ეყოთ, რაც გვჭამეს და გვსვეს, ახლა ის დრო აღარ არის". მაგრამ ანდრია მწარედ მოტყუვდა, ბატონი ისევ ბატონობდა და ხალხისაგან თავისას მოითხოვდა. ვისაც ეს მოთხრობა წაუკითხავს, მან იცის, თუ რა დღეში ჩააგდო ბატონიშვილმა ანდრია, როგორ დაუნდობლად სცემეს მას მამასახლისისა და ჩაფრების დახმარებით, როგორ წაართვეს მძიმე შრომით მოყვანილი ჭირნახული. ახლა კი დარწმუნდა ანდრია მამის სიტყვების სიმართლეში, — ძალამ თავისი გაიტანა.

ანა ხახუტაშვილი კარგა ხანს ცხოვრობდა სოფელში. იქ იხილა საკუთარი თვალით ყოველივე, რამაც შემდგომში დაუშრეტელი საზრდო მისცა მის მხატვრულ შემოქმედებას. ცხოვრებასთან უშუალო სიახლოვით აიხსნება, რომ მის მოთხრობებში არაფერი არ არის გამოგონილი და ხელოვნური. უკლებლივ მის ყველა მოთხრობაში ამბის თხრობა, კვანძის შეკვრა თუ მისი გახსნა, — მთელი მოქმედება ბუნებრივად მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ანა ხახუტაშვილის მოთხრობები აგებულია ცოცხალ ცხოვრებისეულ მასალაზე. ამიტომაცაა, რომ მათ ყოველთვის უაღრესად დრამატული სიუჟეტი აქვთ. ამის მაგალითია თუნდაც მოთხრობა „პატარა ტუსაღები", რომლის კითხვისას მწვავედ განვიცდით ქვრივი ქალის სიდას ბედს.

„ჯერ კარგადაც არ გათენებულიყო, რომ სიდა ფაციფუცით წამოდგა, ხუთ პაწია შვილს საბნის მსგავსი რაღაც კონკები გაუსწორა, შეშის ნაპობი კუნძი სულ უმცროს და ძუძუთა გოგოს ნაპირას მიუდო, რომ არ გადმოვარდნილიყო, და გარეთ გამოვიდა".

„— აი შენ დედასა, შვილო, გაიყინე, განა! მოდი, გენაცვალე, გათბი! აი, აქ დაჯექი. ადე, გოგო, ადე, ჩამოეცალე, შე სავარმე, ვერა ხედავ, როგორ გალურჯებულა ეს დედა მკვდარი! — დაფაცურდა სიდა და მეტის პატივისცემით დაძონძილი მუთაქა ცეცხლის პირას დაუდო".

„— ე ბავშვსა მეთქი ერთი სამი არშინი ბამბაზიონი უყიდე, თუ გადარჩეს რამე, შენი ჭირიმე, თორემ დახე ე ძონ-

ძებში მეყინება და წამდაუწუმ მეცელსა გლეჯს. პაწაწინასაც „იარმუკაზე“ იქნებ რამე ძველი ჩუსტები უყიდო“.

ეს სტრიქონები მოტანილია მოთხრობიდან „თედოს ბატეები“, რომელშიაც ავტორი გვიამბობს ერთი ღარიბი გლეხის თავგადასავალს, გვაცნობს იმ უბედურებას, რაც მას ქალაქში გადახდა. თედო ერთი პატიოსანი და მართალი კაცი იყო. მას წარმოდგენა არა ჰქონდა ქალაქის ცხოვრებაზე, მის ბნელ მხარეებზე. იგი ადვილად მიენდო ერთ არამზადას, რომელმაც თითქოს მზრუნველობა გამოიჩინა მისდამი და მაღალ ფასში გააყიდვინა ბატები, ხოლო შემდეგ ნავაჭრი ფული სულ მთლიანად ამოაცალა და ხელცარიელი დატოვა. ბავშვები კი კვლავ ძონძებში და უჩუსტოდ დარჩნენ. ამ მოთხრობაში ცალკეული დეტალები ქმნიან მუქი საღებავებით გამოძერწილ შემაძრწუნებელ სოციალურ სურათს, ვხედავთ ტრაგიკულ მდგომარეობამდე მისული გლეხკაცის ცხოვრებას, რაც ასე აღელვებს მკითხველის გულს.

აღსანიშნავია, რომ ანა ხახუტაშვილის ამ მოთხრობებში სოციალური საკითხი სწორედ არის აღძრული, მაგრამ ბოლომდე არ არის მიყვანილი და პერსპექტივაში გადაწყვეტილი. იგი კრიტიკული რეალიზმის სხვა წარმომადგენლების მსგავსად გამოდიოდა მაშინდელი სინამდვილის მხოლოდ მამხილებლად და მჩაგვრელთა ბრალმდებლად, ხოლო მძიმე უღლისაგან ხალხის თავდახსნის გზებს ნათლად ვერ ხედავდა. მწერალს არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა და თვალსაზრისი ისტორიის განვითარების პროცესებზე. მისი გმირები აქტიურად არ იბრძვიან სიღატაკის წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ. ხშირად ისინი მხოლოდ თავიანთ უმწეო მდგომარეობაზე მოთქვამენ და ამით გამოხატავენ პროტესტს უსამართლობის მიმართ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ანა ხახუტაშვილის მოთხრობებში, სადაც მოცემულია ადამიანის ცხოვრების ერთი მომენტი თუ ეპიზოდი, ამა თუ იმ გმირის ხასიათი არ იცვლება, არ ვითარდება და ბოლომდე ერთ მდგომარეობაში რჩება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ანა ხახუტაშვილის ამ ნაწარმოებებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მათ ახლაც არ დაუკარგავთ თავიანთი ღირებულება. ისინი ნათელ წარმოდგენას აძლევენ ბავშვებს წარსულის მძიმე ცხოვრებაზე, თავიანთი ტოლების ბედსა და ხვედრზე ძველ დროში.

საბჭოთა სინამდვილემ არა მარტო შინაარსობრივად შესცვალა ანა ხახუტაშვილის შემოქმედება, არამედ თემატურადაც მრავალფეროვანი გახადა. ახლა ანა ხახუტაშვილის ახალი მოთხრობების გმირები არიან არა ცხოვრების გერები, არამედ მისი ღვიძლი შვილები, ენთუზიასტი და ინიციატივიანი ბავშვები და ახალგაზრდები.

სულ სხვანაირია პატარა შოთას ცხოვრება („ჯილდო"). იგი გვხიბლავს არა მარტო კარგი სწავლით, არამედ საერთო საზოგადოებრივი შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებითაც. მან ხუთებზე სწავლითა და თავისუფალ დროს კოლმეურნეობასა და ოჯახში შრომით მოიპოვა ასეთი კარგი სახელი. სწავლა, შრომა, მეგობრობა, უფროსებისადმი პატივისცემა ანა ხახუტაშვილის ახალი საბავშვო მოთხრობების თემაა. ამან თავისი მხატვრული განსახიერება ჰპოვა მოთხრობებში „პატარა დიასახლისი", „გოგი ბოსტანში", „პატარა გმირები", „სულინაური", „ექსკურსანტები", „ნორჩი მოგზაურის დღიურიდან" და სხვ. თითოეული მათგანი დასრულებული, კომპოზიციურად გამართული, მთლიანი ნაწარმოებია, რომელსაც ძლიერი ემოციური ზემოქმედებითი ძალა აქვს.

ანა ხახუტაშვილის შემოქმედებითი კონცეფციის მიხედვით სკოლამდელი ასაკის ბავშვის გონება ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული იმისათვის, რომ ვრცელი ნაწარმოები აითვისოს, რთული შინაარსი აღიქვას. ამიტომაც მისი მოთხრობები მოკლე და მარტივ სიუჟეტზეა აგებული. ბავშვი რომ ღრმად ჩასწვდეს საგნის არსს, გაიგოს მისი შინაარსის დედააზრი, საჭიროა საგანი ცოცხლად იქნას წარმოსახული. საგნის ცოცხლად ასახვა და გადმოცემა მოითხოვს არა მარტო თვით საგნის ღრმად ცოდნას, არამედ ფანტაზიას, დიდ მხატვრულ ალღოს, რითაც ასე უხვად არის დაჯილდოებული მწერალი

ქალი. ამით აიხსნება კიდეც, რომ მის ნაწარმოებებს ესოდენ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული.

ანა ხახუტაშვილი ისე აცნობს თავის პატარა მკითხველს საგნებსა და მოვლენებს, რომ ოდნავადაც კი არა ღლის მის გონებას. მწერალი ცდილობს მცირე სიუჟეტის მონაკვეთზე შექმნას ტიპიური გარემო, ცოცხალი, მეტყველი ხასიათები „პატარა დიასახლისი" სწორედ ამ მხრივაა საინტერესო. ამ მოთხრობაში მწერალმა შეძლო ეჩვენებინა მთავარი გმირის მისაბაძი ჩვევები; როცა ბავშვი ამ მოთხრობას წაიკითხავს, შეუძლებელია მასაც არ დაებადოს სურვილი იყოს უფროსებთან თავაზიანი და მოკრძალებული. ბავშვში ასეთი ინტერესის გაღვიძება მხოლოდ ნამდვილ მხატვრულ ქმნილებას შეუძლია. „პატარა დიასახლისი" სწორედ ასეთი ნაწარმოებია.

მოთხრობა „გოგი ბოსტანში" მოგვითხრობს საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ცხოვრებაზე. აი, პატარებმა წელს დაიწყეს თავიანთ საყვარელ ბაღში სიარული. ბავშვები ყველაფერს ხალისით ეცნობიან, დღეს სიმინდი და ლობიო უნდა დათესონ; პაწია კვლებს შემოუსხდნენ, ჩხირებით ორმოები გააკეთეს და თესვას შეუდგნენ. გოგიამაც თავისი ლობიო ჩათესა, მიწა მიაყარა და მასწავლებელს ჰკითხა, ყვავილებს როდის გამოისხამსო. ერთი კვირის შემდეგ, — მიიღო გოგიამ აღმზრდელისაგან პასუხი, მაგრამ მან არ იცის, რამდენ ხანს გულისხმობს ეს ერთი კვირა; ჰგონია, ერთი კვირა ერთი ან ორი საათის შემღეგ დადგება და ჩემი ლობიოც მაშინ ამოვაო. გოგია მოუთმენლად დასცქერის თავის ორმოს, უცქერის. უცქერის და უცებ გაოცებით დააჭყეტს თვალებს: მიწა იმ ადგილას თითქოს შეინძრა, ქინძისთავისოდენა პაწია გორახი გადაგორდა და მიწამაც ოდნავ ამოიწია. გოგიამ ამხანაგებს დაუძახა და მათთან ერთად დააკვირდა იმ ადგილს, სადაც მიწა შეინძრა. მაგრამ რა, ამ დროს მიწიდან ჭიაყელამ ჯერ ნემსის წვერივით ამოყო თავი, მერე უფრო ღონივრად ამოიძაგრა და მიწაზე გაიკლაკნა. ბავშვები სახტად დარჩნენ, იმედგაცრუებულებმა ჭიაყელას მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ მასწავლებელმა, რომელიც ბავშვებს ფეხდაფეხ მიჰყვა, ამის უფლება არ მისცა; დაწვრილებით აუხსნა, თუ რა სარგებლობა

მოაქვს ჭიაყელას მცენარეებისათვის. მოთხრობაში ნათლად ჩანს, როგორ ახალისებს ბავშვებს შრომა. ამ ნაწარმოებს ქვეტექსტის მეორე მხარეც აქვს: ბავშვი ცნობისმოყვარეა, სურს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს საგნებზე, ცხოვრებაზე. მწერალი ითვალისწინებს ამ გარემოებას და თავის პატარა მკითხველს სრულიად უბრალოდ უხსნის, როგორ მოუაროს ბოსტანს, რომელი მწერია სასარგებლო და რომელი—მავნე.

ანა ხახუტაშვილისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც დიდი, ისე „პატარა" თემები. ამას ადასტურებს მისი სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენი ნორჩი თაობის ცხოვრებას, მის სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოხატავენ. მოთხრობებში: „რეზოს მხატვრობა", „პატარა მხედარი", „მშენებლები", „შენ ვინა ხარ", „მურიკას მარცხი", „მებრძოლი ძია", „ვახტანგის წერილი", „დედას ჩურჩხელა", „პატარა მილიციონერი" „პატარა მეგობრები", „შენ რა გამოხვალ?" ჩვენ ვხედავთ ბავშვებს სხვადასხვა ხასიათის მოქმედებაში, გართობაში, თამაშში, შრომაში, სწავლაში და ა. შ. ეს ნაწარმოებები დიდი მოწონებით სარგებლობენ ნორჩებს შორის, რადგან მხატვრული სიმართლით გამოხატავენ მათ სურვილებს, მისწრაფებებს და პატარების სიანცესაც.

როცა მოხუცი დიდედა თავის პატარა შვილიშვილს უკითხავს მოთხრობას „შენ რა გამოხვალ?", ბავშვი თავის სურვილებსაც აქსოვს მის შინაარსში და ფიქრობს, რომელი არჩევანი ჯობია: შოთასი თუ ნონასი; ამ უკანასკნელს სურს ექიმი გამოვიდეს. პედაგოგიურად სავსებით გამართლებულია ის, რომ მოზარდს იმთავითვე ჩავუნერგოთ ამა თუ იმ პროფესიისადმი ინტერესი. ამ ნაწარმოებით მწერალი ცდილობს გააძლიეროს ეს ინტერესი, გააღრმაოს მისწრაფება ცოდნისაკენ. მაგრამ ყველაფერი ეს ავტორს ხელს არ უშლის შიგადაშიგ ჩაურთოს უწყინარი იუმორისტული ეპიზოდები. აღმზრდელი ეკითხება ლოყაწითელა ოთხი წლის ნოდარს: „შენ რა იქნები? ნოდარი მაშინვე ფეხზე წამოდგა და უპასუხა, მზარეულიო. სუყველაფერს კამფეტებისგან გავაკეთებ—კარადას, მაგიდას, სახლს, საწოლს...

—ბიჭო, და მერე კამფეტების საწოლზე რომ დაწვე, ხომ ზედ მიეკარი? კამფეტი ხომ ტკბილია?

— მერე რა,—არ დაათავებინა სიტყვა ტოლებს ბიჭუნამ, —არაფერიც არა უშავს რა. დედაჩემი ღამე რომ მუშამბას მიშლის ხოლმე, იმას გავიფენ და... — აქ უკვე ნოდარმა თავისი თავი გასცა და ამხანაგებმა სიცილი დააყარეს. ახლაღა მიხვდა, რომ საიდუმლოება გაამჟღავნა და შერცხვენილი მეგობრების ზურგს უკან დაიმალა''. ეს ეპიზოდი სავსებით გამართლებულია ფსიქოლოგიურად. მას სიმკვირცხლე და ნათელი განწყობილება შეაქვს მოთხრობის ქარგაში.

ანა ხახუტაშვილს ჰყავს თავისი საყვარელი გმირები. მას პაწიებისათვის თითქმის ასამდე მცირე ფორმის ნაწარმოები შეუქმნია და, უნდა ითქვას, რომ მათში ვერ შეეხვდებით ისეთ პერსონაჟს, რომელსაც ავტორი არ თანაუგრძნობდეს და მის სიხარულსა და მწუხარებას არ განიცდიდეს.

ნანული (,,ნანულიმ თოლია გაათავისუფლა'')კარგი ბავშვია, მაგრამ მშობლებს არ დაუჯერა, რომ დაუმწიფებელი ყურძნის ჭამა არ შეიძლება. ვენახში ჩუმად დაიწყო სიარული და ოდნავ შეწითლებული ყურძნის სვლეპას მიჰყო ხელი. მამამ შენიშნა, რომ ახალ შეთვალულ ყურძენს ვიღაც იპარავდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამის ჩამდენი ნანული იქნებოდა, ქურდბაცაცობა თოლიას გადააბრალეს და დაამწყვდიეს კიდეც. უდანაშაულო ძაღლი გაბმულად წკმუტუნებდა. ნანული თოლიას საცოდაობით იტანჯება. ბოლოს მან ვეღარ მოითმინა და მამას გაუმხილა, რომ სასჯელის ღირსი თვითონ არის და არა საბრალო თოლია. გოგონას გული ამოუჯდა და მამას სლუკუნით ეხვეწებოდა:

,,— აი, მამა, მე გამიკეთე ეგ კინკილა, ვენახს აღარ გავეკარები, სულ აქ ვიქნები, ოღონდ თოლიას ტყუილად ნუ დასჯი, ცოდოა, მამა''.

ბავშვი ძაღლს ისე გულიანად ეხვეოდა, ეს პატარა ქომაგი თავისი გულახდილობით ისეთი ლამაზი იყო, რომ მამას სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. ბავშვი ხელში აიყვანა, გულზე სიყვარულით მიიკრა, ძაღლს კი საბძლის კარი ფართოდ გაუღო და გაათავისუფლა.

კოლექტიურ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებისათვის. განმარტოებით თამაში ბავშვს მალე ბეზრდება, მოსაწყენი ხდება. კოლექტიური თამაში კი სასარგებლოა არამარტო იმ მხრივ, რომ იგი მეტ სიცოცხლესა და სიხალისეს გვანიჭებს, იმითაც, რომ ასეთ თამაშში ბავშვი კოლექტიურობის სულისკვეთებით იზრდება. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული მოთხრობები: „მეგობრები", „მშენებლები" და სხვ.

ერთი სიტყვით, იშვიათია თემა, საკითხი, რომელსაც ანა ხახუტაშვილი არ შეხებოდეს. მწერალი დიდი დაკვირვებით ადევნებდა თვალს ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას და დიდი ზომიერების გრძნობით ქმნიდა ნაწარმოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ პაწიების სულიერ აღზრდას.

ანა ხახუტაშვილი საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისთვისაც წერდა მოთხრობებს. ასეთებია, მაგალითად: „ექსკურსანტები", „ნორჩი მოგზაურის დღიურიდან" და სხვ., რომელთა გმირები პიონერები და კომკავშირელები არიან. მათ აინტერესებთ დღევანდელი ცხოვრებაც და ისტორიაც, დიდებული აწმყოც და გმირული წარსულიც. „თუ კულტურის ისტორია არ იცი, — წერდა მაქსიმ გორკი, — შეუძლებელია კულტურული ადამიანი იყო. თუ წარსული არ იცი, შეუძლებელია დღევანდელი დღის ჭეშმარიტი აზრი და მომავლის მიზანი გაიგო". სწორედ ამ სიტყვებს ეხმაურება ეს მოთხრობები. მათში ნათლად ჩანს, თუ რატომ არის ესოდენ დიდად დაინტერესებული საბჭოთა ახალგაზრდობა თავისი ქვეყნის წარსულის შესწავლით.

„ექსკურსანტებში" ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ იპოვეს პიონერებმა ძვირფასი ნივთი მაღალ მთის წვერზე, დანგრეულ ციხეში. ბავშვები ამაყობენ, რომ მათაც გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ექსკურსიის არც ერთი მონაწილე განძის პოვნაში უპირატესობას არ იჩემებს. როცა გავიხსენებთ მათ საუბარს იმაზე, თუ ვის უნდა მიეკუთვნოს პირველობა ნივთის პოვნაში,

დავრწმუნდებით, რამდენად უცხოა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ინდივიდუალისტური განწყობილებანი.

მასალა, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხრობას ,,ნორჩი მოგზაურის დღიურიდან'', უშუალოდ ცხოვრებიდან არის აღებული. 1946 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში პიონერთა რაზმეული ოცდაათი კაცის შემადგენლობით, მესხეთ-ჯავახეთში გაემგზავრა, რათა ისტორიული მნიშვნელობის ადგილები ენახა და გასცნობოდა საქართველოს ამ ერთ-ერთ შესანიშნავ კუთხეს. ვარძია, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ციხე-კოშკები, ისტორიული ძეგლები პიონერებზე დიდსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ. ნორჩ პატრიოტებში ამ დიდებულმა ადგილებმა საქართველოს შორეული წარსულის შესწავლის ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა და გააღრმავა. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ექსკურსიებს ახალგაზრდების გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაში, მათ ჭეშმარიტად განათლებულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

ჩვენი ბავშვების მაღალი და კეთილშობილური გრძნობების, მათი სულისკვეთების მაჩვენებელია ა. ხახუტაშვილის მოთხრობა ,,სულინაური''. მოთხრობის მთავარი გმირი, ცამეტი წლის გიორგი, მწვავედ განიცდის საყვარელი მასწავლებლის ავადმყოფობას. გიორგი გაკვეთილების შემდეგ ავადმყოფის სანახავად გაეშურა. ილია მასწავლებლის სახის ფერმა და ჩაცვივნულმა თვალებმა მას მოსალოდნელი უბედურება აგრძნობინა. უცნობმა ექიმმა ავადმყოფი გულდასმით გასინჯა, წამლები გამოუწერა და იქ მყოფნი დააიმედა. გიორგი საქმით ამტკიცებს მასწავლებლისადმი უსაზღვრო სიყვარულს, ექიმის მიერ გამოწერილი წამლები სასწრაფოდ ჩამოაქვს გორიდან და სიკვდილისაგან იხსნის ილია მასწავლებელს.

,,სულინაურში'' გიორგის ხასიათი მოქმედებაშია ნაჩვენები. მეტად ამაღლებულია დაბრკოლებათა ამსახველი სიტუაციები, რომლებიც დასძლია კეთილშობილმა ჭაბუკმა. საკმარისია გავიხსენოთ გიორგის თავდადებული ზრუნვა მასწავლებელზე, მთელი მისი საქციელი, რომ ნათელი გახდეს, რაოდენ კარგი თვისებების მატარებელია იგი. გიორგის მოქმედებას, მის საქციელს აღტაცებაში მოჰყავს ახალგაზრდა მკი-

თხველი, იგი მისდამი მიბაძვის სურვილს ბადებს, და საბავშვო ლიტერატურის პირდაპირი დანიშნულება, მისი ამოცანაც ხომ ეს არის.

ცალკე განხილვის ღირსია მოთხრობა „დედის ღიმილი". მისი მოქმედი პირი სულიკო მკითხველის სიმპათიას იმსახურებს თავისი გმირული ქცევით, ცოდნისა და გამოცდილების შეძენისადმი განუსაზღვრელი მისწრაფებით, კეთილი და სათნო გულით.

საერთოდ, ანა ხახუტაშვილის მოთხრობათა პერსონაჟები სანიმუშო და სამაგალითო ყოფაქცევის ბავშვები და ჭაბუკები არიან. სწორედ ანა ხახუტაშვილზე ითქმის, რომ მას საკვირველი უნარი აქვს ყველაფერში დაინახოს კარგი მხარე. იგი თავის მკითხველზე უმთავრესად ზემოქმედებას ახდენს დადებითი მაგალითებით. ეს მისი შემოქმედებითი სტილია. ანა ხახუტაშვილის საბავშვო მოთხრობების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი პეიზაჟია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაწარმოების იდეურ-შინაარსეულ ქსოვილში. პეიზაჟი ანა. ხახუტაშვილისათვის არის, ერთი მხრივ, მოქმედების გაშლა-განვითარების საშუალება, გმირთა განწყობილების, ემოციების გამოსახატავი ფონი, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვში ესთეტიკური გრძნობის განვითარების საწყისი.

„დეკემბრის მიწურული იყო და გარეთ ისე თბილოდა, თითქოს შემოდგომის წყნარი ამინდი ყოფილიყოს. მთვარეს მაღლა ამოეწია და თოვლდადებულ არემარეს ისე გაქონდა ბრწყინვალება, თითქოს ალმასები მოუბნევიათო.

მთვარის შუქით თეთრად გაქათქათებულ სოფლის სიწყნარეს ძაღლების ყეფა არღვევდა. იმ სიმაღლიდან მოციმციმე ელექტროშუქი სპეტაკ თოვლზე ზოლებად გაწოლილი იყო და ურწყავს ეს ოქროს სარტყელი მეტად ამშვენებდა. მარცხნივ ელექტროსადგურის წყნარი გუგუნი ლიახვის წყალვარდნილს ეხმატკბილებოდა.

აგერ, ვენახებდაღმა, გაჩირაღდნებული სკოლიდან როიალის ხმა და ბავშვების სიმღერა მოისმა. პაპამ სიმღერას ყური მიუგდო და თან გულში აღძრულ ფიქრს მიჰყვებოდა: „ეს რა ზღაპრულ დროს შევესწარი... ჩემს ბავშვობაში მგლის

ყმუილს და ბატონის რისხვას მიწურ სახლში ვემალებოდი. ახლა კი ელექტროშუქით გაჩაღებულ ჩემი სახლის ფართო და ლამაზ აივანზე ვდგევარ, ირგვლივ ვიყურები და არა მჯერა, ცხადია თუ სიზმარში ვხედავ. აგერ, აი იმ ურწყავში ჩემს პატარაობისას მგლების ხროვა თეთრ თოვლზე შავი კრიალოსანივით გამწკრივდებოდა და ელექტროშუქის მაგივრად დაელმებული თვალებით ციცინათელებივით ანათებდნენ" და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში, ე. ი. ,,თემოს საჩუქარში" ავტორი ბუნებასა და გმირის განცდა-განწყობილებას ერთმანეთს უთანხმებს და ამჭიდროებს, რითაც აძლიერებს ახალი სინამდვილის ცხოვლად წარმოსახვის მომენტს.

ღამის ზღაპარში პეიზაჟი ჩართულია სიუჟეტში და წარმოადგენს მოქმედების გაშლის ერთგვარ ფონს. ხოლო ზამთრის სურათში მწერალი ბუნებას გვიჩვენებს თავის მრავალფეროვნებაში, ხატავს მას, როგორც სიცოცხლის მშვენიერებას, როგორც დიდებულ სანახაობას და ამით მოზარდში იწვევს ესთეტიკური გრძნობის გაღრმავებას. ერთი სიტყვით, პეიზაჟი ანა ხახუტაშვილის შემოქმედებაში სიამოვნების, ამაღლებული განცდისა და სამყაროზე წარმოდგენის საშუალებაც არის.

ანა ხახუტაშვილის მოთხრობების ენა უაღრესად ხატოვანია. როგორც ცნობილია, მხატვრული ენის მიზანია ემოციური სახისა და სურათის შექმნა სიტყვების მეშვეობით. მის მიერ სიტყვების შერჩევისა და დალაგების მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მკაფიოდ წარმოგვიდგინოს საგანი, გააძლიეროს განცდა და კოლორიტულად გახსნას გმირის ხასიათი.

„აგერ ღრიტინა წისქვილიც. ღარში გაქანებული წყალი ბორბალს აცეკვებს და თვალ-მარგალიტებად ბრწყინავს მისი წინწკლები.

ურმით საფქვავი მოუტანიათ. გამოშვებული ხარები ურმის გვერდით ჩალას გემრიელად ახრამუნებენ. წისქვილის კარებთან მზის გულზე ვიღაც სამხედროს ცარიელი ტომრები გაუშლია, თავი ლოდისთვის მიუდვია და წისქვილის ღიტინზე ტკბილად სძინავს. თითქოს ნანას უმღერიანო. ყავარჯნები

წინ დაუწყვია, საღ ფეხზე მოზრდილი ვარია შემჯდარა (ი) ისიც მზეზე იხუხება“.

ამ სურათის მნახველმა პატარა თინიკომ ღრმად განიცადა სამშობლოს დამცველის ბედი. თინიკოს გული ლმობიერებით აივსო, სიყვარული და პატივისცემა დასადგურდა ბავშვის გულში. გულის ფანცქალით დაკრიფა თინიკომ ია, მეომარს პაწია კონებად თავთან გვირგვინივით შემოუწყო. ჯიბეში ერთი წითელი ვაშლი ედო, სკოლაში არ შეჭამა, ავადმყოფ ამხანაგს ვასიამოვნებო, ისიც ფრთხილად წინ დაუდო და გახარებული დაეშვა სოფლისაკენ („თინას საჩუქარი“).

როგორც ვხედავთ, ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით აქ იქმნება ემოციური მეტყველება, ამ გზით კი ჩვენს წინ გადაშლილია ბავშვის მდიდარი ბუნება, გახსნილია მისი ხასიათი. თუ რამდენად ბუნებრივი, ხატოვანი და სხარტია ანა ხახუტაშვილის ენა, ვფიქრობთ, ამას ბევრი მაგალითი და მტკიცება არ სჭირდება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ანა ხახუტაშვილის ნაწარმოებნი, რომლებშიც ასე ნათლად არის გამოხატული პატარების განცდა-განწყობილებანი, დიდად უწყობენ ხელს ჩვენი სახელოვანი მომავალი თაობის სულიერი ჩამოყალიბებისა და აღზრდის საქმეს.

* * *

ანა ხახუტაშვილი ჩუმი, უპრეტენზიო, მაგრამ უაღრესად პრინციპული ადამიანი იყო; ადვილად არც მეგობრებს იცვლიდა და არც შეხედულებებს საგნებზე. ძალზე კარგი, საინტერესო საუბარი იცოდა, განსაკუთრებული სიყვარულითა და გატაცებით მოგვითხრობდა ხოლმე თავისი სოფლის—მეჯვრისხევის ამბებს.

—ჩვენს ოჯახთან,— ხშირად უთქვამს ანას,—დაახლოებული იყვნენ ხალხსნები, რევოლუციურად განწყობილი ქართველი და რუსი ინტელიგენტები, ერთი მათგანი გორში პეტერბურგიდან იყო გადმოსახლებული. ერთხელ ჰკითხეს, რატომ დაგსაჯესო. წელში გასწორდა, თავი ამაყად ასწია მაღლა და ხმამაღლა განაცხადა: „უბრალო ხალხის სიყვარულის გამო“.

იქვე დასძინა: „არ არის ადამიანისათვის უფრო წმინდა მიზანი, ვიდრე ის, რომ ხალხს ვემსახურო, სადაც უნდა ვიმყოფებოდე. მე ყველა ხალხი მიყვარს და არავის არ შემიძლია მივცე უპირატესობა. ეს ბუნების საწინააღმდეგო რამ იქნებოდა“. ასეთი წრფელი ინტერნაციონალური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული ეს ადამიანები. მათი გავლენით გავხდი სახალხო მოძრაობის მონაწილე. ამის გამო, თავის დროზე სიმწარეც მინახავს, შევიწროებაც, დევნაც.

მწერალი ქალი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა სანდრო კავსაძეს.

—კეთილი კაცი იყო, ტკბილი ხმა და პატიოსანი გული ჰქონდა. როგორც კი გვესტუმრებოდა, მაშინვე ლხინი, ცეკვა-თამაში იმართებოდა. მოვუყრიდი თავს მეზობლის გოგო-ბიჭებს და სულგანაბული ვუსმენდით მის მომაჯადოებელ სიმღერებს,—ჰყვებოდა ანა.

ანა ხახუტაშვილი უმთავრესად ბავშვებისთვის წერდა. ის ხშირად ხვდებოდა მოზარდებს სკოლებში, პიონერთა ბანაკებში და ყოველთვის მდიდარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდა. უნდა გენახათ, როგორ უცებ გამონახავდა ხოლმე საერთო ენას პატარებთან; ისე ეხვეოდნენ პატარები ირგვლივ მოხუც მწერალს, თითქოს პირველად კი არ ენახოთ, არამედ მათი აღმზრდელი საყვარელი დიდედა ყოფილიყოს. მით უმეტეს, ეს „დიდედა“ ისე წარმტაცად ჰყვებოდა ჩიტებზე, ტყეზე, კაცისა და ქალის შრომის მადლზე, ჰყვებოდა თვითონ პატარებზე: მე ხშირად შევსწრებივარ მის შეხვედრებს ნორჩ მკითხველებთან და მუდამ მაოცებდა საოცარი ინტიმი მწერლისა, ეს საკვირველი ნიჭი, ისე ეთქვა მათთვის ყოველი სიტყვა, რომ ბავშვები აღარ სცილდებოდნენ.

ასეთი იყო ის თავის მოთხრობებშიც, როცა ბავშვებს უკვე წიგნის ფურცლებიდან ელაპარაკებოდა.

ერთხელ, ბავშვებთან მორიგი შეხვედრიდან რომ ვბრუნდებოდით, მან მითხრა:

—საბავშვო მწერალმა კარგზეც უნდა წეროს და ცუდზეც, ოღონდ ისე უნდა წეროს, რომ ბავშვს ცუდი საქციელისადმი პროტესტის, შეურიგებლობის გრძნობა. აღუძრას. არა მგონია

ბავშვმა წაიკითხოს ი. გრიშაშვილის „ონავარი“ და არ დაგმოს მისი საქციელი.

ანა ხახუტაშვილი მუდამ იმას ამბობდა, რომ მწერალი ღრმად უნდა ჩასწვდეს საგნის არსსა და შინაგან საიდუმლოს, საჭიროა საგანი ცოცხლად აღიწეროს. ბავშვმა თუ წიგნის კითხვისას მოწყენა იგრძნო, თუ ის ნაწარმოებმა არ გაიტაცა, ასეთი წიგნის ავტორი ამაოდ დამშვრალა.

1955 წლის შემოდგომაზე მწერალთა კავშირში მოეწყო ჩემი წიგნის — „თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის“ განხილვა. სიტყვა წარმოსთქვა ანა ხახუტაშვილმაც. პირველად წიგნის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა, შემდეგ კი ხაზი გაუსვა საბავშვო მწერლობის მიმართ ქართული ლიტერატურული კრიტიკის უყურადღებობას; „ჟურნალ-გაზეთებში, —გულისტკივილით თქვა მან, — იშვიათად თუ წააწყდებით კვალიფიციურ რეცენზიას საბავშვო წიგნზე“.

მწერლის ამ საყვედურს კრიტიკის მიმართ დღესაც არ დაკარგვია ძალა.

გიორგი ქუჩიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩემს შემოქმედებაში ახალი, ჩემთვის მეტად ღირსშესანიშნავი, იდეურად უფრო მაღალი პერიოდი, რომლის გამოსახულებასაც პოვებთ ჩემს ამდროინდელ ნაწარმოებებში, რომელთაც მოკრძალებით ვურდგენ მშრომელთა ფართო მასებს თავისი პირუთვნელი მსჯავრის დასადებად.

ცხადია, ერთიორად მეტი და გაცილებით მაღალხარისხოვანი იქნებოდა ჩემი პოეზია, რომ ნორმალურ პირობებში მემუშავნა და ჯეროვანი აღზრდა-განათლება მღირსებოდა. მაგრამ...

,,კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო'', ნათქვამია და მეც ამ უმცირეს ჩემს ნაშრომთ ვუძღვნი იმ უსაყვარლეს მშრომელ ხალხს, რომელთაც მე ვეკუთვნი მთელი ჩემი არსებით და რომლის სამსახურშიაც დავლევ ჩემი სიცოცხლის მიწურულ დღეებს''.

ამ გულწრფელი და მართალი სტრიქონებით თავდება გ. ქუჩიშვილის საკუთარი ხელით დაწერილი მოკლე ბიოგრაფია —,,ჩემი ვინაობა.''

გიორგი ქუჩიშვილმა მეტად მძიმე ცხოვრების გზა განვლო. ვინ მოთვლის, სად არ იყო იგი შეგირდად და მოჯამაგირედ: მეწვრილმანესთან, ბაყალთან, მენახშირესთან, მენავთესთან, ღვინის სარდაფში ბოთლებისა და კასრების მრეცხავად, კონიაკის ქარხანაში, ზეინკალთან, ოქრომჭედელთან და სხვ. ,,ხაზეინ-ოსტატები'' უხეშად ეპყრობოდნენ. დღეში 12-15 საათს ამუშავებდნენ და ხელფასს კვირაში მხოლოდ 5-6 შაურს აძლევდნენ. ხშირად სამუშაოსაც ვერ შოულო-

ბდა და დღე-ღამეს ლუკმაპურის ძებნაში ატარებდა. მაგრამ წელში არასოდეს მოხრილა, სულიერად არ დაცემულა, მომავლის იმედი არ დაუკარგავს. ნათელი ოპტიმიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელია გიორგი ქუჩიშვილის პოეზიისათვის, მისი პირადი ცხოვრების მდიდარი გამოცდილებიდან და მშრომელ ხალხთან ახლო ურთიერთობიდან მომდინარეობს. იგი უდიდეს ბედნიერებას ხალხის სამსახურში პოულობდა, ამიტომ შეიყვარა გიორგი ქუჩიშვილი ხალხმა, ამით დაიმსახურა ესოდენ დიდი პატივისცემა.

გ. ქუჩიშვილი დაიბადა 1886 წლის 17(29) ოქტომბერს სოფელ მერეში (თელავის რაიონში), ანდუყაფარ ჩხეიძის ოჯახში. გიორგის გარდა მშობლებს ოთხი შვილი ჰყავდათ. მართალია, ანდუყაფარი ღა მისი მეუღლე სალომე ბაქრაძე გამრჯე ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ სამოსახლო მიწის გარდა არაფერი გააჩნდათ. ეს კი ვერ აკმაყოფილებდა მათი მრავალრიცხოვანი ოჯახის მოთხოვნილებებს. ანდუყაფარი იძულებული გახდა ლუკმაპური სხვაგანაც ეძებნა. სარჩო-საბადებლის ძებნაში იგი ჭლექით დაავადდა. ანდუყაფარის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე სალომეს დააწვა. მარტოხელა ქალს ოჯახის რჩენა დიდად გაუჭირდა. მაგრამ შვილებისათვის თავდადებული ქართველი ქალი ვერავითარმა გაჭირვებამ ვერ გატეხა,

ბავშვობის პირველი წლები გიორგიმ მშობლიურ სოფელში გაატარა. 1894 წელს შორეულმა ნათესავმა მაშო ლოპატომ ვითომდა სასწავლებელში მოწყობის მიზნით იგი თბილისში წამოიყვანა. მაგრამ ,,კეთილმსურველმა ნათესავმა'' ობოლი ბიჭი ხელზე მოსამსახურედ გაიხადა. საზაფხულოდ სოფელში ჩასულმა გიორგიმ დედას დაწვრილებით მოუთხრო, თუ როგორ ასრულებდა მაშო ლოპატო თავის დაპირებას. გულის სიღრმემდე თავმოყვარეობაშელახულმა სალომემ ნათესავის ,,მზრუნველობაზე'' უარი თქვა. ობლებისათვის კარგი სწავლა-განათლება რომ მიეცა, იგი მალე მთელი ოჯახით თბილისში გადმოსახლდა. გიორგი სამოქალაქო სასწავლებელში მოაწყვეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ სწავლის ფულის დროზე შეუტანლობის გამო იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

სწორედ იმ დღიდან იწყება მისი ბაყალთან და მენახშირესთან მოჯამაგირეობა, ის მძიმე შრომა, რომლის შესახებაც ზემოთ ვლაპარაკობდით. გაჭირვებამ გიორგი ქუჩიშვილში სწავლის სურვილი მაინც ვერ ჩაახშო. იგი ეწყობა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ პრაქტიკულ საბაღოსნო ორწლიან სკოლაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს. ამ სკოლამ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საბაღოსნო სკოლაში ჩამოყალიბებული იყო არალეგალური მარქსისტული წრე; გ. ქუჩიშვილი მალე ამ წრის აქტიური წევრი ხდება, რევოლუციურ მოძრაობას უკავშირდება. 1903 წელს იგი მონაწილეობას იღებს ბოტანიკურ ბაღში მოწყობილ გაფიცვაში, რის გამოც აპატიმრებენ. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ქუჩიშვილი მუკუზანში მიდის და საუფლისწულო მამულში იწყებს მუშაობას. რევოლუციურად განწყობილი მომავალი პოეტი აქაც ვერ „ისვენებს", ღარიბ გლეხობას არალეგალურ ლიტერატურას უკითხავს და ეხმარება გათვითცნობიერებაში. გიორგი ქუჩიშვილი ხელისუფლების საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის მალე სამუშაოს კარგავს და კვლავ თბილისს უბრუნდება. ბევრს ეცადა იგი სადმე სამუშაო ეშოვა, მაგრამ ამაოდ. „საეჭვო პიროვნებისათვის" კარი ყველგან დახურული აღმოჩნდა. ამ დროს შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდა მის უმცროს ძმას დავით ჩხეიძეს, რომელიც ქართულ მწერლობაში ცნობილია თურდოსპირელის ფსევდონიმით. იგი უმუშევარ ძმას ფულით ეხმარება, საკითხავ წიგნებსა და აკრძალულ ლიტერატურას აწვდის.

1906 წელს დავითის ინიციატივით შაპიროგრაფზე იბეჭდება ახალგაზრდათა არალეგალური ჟურნალი „ჩვენი დროშა". მართალია, ამ ჟურნალის ტირაჟი ორმოც ცალს არ აღემატებოდა, მაგრამ კითხვით მას დიდძალი ახალგაზრდობა კითხულობდა, სასწავლებელში ეს ჟურნალი ხელიდან ხელში გადადიოდა. სწორედ ამ ჟურნალში დ. თურდოსპირელის ჩაგონებით გიორგი ქუჩიშვილი ბეჭდავს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პირველ ლექსს. ამ დროიდან გ. ქუჩიშვილი გამოდის ფართო შემოქმედებით გზაზე. ამიტომ ამბობს იგი: „თუ დღეს ქართველ მწერლობაში მეც ვიხსენიები, ეს მხო-

ლოდ ჩემი უმცროსი ძმის დ. თურდოსპირელის მეთხებით, რომლის წინაშეც მუდამ დავალებულად ვრაცხ ჩემს თავს".

გ. ქუჩიშვილი მალე პროფესიონალი მწერალი ხდება. 1914 წელს ზედიზედ იბეჭდება მისი ორი წიგნი. თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლექსების გამოქვეყნებისათვის მასზე კიდევ უფრო აძლიერებენ პოლიციურ მეთვალყურეობას. 1914 წელს კვლავ დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს, საიდანაც ამხანაგების დახმარებით ახერხებს განთავისუფლებას. ასეთი იყო პოეტის ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

* * *

გ. ქუჩიშვილი, როგორც პოეტი და მოქალაქე ხალხის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. მის შემოქმედებით საღამოებზე დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო, აუდიტორია პოეტს ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა, მისი სცენაზე გამოჩენა დაუსრულებელ ოვაციებს იწვევდა. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ მწერალი ერ. ქარელიშვილი:

,,ეს იყო 1936 წელს. მე მაშინ გურჯაანის საშუალო სკოლაში დირექტორად ვმუშაობდი. გ. ქუჩიშვილს გურჯაანის სადგურზე სრულიად მოულოდნელად შევხვდი. საუბარი ხეირიანად არც კი დაგვეწყო, რომ ხალხი შემოგვეხვია. ისინი გიორგის მისჩერებოდნენ და ჩურჩულებდნენ: —ქუჩიშვილია, შეხედე, რა ახალგაზრდად გამოიყურება, მე უფრო მოხუცი მეგონა! მისი ლექსები ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ წამიკითხავს და მისწავლია!

ამ ჩურჩულით გათამამებულმა გადავწყვიტე იმ დღესვე ქუჩიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო მომეწყო რკინიგზის კლუბში.

ცუდი ამინდი დადგა.

საღამოს დაწყებამდე ორი საათი იყო დარჩენილი, როცა აფიშები გამოაკრეს. ყველას გვეშინოდა, გიორგიც შეწუხებული იყო—რატომ აიხირე,—მისაყვედურებდა,—ამ წვიმაში რა საღამო მოეწყობა. ვინ გასწირავს ჩემი გულისათვის თავს!—ამბობდა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად.

პასუხს არ ვაძლევდი. ძლიერ ვწუხდი უამინდობის გამო მოვიდა საღამოს დაწყების დროც. კლუბში უკანა კარიდან შეუმჩნევლად შევედით. სცენიდან ჩუმად ვათვალიერებდი პარტერს. დამსწრეებს თითებზე ვითვლიდით... ვღელავდით... ვღელავდით ყველა... არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ კლუბს უამრავი ხალხი მოაწყდა. მოდიოდნენ სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, რამდენიმე წუთში დარბაზი ისე აივსო, რომ ტევა აღარ იყო.

ფარდა გაიხსნა. ცენტრში იჯდა გ. ქუჩიშვილი. უცბად ტაშმა იგრიალა და მთელი დარბაზი ფეხზე ადგა..." („დამსახურებული სიყვარული", ჟურნალი „პიონერი", 1944 წ., № 11).

ეს არ იყო ერთი ცალკეული ბედნიერი შემთხვევა. გ. ქუჩიშვილი ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო. ,,თვალში რომ ჩამვარდნოდა,—წერს ი. გრიშაშვილი,—ხელს არ მოვისვამდი'' (მოგონებიდან—,,მე და ქუჩიშვილი''). იქვე ვკითხულობთ: ,,გიორგი როგორც პოეტი— ქართული პოეზიის მოვარდნილი ჩანჩქერი, როგორც ადამიანი—უანგარო და ალალი პიროვნება—ამხანაგებისათვის სულს არ დაიშურებს. მას მეტად მგრძნობელი და აზიზი გული აქვს: ამტანი და გამტანი.'' ქუჩიშვილის უახლოესი მეგობარი ნინო ნაკაშიძე თავის ,,მოგონებებში'' წერდა: ,,ცხოვრებაში გიორგი უბრალო, გულკეთილი კაცი იყო, არავის ახსოვს მისგან წყენა''. ეს უბრალოდ და მოკლედ თქმული სიტყვები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ ადამიანის ბუნებაზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელ ხალხს მოახმარა და რომლის მთელი შემოქმედება ნასაზრდოებია ხალხური სიტყვიერების მადლით.

* * *

ადრინდელი თაობის პოეტებიდან გ. ქუჩიშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მთელი არსებით იგრძნო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი დიადი ხანის დასაწყისი და გულწრფელად მიესალმა კიდეც განახლებულ და აღორძინებულ საქართველოს. გ. ქუჩიშვილმა თავისი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი გამოხატა ლექსში ,,საქართვე-

ლო ‘‘ (1921 წ.). ამ დღიდან იგი აქტიურად ებმება ახალი ცხოვრების მშენებლობაში, დაუცხრომლად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინებისა და განვითარების საქმეში, მკაცრად უპირისპირდება დეკადენტურ პოეზიას, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ ბოგინობდა:

თქვენი მუზაა ნაზი ამური,
მის საამური
ჰიმნიც შეჰქმენით;
მე კი რუხ ქარხნებს
მივაპყარ ყური
და მედიდური
ხმათა მოსმენით
შევქმენ ლექსები
მუსიკალური,
პროლეტარული
განცდით და რწმენით.

(,,პოეტებს‘‘)

გიორგი ქუჩიშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია რევოლუციური რომანტიკა და პათოსი, პოლიტიკური სიმახვილე და ახლის გრძნობა. მთელი მისი შემოქმედება ცხოველმყოფელი იდეურობით და მხატვრული სრულყოფით გამოირჩევა. გ. ქუჩიშვილის ლექსები ხალასი ნიჭის ნაყოფია. ,,ყველა მისი ლექსი განწყობილების მუსიკაა, ყველა პოეტი წერს ლექსს, გ. ქუჩიშვილი ჰქმნის განცდის მუსიკას ლექსად‘‘, (ნ. ლომოური). ,,ქუჩიშვილის ტექსტზე შექმნილია სამოცდაათზე მეტი სამუსიკო ნაწარმოები; უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა ყველა ისინი საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის‘‘ (შ. კაშმაძე, ,,პოეტი და კომპოზიტორი‘‘. გაზ. ,,ლიტერატურა და ხელოვნება‘‘, 1952 წ., № 8).

* * *

გ. ქუჩიშვილის შემოქმედება ორ ძირითად პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდის მისი ლექსები ხმალშემართული შეტაკებაა შავბნელი რეჟიმის, უბრალო ადამიანების უმოწყალო

ექსპლოატაციაზე აგებული სისტემის წინააღმდეგ, იმ სისტემის წინააღმდეგ, სადაც ადამიანის თავისუფლების პრინციპი აბუჩად იყო აგდებული, სადაც გაბატონებული იყო საშინელი ცინიზმი. ამის დიდებულ მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც ლექსების ციკლი—,,ქუჩის ცრემლები'', სადაც მზის სინათლეზეა გამოტანილი მაშინდელი ყოფის ამაღელვებელი სურათები.

პოეტი არ კმაყოფილდება აღმაშფოთებელ მოვლენათა მხოლოდ გამოსახვით. იგი არც იმიტომ ხატავდა გაუბედურებული, ფსკერზე დაცემული ადამიანების შემაძრწუნებელი ცხოვრების სურათებს, რომ მდიდართა გრძნობებზე ემოქმედა, მათში სინდისი გაეღვიძებინა. ქუჩიშვილი უტოპისტი როდი იყო. იგი მოითხოვდა სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნას და ამის შემძლე რეალურ ძალებსაც კარგად ხედავდა (,,გახსოვდეს'', ,,სიტყვა მუშისა'', ,,რეაქცია'', ,,მუშათა სიმღერა'' და სხვ)'

ვიყავ პოეტი,
მაგრამ გულში ვკლავდი სინაზეს,
ყვავილთა ნაცვლად
პოეზიის ლენცოფებ'ს ვშლიდი;
სულს მიშფოთებდა კაცთ მონობა
დედამიწაზე
და ამბოხების მოლოდინში
წუთებს ვითვლიდი.

ეს ლექსი პოეტმა დაწერა 1922 წელს და ამით მან სავსებით სწორად შეაჯამა თავისი ადრინდელი შემოქმედებითი გზა. ამ გზაზე ზოგჯერ პოეტის სევდიანი ხმაც ისმოდა, რაც შავბნელი რეაქციის დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი ანარეკლი იყო. მაგრამ სევდიანი მოტივები ქუჩიშვილის პოეზიაში იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მასზე არ შევჩერდებით.

გ. ქუჩიშვილს ჰქონდა უფაქიზესი ემოციური სამყარო, რაც დიდად განასხვავებდა მას დროსა და სივრცეს მოწყვეტილი პოეტების ემოციური სამყაროსაგან.

გ. ქუჩიშვილის აზრით, ნამდვილი ლექსი ისაა, რომელსაც თავისი დროის ბეჭედი აზის, რომელშიც ცხოვრება ღელავს და ბობოქრობს:

ურგია ლექსი,
უაზრო,
დუნე,
უსისხლო,
უფხო,
უხერხემალო,
თუ ვერ გაუძლოს
მძაფრ საუკუნეს,
თუ ფოლადივით
ვერ იზრიალოს,—
სჯობს ნაგვის ყუთში
გადაისროლო,
ან სათამაშოდ
ბალღს მისცე მხოლოდ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტის ეს მრწამსი დღესაც ძალაში რჩება, ეს არის ჭეშმარიტი პოეზიის ჭეშმარიტი პრინციპი, რომლის საფუძველზე შექმნილი ლექსი ყოველთვის გაუძლებს დროის მსჯავრს. ამის საუკეთესო მაგალითია თვით გ. ქუჩიშვილის პოეზია, რომელსაც მუდამ უდიდესი სიყვარულითა და ინტერესით ვეწაფებით.

გ. ქუჩიშვილი მხარდამხარ მიჰყვებოდა ჩვენს მჩქეფარე და აბობოქრებულ ცხოვრებას და ხელოვნების არმიას მასების სამსახურისაკენ მოუწოდებდა („ხელოვნების არმიას").

ქუჩიშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია ორატორული ინტონაცია და მომწოდებელი ლირიკის მგზნებარება:

დაჰკა! დაჰკა! შრომის ჰანგი
მძლავრად ააწკრიალე!
ალმოდებული პერანგი
დროშად ააფრიალე!

ლექსი „დაჰკა! დაჰკა!" (1922წ.), საიდანაც მოვიტანეთ ეს სტრიქონები, გამოხატავს ახალშობილი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სულისკვეთებას, ახალ თვისებებსა და სულიერ მოთხოვნილებებს. გ. ქუჩიშვილის ღრმა შთაგონებით აღსავსე ლექსები მძაფრად ეხმაურებოდა სოციალისტური საქართველოს მშენებელი ადამიანების სულსა და გულს. გ. ქუჩიშვილის ლექსები ჩვენი დიადი სამშობლოს კონკრეტული ისტორიული სინამდვილის ანარეკლია, რომელშიც აღბეჭდილია ეპოქის რიტმი, როგორც რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთი

თავისებურება, იმ პოეზიისა, რომლის ორკესტრს თანდათანობით შეუერთდა ქართველი პოეტების შემდეგი თაობა.

გ. ქუჩიშვილი ეკუთვნის ქართველ მწერალთა იმ რიგს, რომელთაც გააჩნიათ საზოგადოებრივი მოვლენების ობიექტურად შეფასების დიდი უნარი. მისი პოეზია უაღრესად დემოკრატიულია, შთაგონებული საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი იდეით:

ვიდრე ვსულდგმულობ
დედამიწაზე,
ჩემო სამშობლოვ,
გწამდეს, იცოდე:
შენს ძლიერებას
და სილამაზეს
შევუქმნი შენებრ
მშვენიერ ოდებს.
და თუ არსებობს
ისეთი ხელი,
შენზე აღმართვა
რომ დააპიროს,—
მყის მოჰკვეთს ჩემი
მახვილი მჭრელი,
რომ შენი გული
არ გაიგმიროს!

(„დიად სამშობლოს“)

გმირული სული და ვაჟკაცური შემართება ქმნის გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ერთ მთლიან შთამაგონებელ, ემოციურ სიმფონიას დიადსა და უძლეველ საბჭოთა საქართველოზე.

საბჭოთა ხალხების შრომით და ძმობით აღტაცებული პოეტი თავის უსაყვარლეს ხალხს, რომლის სამსახურში დალია მან სახელოვანი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, ასე მიმართავს:

დღესაც შენთან ვარ,
შენ გიგალობ ქებათაქებას,
სამარეშიაც თან ჩამყვება
მე შენი ტრფობა;
ვეთაყვანები შენს მარჯვენას,
შენს ძლიერებას,
შენს მკერდს გაღეღილს,

შენს წმინდა ოფლს,
შენს მტკიცე ძმობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქუჩიშვილის პოეზიის საფუძველს შეადგენს კაცობრიობის პროგრესის რწმენა, კაპიტალისტური ქვეყნების ხალხების მონური ბორკილებისაგან განთავისუფლების იდეა. ლექსში „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიების მშრომელ მასებს" (1931 წ.) პოეტი ძმურ სალამს უთვლის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ მებრძოლებს და გამოთქვამს იმედს, რომ მათ მიერ გაჩაღებული ბრძოლა მიზანს მიაღწევს:

გაუმარჯოს ყველა იმ ხალხებს
და ყველა ქვეყნის
დამონებულ
მშრომელთა ტომებს,
რომლებიც ლეწენ ბორკილებს და
სწყვეტენ არტახებს
და აჩაღებენ შინ თუ გარეთ
კლასობრივ ომებს!

გ. ქუჩიშვილისათვის არც სატრფიალო ლირიკა იყო უცხო. „ერთხელ,— წერს ი. გრიშაშვილი,— განსვენებულმა მომღერალმა სანდრო კავსაძემ ერთი პატარა ლექსი ჩამაწერინა: ხალხურიაო! ძალიან მომეწონა:

კოხტა გოგო წყალზე მიდის
კოხტა თიხის სურითა.
ბროწეული იშლება,
ამის სიმწითურითა,
მკერდი ისე უღელავს
ორი ბუდეშურითა,
რომ ზღვა დამშვიდებული
ღელვას იწყებს შურითა.

და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეს ლექსი ქუჩიშვილის კრებულში ვნახე" (ი. გრიშაშვილი, თხზულებანი ტ. V, გვ 314). არა მარტო „კოხტა გოგო წყალზე მიდის", არამედ მრავალი მისი სატრფიალო ლექსი გადასულია ხალხში („ოცნების დედოფალს", „ფარული სიყვარული" და სხვ.) ამ ლექსებში პოეტი „დიდი მოკრძალებით ლაპარაკობს

საყვარელ ქალზე და თავის გულწრფელობითა და გრძნობის სილრმით ახალ ელვარებას აძლევს ცის ყველა მნათობს, ოცნების კოშკებს, ვარდებისა და იასამნების ბუჩქებს და სხვა პოეტურ სახეებს, რომელნიც უიმედოდ გაცვეთილნი გვეჩვენებოდნენ, თუ ისინი ყოველთვის არ განახლდებოდნენ ისეთი ნამდვილი მხატვრის ფუნჯის ქვეშ, როგორც გ. ქუჩიშვილია, (გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, გვ. 327).

გიორგი ქუჩიშვილი ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა საბავშვო ლიტერატურის დარგშიც. სიკვდილის უკანასკნელ დღემდე ზრუნავდა ჩვენს მომავალ თაობაზე, როგორც აღმზრდელი მამა, პედაგოგი და შთამაგონებელი პოეტი.

გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსები გამოირჩევიან იდეური სიმახვილითა და მძაფრი პათოსით; აღსანიშნავია, რომ გიორგი ქუჩიშვილის მიერ პატარებისათვის და მოზრდილთათვის დაწერილი ლექსების თემა თითქმის ერთნაირია. მაგრამ მათ გაშუქება სხვადასხვაგვარი აქვთ, ისიც არა იდეური თვალსაზრისით, არამედ გამოხატვის ფორმით. პოეტი ბავშვებს ყოველთვის ესაუბრება ცხოვრების ყველა დიდმნიშვნელოვან მოვლენებზე, მაგრამ მათთვის გასაგები ენით. ერთი სიტყვით, გ. ქუჩიშვილის საბავშვო პოეზიაში საგნისა და მოვლენის თავისებურებანი წარმოსახულია მკითხველის გონებისათვის სავსებით მისაწვდომი ემოციური სურათებითა და სახეებით.

გ. ქუჩიშვილმა თავისი ადრინდელი საბავშვო ლექსები მიუძღვნა:

> მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც დაუხეთქია
> ქალაქის მარმარილოს ცივი კედლები;
> მათ, რომელთა მომსკდარ ცრემლთა ღვართქაფსაც
> აუყრია ქუჩის ქვაფენილები;
> მათ, რომელთა სიშიშვლესა და სიძვალტყავესაც
> დამფრთხალ ცახცახით შემოუვლია სიმდიდრით სავსე,
> ძუნწი ქალაქი
> და რომელთა საზრდოც ყოფილა ნერწყვი...

გ. ქუჩიშვილი იყო ჭეშმარიტი მებრძოლი მწერალი, რომელიც მოურიდებლად და უშიშრად ამხელდა ძველი საზოგადოების უკიდურეს ეგოიზმსა და გულქვაობას. მისი ლექსები მოგვითხრობენ მშიერსა და ფეხშიშველა პატარა ბიჭიკო-

ებზე („ქუჩის ბიჭიკო"), რომლებსაც არავინ იბრალებს; ხელებგაშვერილ საბრალო გოგონაზე („ქუჩის გოგონა"), რომელსაც ზედაც არავინ უყურებს. მწერალმა იცის, ერთიცა და მეორეც დასაღუპავად არის განწირული უსამართლო ცხოვრების მიერ. რევოლუციურად განწყობილი პოეტის მიერ დახატული ეს მძიმე სურათები სასიკვდილო განაჩენი იყო იმ საზოგადოების მიმართ, რომელმაც უმანკო ბავშვები უფსკრულის პირას მიიყვანა; ამავე დროს ეს სურათები დაბეჩავებულ და ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულ ბავშვებს ამხნევებდა და სულიერად ამაღლებდა, უკეთესი მომავლის რწმენას უნერგავდა („აბუზულ ბავშვებს" და სხვ.), პოეტმა კარგად იცოდა, რომ ამ უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად საჭირო იყო შეუპოვარი ბრძოლა, მჩაგვრელთა განადგურება. ასეთი შინაარსის მატარებელია მთლიანად გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედება.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა პოეტს ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა: ამ დროიდან არსებითად შეიცვალა მისი საბავშვო პოეზიის მოტივები და ჰანგები, თემატურად გამრავალფეროვნდა, უფრო სრულყოფილი გახდა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

ჩვენი ბავშვების ლაღი ცხოვრება ახარებს და ამაღლებს პოეტს.

აი, როგორი სიტყვებით მიმართავს იგი თავის საყვარელ პატარებს, რომელთაც არ აკლიათ არაფერი, რაც კი ადამიანის სიხარულისა და ბედნიერებისათვის არის საჭირო:

მახარებთ,
რადგან მაგონებთ,
მეც რომ ვიყავი პატარა;
მხოლოდ ერთი რამ მაღონებს:
სკოლაში არვინ მატარა.
თქვენთვის კი ყველგან ღიაა
საბჭოთა სკოლის კარები,
და მეც რომ ბალღად მაქცია,—
მოწაფედ მივებარები.

გიორგი ქუჩიშვილის მთელი შემოქმედება ემსახურება ბედნიერი ახალგაზრდობის, ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდას,

მათში პატრიოტული გრძნობების გაღრმავებას. მისი ლექსები გამსჭვალულია ინტერნაციონალური გრძნობით და შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი პატარა საბჭოთა მოქალაქეების სულისკვეთებას:

მოვფრინავთ,
მოგვიხარია,
შიკრიკებს გარჯა-შრომისა,
ჩვენს მწკრივში ერთად არიან
შვილნი სხვადასხვა ტომისა!
მოვქრიავართ,
მოგვაქვს სალამი
როგორც მზე მომავალისა,
ასი ათასი სალამი
ასი ათასი თვალისა.

ეს ლექსი, ,,ოქტომბრელების სიმღერა'', 1922 წელს გამოქვეყნდა. ამის შემდეგ პოეტი დაუღალავად ემსახურებოდა საბჭოთა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების უდიდეს და უმნიშვნელოვანეს საქმეს.

დიდი მხატვრული ოსტატობით და სიმართლით არის დაწერილი მისი ლექსი ,,პიონერთა საკავშირო შეკრება მოსკოვში''. მწერალი თითქოს თვითონ იყოს უშუალო მონაწილე, ისე გესაუბრება პატარების სიხარულზე. აი, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ნორჩები მიისწრაფვიან მოსკოვისაკენ პიონერთა საკავშირო შეკრებაზე. მათი სურვილია, რაც შეიძლება მალე შეხვდნენ ერთიმეორეს და უამბონ თავიანთ ცხოვრებაზე, შრომაზე, სწავლაზე, სიხარულსა და ბედნიერებაზე.

ლექსები: ,,ოქტომბრელების სიმღერა'', ,,პიონერთა საკავშირო შეკრება მოსკოვში'', ,,ბავშვთა საერთაშორისო ჰიმნი" თითქოს ერთი მთლიანი ნაწარმოებია. მათ ერთნაირი მოტივი და სიუჟეტი უდევთ საფუძვლად. თითოეული მათგანის თემა, ყველა ქვეყნის ბავშვთა მტკიცე ძმობისა და სიყვარულის იდეით შთაგონებული, სხარტად და დამაჯერებლად, ძლიერი გრძნობით არის გადმოცემული.

ჩვენი ძლევამოსილი საჭშობლოს მომავალი თაობა ღირსეული განმგრძობი უნდა იყოს ღირსეული მამებისა და ძმების საქმისა, ვინც ააშენა სოციალიზმი და ახლა კომუნიზმს

აშენებს. ამიტომაა, რომ პოეტი ასე გატაცებით მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაზე.

1936 წელს გ. ქუჩიშვილი თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას ეწვია და იგი პიონერებმა წითელი ყელსახვევით შეამკეს. აღფრთოვანებულმა პოეტმა პიონერების წინაშე ფიცი დადო, რომ იგი არასოდეს არ შეარცხვენდა პიონერის მაღალ სახელს.

და სარდლობამ თუ მიბრძანა,
თუ მეც ომში გამიძახეს,—
როგორც წითელარმიელი,
დროშად გავშლი ამ ყელსახვევს
და შაშხანით ვეკვეთები
ჩვენი საზღვრის გადმომლახველს!

პოეტმა პიონერებისადმი მიცემული სიტყვა ღირსეულად შეასრულა. ომის მძიმე წლებში ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში, სკოლებში გიორგი ქუჩიშვილი მგზნებარე ლექსებით გამოდიოდა და ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

გიორგი ქუჩიშვილმა მრავალი საუკეთესო ლექსი შექმნა სამამულო ომის წლებში. პოეტი ომის ყველაზე მრისხანე დღეებში კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა და ჯარისკაცების გვერდით, სანგრებში ქმნიდა შთამაგონებელ საბრძოლო სიმღერებს. იგი მოუწოდებდა მებრძოლებს, დაეცვათ სამშობლო, შური ეძიათ და გაენადგურებინათ მომხდური მტერი. სამამულო ომის თემაზე დაწერილი გ. ქუჩიშვილის ლექსები სრულიად ახალ ციკლს ქმნიან პირადად პოეტის მებრძოლ პატრიოტულ ლირიკაში და, საერთოდ, ქართულ პოეზიაში.

მაგრამ იმავე დროს სულ სხვაგვარად, სხვანაირი ტონებითა და ფერებით წერდა იგი ბავშვებისათვის. პოეტი თითქოს შეგნებულად არიდებდა პატარებს ომის საშინელებათა სურათებს და თავისებურად, მამობრივი თბილი გრძნობით გამთბარ სტრიქონებს უძღვნიდა მათ:

რა ლალის დილა გათენდა!
რა ხალისია!
რა შვება!
მზე თბილისს დაქათქათებს და

სიო მტკვარს ეთამაშება!
რა ჭრელი ყვავილებია,
რა ყელღაბუა ბალღები;
ფრინველებს ეგებებიან,
ფრინველებივით ლაღები!
ალერსით ეკითხებიან:
„ჩიტებო,
გენაცვალებით,
ხომ არ გინახავთ ფრონტებზე
მებრძოლი ჩვენი მამები?“
„ჰო, როგორ არა,
გვაფიცეს,
გადმოგცეთ მათი სალამი.
მტერს მოჰკიოდნენ,
მოჰქროდნენ
ალმოდებული ალამით!“

ღრმა და გულშიჩამწვდომია გ. ქუჩიშვილის პატრიოტული ლირიკა. ეს მოტივი პოეტის შემოქმედებამ თავის პირველ ნაბიჯებზე შეისისხლხორცა. ამ მხრივ იგი დიდი ილიას და აკაკის ღირსეული მემკვიდრეა, სამოციანელთა სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელია.

'მთაგონების ძალა, უბრალოება, აზრის სილამაზე და სინათლე განუშორებლივ თან ახლავს მის პატრიოტულ ლექსებს:

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს—
სიმღერა რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს!
ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს,—
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს.

ქართული პოეზია, საერთოდ, ძნელია წარმოიდგინოთ ბუნების გარეშე, გ. ქუჩიშვილის ლირიკაშიც ფართო ადგილი ეთმობა ამ მოტივს, ხოლო მის საბავშვო ლექსებში თავისებურად, გარკვეული კუთხითა და მიმართულებითაა დანახული სამყარო, ვინაიდან თვით ბავშვიც თავისებური უშუალობით შეიმეცნებს ბუნების ყოველ მოვლენას. ამ მხრივ

პოეტის წინამორბედად დიდი ვაჟა გვევლინება. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიად არ ვაპირებთ ვამტკიცოთ, რომ გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსებში იგრძნობა დიდი ქართველი პოეტის ამა თუ იმ ლექსის გავლენა, მაგრამ ზოგადად ბუნების აღქმა, მისი განცდა და გადმოცემა გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსებში ვაჟასეულია—განსულიერებული და გაცოცხლებულია.

მზე გამოკრთა,
მზე პირს იბანს,
მზემ ქვეყანას
გაუღიმა
და გაბა
მთიდან მთაზე
სხივთა ლარი
ოქროს სიმად.

გ. ქუჩიშვილის ლექსებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „ნაძვის ხესთან". აქ ისეთი საგნებია ჩამოთვლილი, რომელთა გაცნობა და შესწავლა ჩვენი ბავშვებისათვის სასარგებლო და აუცილებელია. აქ შეგხვდებათ „ცხოველების დასი", „ფრინველების ფრთაგაშლილი გუნდი", ავტომობილი, კოხტა გემი „საქართველო", ტრაქტორი და მძლავრი კომბაინი, სულ მაღლა კი ნაძვის წვერ-კენწეროს დასტრიალებს ,,შავარდენი რკინისა''; სწორედ ამ რკინის შავარდენმა დაიპყრო არქტიკა, გვიჩვენა ,,საქმე გასაკვირი''. მეტად მიმზიდველი და ცხოველმოქმედია ამ შემთხვევაში პოეტის მხატვრული სტილი და მეთოდი. ლექსის მიზანი ჭეშმარიტად მიღწეულია. აქ ბავშვი მისთვის ყველაზე საყვარელ, ყველაზე ახლობელ გარემოში, სიხარულისა და აღტაცების ატმოსფეროში ეცნობა მრავალრიცხოვან საგნებსა და მათს დანიშნულებას.

ოთხი-ხუთი წლის ასაკის ბავშვს შეუძლია დიდხანს და დიდი ინტერესით უსმინოს მოთხრობასა და ლექსს (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ლექსი), ზეპირადაც კი ისწავლოს იგი, მაგრამ მას ჯერ კიდევ უნარი არ შესწევს ანალიზი გაუკეთოს მის შინაარსს. ბავშვში აღფრთოვანებას იწვევს მელოდია, მის ყურადღებას იპყრობს ლექსის მუსიკალო-

ბა. ეს შესანიშნავად იცოდა გიორგი ქუჩიშვილმა. სწორედ ამიტომაა, რომ მისი სკოლამდელი ლექსები ძალზე მუსიკალურია და ბავშვზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. აქ მხედველობაში გვაქვს ციკლი „პაწია მეგობრებს", სადაც ყველა ლექსი კეთილხმოვანია და ბავშვებს თანდათანობით უღვიძებს ესთეტიკურ გრძნობას და შინაგან რიტმულ ემოციას.

გ. ქუჩიშვილის საბავშვო ლექსების ფორმა, პირველ ყოვლისა, ემყარება აზრის სიცხადეს, მკაცრ გამოკვეთილობას, მეტრულ თანაზომიერებასა და თავისუფალ რიტმს, ყოველივე ამას თან ერთვის მეტად მგრძნობიარე შინაგანი მუსიკალური ჟღერადობა. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი სწორედ ამიტომ ამბობდა, გ. ქუჩიშვილის ლექსი მეტად ჟღერადია და თითქმის ყველაზე კარგად გადადის მუსიკალურ ენაზეო. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა პოეტის გრძნობა კომპოზიციისა და მისი დახვეწილობა. ამან განაპირობა გ. ქუჩიშვილის ფართო პოპულარობა პატარა მკითხველთა შორის. ეს პოპულარობა იმდენად ფართოა, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ მშობლიური ენისა და ლიტერატურის რომელიმე სახელმძღვანელო პოეტის ლექსების გარეშე.

* * *

1946 წელს, 25 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში აღინიშნა გ. ქუჩიშვილის დაბადების 60 წლისთავი. პოეტი ავადმყოფობის გამო არ დასწრებია საღამოს, ლოგინად ჩავარდნილი რადიოთი ისმენდა გულთბილ სიტყვებსა და მილოცვებს. ეს იუბილე იყო, ნ. ნაკაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გ. ქუჩიშვილის ცხოვრების ლამაზი ბოლო სიტყვა. იგი გარდაიცვალა 1947 წლის 20 იანვარს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავისი საყვარელი პოეტი დიდი პატივისცემით დაკრძალა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. აქ მას ღრმა გულისტკივილით და მწუხარებით ეთხოვებოდნენ მწერლები და მეცნიერები,

ხელოვნების მოღვაწეები და მშრომელთა წარმომადგენლები. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი იყო მისი ყრმობის მეგობრის, დიდი საბჭოთა პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის სიტყვა, რომელიც განსვენებულისადმი მიძღვნილი ლექსით დამთავრდა:

ხალხის გულისთქმის გამომსახველი,
გამარჯვებაა შენი ძახილი...
გემშვიდობება ტოლი და სწორი:
უკვდავ არს ქვეყნად შენი სახელი.

მარიამ ალექსიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ ალექსიძე (მარიჯანი) კარგა ხანია ეწევა დაუღალავ შემოქმედებით მოღვაწეობას. იგი არა ერთი საბავშვო წიგნის ავტორია: „მამიდა თეოს მარანში", „ჩვენი ქვეყანა", „მზიური ქვეყნის ბავშვები", „პარაშუტი" და სხვ. ჩვენი ნორჩი თაობის ვანუყრელი და საყვარელი საკითხავი წიგნებია.

მარიამ ალექსიძე დაიბადა 1890 წლის 25 ივლისს თბილისში. 1908 წელს დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია. ამ დროისათვის პოეტი ქალი უკვე წერდა ლექსებს. მან 1916 წელს გამოაქვეყნა კიდეც თავისი პირველი ლექსი. 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწორედ აქ შეიცნო თავისი ჭეშმარიტი მოწოდება. მ. ალექსიძის ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება იმ დღიდან იწყება, როცა მიაგნო სათქმელს და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დაიწყო წერა. ეს იყო მისი ჭეშმარიტი მოწოდების სფერო და, უნდა ითქვას, საგულისხმო და თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწია. ამასთან, მ. ალექსიძე სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა.

საბავშვო ლიტერატურაში მარიჯანის პირველი სერიოზული ცდა იყო "ვრცელი ლექსი „ნელი ცირკში", სადაც მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის ტალანტი. ეს სადა და მიმზიდველი პოეტური თხზულება ერთბაშად გადაიქცა პატარების საყვარელ წიგნად. დიდი ხანი გავიდა ამ წიგნის დაწერიდან, მაგრამ მარიჯანის პაწია მკითხველები დღესაც გულისფანცქალით ისმენენ, როგორ წაიყვანა პატარა ნელი დედამ ცირკში, სადაც ცუგრუმელა გოგომ ნამდვილი ჯადოსნური ამბები იხილა.

ნელისთან ერთად მკითხველები გაოცებით შესცქერიან ორ ბოძს შუა გაჭიმულ მავთულზე ჯამბაზების თავისუფალ ხტომას და ვარჯიშს, აქლემთა ქარავანს, მუსიკის ხმაზე რიტმულად რომ მიაბიჯებენ არენაზე. ლექსში საინტერესოდ დახატული სურათები კინოკადრებივით ცვლიან ერთმანეთს. პატარა მკითხველიც სულგანაბული ადევნებს ყოველივეს თვალყურს. ეს იმიტომ, რომ მწერალმა შესანიშნავად მოძებნა ფონი, სადაც ცოცხლობენ პატარების ინტერესები, სწორად მოძებნა მეთოდი, რომელსაც თვალსაჩინოება ეწოდება პედაგოგების ენაზე.

ამას მოჰყვა ლექსები: ,,ლეოს დაბადების დღე'', ,,ცელქი გიგლა'', ,,საპნის ბუშტები'', ,,ბავშვების მიბაძვა'' და სხვ.

მარიჯანის ყოველი საბავშვო ლექსი მტკიცე და გარკვეული მიზანდასახულობით ხასიათდება. მწერალმა იცის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყველაზე ახლობელი აღმზრდელი და მასწავლებელი მხატვრული ნაწარმოებია. საბავშვო ლექსმა რაიმე ახალი უნდა ასწავლოს აღსაზრდელს, გაუხსნას და გაუფართოოს გონება ცხოვრების ცოდნით.

ლექსში ,,ლეოს დაბადების დღე'' მეტად ორიგინალური ამბავია მოთხრობილი. პატარა ლეო 29 თებერვალს 5 წლისა გახდება. იგი მოუთმენლად მოელის მეორე დღის გათენებას, მაგრამ დილას რომ წამოდგა და აფურცლა კალენდარი, დაინახა, უკვე მარტი დამდგარიყო. აი, აქ მიეცა მწერალს საშუალება განემარტა პატარებისათვის ამ უცნაური ამბის მიზეზი. ხოლო ამას თავისთავად მოჰყვა კალენდრის თავისებური დახასიათებაც. ამრიგად, ბავშვები სწავლობენ წელთა აღრიცხვის ერთ მეტად საინტერესო მოვლენას, ხოლო ეს თავისთავად აღძრავს პატარებში სურვილს — უფრო ღრმად გაერკვნენ მათთვის საიდუმლოებით მოცული სამყაროს ამბებში.

ლექსში ,,ცელქი გიგლა'' მწერალი გვიხატავს ცუღლუტი ბიჭუნას პატარა თავგადასავალს. ერთხელ ფიდოს ურიკით მიჰქონდა ბოსტნისათვის შავი მიწა; გიგლამ ,,ეს რომ დაინახა, სიცილისაგან გაიფხრიწა'', გადაწყვიტა, ჩავჯდები და მეც წამიყვანსო. ჩაჯდა ურიკაში არხეინად და უდარდელად, მაგრამ მოხდა გიგლასათვის მოულოდნელი რამ: როცა ფიდომ

მიწა გადასცალა ბოსტნის კვალზე, გიგლაც იმ მიწას მიაყოლა. ამრიგად, ცუღლუტი ბიჭი, რომელიც სხვის გამასხარავებას აპირებდა, თვითონ აღმოჩნდა სასაცილო მდგომარეობაში. ავტორი გიგლას სასაცილო თავგადასავალში მიგვანიშნებს, რომ ცუღლუტობას ცუდი შედეგი მოსდევს და იგი თვითონ ონავარს გადახდება თავს. ეს გაფრთხილება კი ძალზე დასამახსოვრებელი ხდება ლექსის შთამბეჭდავი და ცოცხალი სახეების მეშვეობით.

მკაფიო მიზანდასახულობა, თვალსაჩინოება, დახვეწილი ტაქტი და მხატვრული ზომიერება დამახასიათებელია მარიჯანის საბავშვო ლექსებისათვის, რომელთა ენა როგორღაც პატარების ჟღურტულს მოგვაგონებს:

„მე შავგულა ყაყაჩო ვარ,
წითელი და სიფრიფანა,
ჩემით არის მოვლებული
მინდორი და პურის ყანა.
მე დღეგრძელი სულ არა ვარ,
ძნელად ვიტან ქარს და სიოს:
მეშინია ბავშვის ხელმა
ღონივრად არ შემარხიოს!“

(„ყაყაჩო“)

სწორედ ეს თვისებები განაპირობებს მარიჯანის საბავშვო ლექსების ფართო პოპულარობას მკითხველთა შორის.

მარიჯანი საბავშვო მოთხრობების ავტორიცაა. პროზაში მან 1933 წლიდან დაიწყო მუშაობა. ამ მხრივ მისი პირველი ნაწარმოებია ვრცელი მოთხრობა „ზურა ატმის ქალაქში“. მწერალმა აქ ერთბაშად ვერ მიაგნო საბავშვო მოთხრობისათვის დამახასიათებელ ფორმას. განსაკუთრებით გეცემათ თვალში მისი ექსპოზიციური გაჭიანურებულობა, და ეს მაშინ საკვირველი ბუნებრივი იყო, მარიჯანს იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ გააჩნდა შემოქმედებითი გამოცდილება საბავშვო პროზის დარგში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული მოთხრობა დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურაში, როგორც სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე აგებული პირველი საბავშვო ნაწარმოები. ეს

მოთხრობა დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც კი იძენს. იგი თავისებურად ეხმაურება პარტიისა და მთავრობის მიერ საშუალო და უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ამ მოთხრობაში მწერალი მკითხველებს ესაუბრება შრომის უდიდეს აღმზრდელობითს მნიშვნელობაზე. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი, მოსწავლე ზურა, ოცნებობს გახდეს გორის საკონსერვო ქარხნის მუშა. მან იცის, რომ თავისუფალ შრომაშია ადამიანის უდიდესი ბედნიერება. ეს ჭეშმარიტი ბედნიერება მკვიდრდება მშრომელ კოლექტივში, სადაც ადამიანები ერთი დიდი მიზნისათვის იღვწიან. სწორედ ეს მიზნები აახლოებს ზურასა და მის ტოლ ბიჭს სერგოს. სწორედ გორის საკონსერვო ქარხანაში ჩაეყარა საფუძველი მათ მეგობრობას. და როდესაც ქარხნის ადმინისტრაცია ამ ორ ჭაბუკს ქალაქში გზავნის სწავლის გასაგრძელებლად, ისინი ბოლომდე ერთგული და განუყრელი მეგობრები რჩებიან. შრომა, მუდმივი სწავლა, მეგობრობა და სიყვარული—ამაშია საბჭოთა ადამიანის ბედნიერება — გვეუბნება მწერალი.

შემდეგში მარიჯანმა გამოაქვეყნა რიგი მოთხრობებისა, რომლებშიც უკვე იგრძნობა მწერლის დახვეწილი მანერა და ფსიქოლოგიურად უფრო მართალი სიტუაციები. ეს მოთხრობებია: „როგორ გავაგებინოთ", „ბევრზე ბევრი", „ბეჰემოტი", „ამანათი", „ცუდი ზღაპარი", „გემრიელი ხილი", „შაგი თვალები", „ფისო დაგვეხმარა", „ამდენი ბევრი", „როცა წვერულვაშიანი იქნები" და სხვ მწერალი გვიხატავს საზრიან და გონებამახვილ ბავშვებს, მათ მრავალფეროვან და მიმზიდველ ცხოვრებას. განსაკუთრებით კარგად არის გააზრებული პატარა მოთხრობა „როცა წვერულვაშიანი იქნები". იგი მოგვითხრობს პატარა ვახტანგის გონებამახვილობასა და ამავე დროს მის სასაცილო შედეგებზეც. ვახტანგს ძალიან უყვარდა უფროსებთან სუფრაზე ჯდომა. ამის გამო ერთხელ პაპამ უთხრა: „ჯერ შენთვის ადრეა უფროსებთან სადილის ჭამა, როცა ჩემსავით წვერულვაშიანი იქნები, მაშინ მე და შენ ერთად ვისადილებთო". მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებულ პაპას მაგიდასთან დაუხვდა ვახტანგი, რომელსაც სახეზე

თოვლის პაპას გრძელულვაშებიანი ნიღაბი აეფარებინა. პაპას გაეცინა,—ბერიკაცს გაუმარჯოსო, —მიესალმა და სუფრაზე მიიწვია. პაპა შვილიშვილს ყველაფერს სთავაზობდა სუფრაზე, მაგრამ სახეზე აფარებული ნიღაბი ვახტანგს საშუალებას არ აძლევდა ეგემნა რამე. ამ მოთხრობაში მწერალმა დაგვანახვა მეტად მიმზიდველი სახე მკვირცხლი ბავშვისა, რომლის ,,გონებამახვილობა'' და ,,მიხვედრილობა, ასე გულიანად აცინებს მკითხველს.

ღვაწლმოსილი მწერალი შესანიშნავად იცნობს თავისი პატარა მეგობრების ხასიათს. ეს ხასიათი მეტწილად მოულოდნელად იჩენს ხოლმე თავს. პატარები ძალზე თავმოყვარენი არიან. ისინი ვერ იტანენ ოდნავ შეურაცხყოფასაც კი. აი, ეს ამბავი ავტორს შესანიშნავად აქვს გააზრებული მოთხრობაში ,,ბეჰემოტი''. პატარა არჩილი ზოოპარკიდან სახლში დაბრუნდა. როგორც კი გაიხადა პალტო, მივარდა თავის უფროს ძმას გურამს და ცემა დაუწყო.. ყველანი გაოცებულნი არიან პატარა არჩილის საქციელით. მაგრამ მალე ირკვევა, რომ უფროს ძმას მისთვის თურმე ოდესღაც ,,ბეჰემოტი'' უწოდებია. მხოლოდ ზოოპარკში მიხვდა თავმოყვარე ბიჭი, როგორი შეურაცხყოფა მიუყენებიათ მისთვის. ეს პატარა ბუნებრივი კონფლიქტი მეტად ორიგინალურ სიტუაციაშია დანახული მწერლის მიერ. ამბავი სასაცილოცაა და დრამატულიც, მაგრამ მართალი და მეტად საგულისხმო.

საერთოდ, პატარებისათვის დაწერილი მარიჯანის მოთხრობები ძალზე მცირე მონაკვეთიანი სიუჟეტითა და მსუბუქი, გამჭვირვალე ფორმით ხასიათდებიან, თანაც უმთავრესად ერთ ეპიზოდზე არიან აგებული. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ლ. ქიაჩელის საბავშვო მოთხრობები. ამ მხრივ ორივე მწერალი ერთ მხატვრულ პრინციპს ემყარება. მარიჯანი ყოველთვის ისეთ ეპიზოდებს ხატავს, რომლებიც ტიპიურია პატარების ცხოვრებისათვის. ეს ითქმის არა მარტო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებზე, არამედ მოზრდილთათვის დაწერილ ლექსებსა და მოთხრობებზეც.

ადამიანის ცნობიერების განვითარების მეცნიერული ანალი-

ზი გვიჩვენებს, რომ ათი-ცამეტი წლის ყმაწვილს საკმაოდ გამომუშავებული აქვს უნარი საკუთარი თუ სხვისი საქციელის ავკარგიანობის განსჯისა. ეს წლები მის ცხოვრებაში გარდატეხისა და ხასიათის ჩამოყალიბების წლებია. განსაკუთრებით ძლიერდება და ემოციური ხდება ამ დროს ადამიანში წარმოსახვა და ფანტაზია. ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებს მასზე უღიდესი გავლენა შეუძლია მოახდინოს, დაეხმაროს გათვითცნობიერებასა და მოვლენების სწორ აღქმაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მარიჯანი უფროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში ყურადღებას ადამიანთა ურთიერთობასა და მათს მორალურ მხარეებზე ამახვილებს. მოთხრობა ,,სადურგლო სახელოსნოში'' სწორედ ამ თემისადმია მიძღვნილი. მოთხრობის მთავარი გმირები — ნოდარი, ჯანიკო, ნიკა, ალეკო ერთი სკოლის მოსწავლენი არიან, ამასთან პიონერთა სასახლის სადურგლო სახელოსნოში ხელგარჯილობას ერთად ეუფლებიან. ახალგაზრდა ხელოსნების ბრიგადირად ჯანიკო არის გამოყოფილი. ნოდარს ათვალწუნებული ჰყავს იგი. ერთხელ მან ყველასათვის შეუმჩნევლად სკამი წებოთი გათხუპნა იმ განზრახვით, რომ მასზე ჯანიკო დაჯდებოდა და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მაგრამ მოტყუვდა,—სკამზე ჯანიკო კი არა, მათი მასწავლებელი დაჯდა. ნოდარს გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა. ვერ გადაეწყვიტა, ეღიარებინა თუ არა თავისი დანაშაული. თუ არ აღიარებდა, მისი საქციელის გამო სხვები დაისჯებოდნენ. ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა კოჯორში ექსკურსიის ჩაშლა. შეკრება მეორე დღის ათი საათისათვის იყო დანიშნული. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში, შფოთსა და მღელვარებაში გაატარა ნოდარმა მთელი ღამე. გათენდა, მოახლოვდა გამგზავრების საათი. პიონერთა სასახლეში ბავშვები შეიკრიბნენ. ნოდარი კი არა ჩანს. ჯანიკო ღელავს. მას სურს ნოდარიც მათთან ერთად იყოს. ,,აი, რა კეთილია ჯანიკო, როგორ ზრუნავს, მე და ნოდარი კი მუდამ ვემდურით'',—გაიფიქრა ნიკამ. ჯანიკომ თვითონ დაურეკა ნოდარს და სთხოვა მოსულიყო რაზმში კოჯორს გასამგზავრებლად. ჯანიკოს სულგრძელობამ ნოდარი გააოცა, წარბი შეიკრა, სუნთქვა დაუმძიმდა, გული

თითქოს შეეკუმშა და თვალთაგან ცრემლიც კი გადმოსცვივდა... მკითხველისათვის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც გასაგები ხდება, თუ რა განიცადა ნოდარმა, რა მოხდა მის გულში.

შეიძლება მოთხრობას ფერები და საღებავები აკლდეს, პიონერთა ხელმძღვანელი კახეთელიძე და მასწავლებელი სერგი სქემატურად იყვნენ გამოკვეთილი, მაგრამ ერთი კი უდავოა: ნაწარმოების მთავარი გმირები ახალგაზრდა მკითხველზე დიდ ზემოქმედებას ახდენენ თავიანთი მაღალი მორალური თვისებებით. მოთხრობის დასაწყისიდანვე ნათელია, რომ ჯანიკო, მიუხედავად ნოდარის უხეშობისა, სწორედ ისე მოიქცეოდა, როგორც მოთხრობის ფინალში მოიქცა. ის კარგად არის აღზრდილი. ცხადია, საბოლოოდ არც ნოდარია ცუდი ბავშვი, მაგრამ მას უფროსების მეთვალყურეობა აკლია. ნოდარს არ მოსწონს, რომ მათ ჯგუფში გოგო ურევია. ,,აბა,რა მაგის საქმეა დურგლობა" — ამბობდა ნოდარი. მას ვერც კი წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ჯანიკო ,,მამასახლისი" ყოფილიყო. მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ნოდარის მოქმედებას და როცა ნოდარს დარცხვენილს ხედავს, სჯერა, რომ ასეთი ბავშვი უთუოდ გამოსწორდება, გარდაიქმნება, თუკი ოჯახი და სკოლა უყურადღებოდ არ დატოვებენ. ნოდარს უარყოფით თვისებებთან ერთად დადებითი თვისებებიც აქვს. მას შესწევს ძალა და უნარი ღრმად ჩასწვდეს თავის მოქმედების არსს და შეიგნოს საკუთარი შეცდომები. ნოდარი თუ მკითხველის თვალში ასე ამაღლდა, ამას იგი ჯანიკოს უნდა უმადლოდეს. მწერალმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე ნამდვილი მეგობარი. ყალბი მეგობრობის ნიმუშად მოთხრობაში წარმოდგენილია ნოდარის და ნიკას დამოკიდებულება. ნიკა ბრმად თანაუგრძნობს ნოდარს. მისთვის საკმარისია ნოდარს არ მოსწონდეს ჯანიკო, რომ მანაც შეიძულოს იგი. ნიკა უნებისყოფო ბავშვია, მას არა აქვს საკუთარი შეხედულება ადამიანებზე, არა აქვს დაკვირვების უნარი, მაგრამ ჯანიკომ მასზეც მოახდინა გავლენა. ნიკა მიხვდა, რომ უპრინციპო მეგობრობა არ ვარგა, დამღუპველია. მეგობრობა არ ნიშნავს ყველგან და ყველაფერში თანაგრძნობას.

რეზოს მამა (მოთხრობა ,,დიდედას სავარძელი'') სამამულო ომში გმირულად დაიღუპა. ცამეტი წლის ყმაწვილი მძიმედ განიცდის მამის სიკვდილს. იგი ამჟღავნებს ძლიერ ნებისყოფას, გმირულად დაღუპული მამის ნათელი ხსოვნა მასში კიდევ უფრო აძლიერებს სწავლისა და შრომისადმი სიყვარულს. განსაკუთრებით საყურადღებო და სამაგალითოა მისი დამოკიდებულება ღრმად მოხუცებული დიდედასადმი. სწორედ აქ იხსნება მოთხრობის ახალგაზრდა გმირის ხასიათი. რეზოს ოჯახს არაფერი აკლია. მაგრამ დიდედა კატო მშვიდად მაინც ვერ გრძნობს თავს, რადგან მისი საყვარელი სავარძელი მოძველდა. იგი კიდევ უფრო დაღონდა, როცა ისედაც ძველი სავარძელი ჩატყდა. ამის გამო ,,წუხდა დიდედა, რა მეშველება... ჩემი სავარძელი... ჩემი სავარძელი'',—სულ ამას ბუტბუტებდა. მას ვერც კი წარმოედგინა, სავარძლის გარეშე სიცოცხლე თუ შესაძლებელი იყო. ახალი სავარძელი შესთავაზეს, მაგრამ არ ინება, იწყინა, დადარდიანდა რეზო. თანაუგრძნობს თავის საყვარელ დიდედას და ამხანაგების დახმარებით სავარძლის შეკეთებას იწყებს. რამდენიმე დღის შემდეგ დიდედა კატო ამაყად ,,იჯდა თავის საყვარელ სავარძელში და ფიქრობდა, რომ ეს სავარძელი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაუწევდა სამსახურს და თვალწინ ედგა პიონერი ბიჭების ჯგუფი, ასეთი ხალისით და სიხარულით რომ მუშაობდნენ მისი სავარძლის შესაკეთებლად.''

თითქოს ეს ყველაფერი მეტისმეტად უბრალო და მკითხველისათვის არცთუ ისე საინტერესო ამბავია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ეს მარტო სიბრალული კი არ არის, მოხუცი ადამიანის დაფასება და პატივისცემაცაა. შესაძლებელია, ფორმა რომლითაც გამოხატულია ნაწარმოების შინაარსი, არც ისე მდიდარი იყოს, მაგრამ ერთი ცხადია: ახალგაზრდა მკითხველი მთელი არსებით იმსჭვალება ნაწარმოების მთავარი გმირისრეზოსადმი სიმპათიით. ეს კი მწერლის დიდი გამარჯვებაა.

,,მამიდა თეოს მარანი'' ალეგორიული მოთხრობაა. აქ ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან უსულო საგნები, მოძრაობენ და საუბრობენ. ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ მკითხველი დიდი ინტერესით უსმენს მათ საუბარს იმის შესახებ, თუ რო-

მელი მათგანი ამშვენებს ,,მამიდა თეოს მარანს''. უპირატესობის მოსაპოვებლად ,,ბრძოლაში'' განსაკუთრებით გამოირჩევა ქოთანი, რომელიც ბაქიაობს და თავის ,,მეგობარს'', სარქველს, აბუჩად იგდებს. ამ დავაში მონაწილეობენ სარქველი, ხურჯინი, კეცი, ორშიმო და ბზის კოვზები. საუბარში ირკვევა, რომ ხურჯინი ყბედი ყოფილა, ლობიოს ქოთანი—ტლანქი და ამპარტავანი და ა. შ. ქოთანი ვერ იტანდა, რომ სარქველი ეხურა თავზე, შეირხა და სარქველი ძირს გადმოაგდო. ,,რა ტლანქი და ამპარტავანი ვინმე ხარ, შენ ლობიოს ქოთანო! სულ არ იცი ამხანაგობა, არავის ანგარიშს არ უწევ: აბა, ერთი, რა ჩემი ბრალია, თუ მამიდა თეო წამდაუწუმ ამიღებს ხელში და შენს თავზე მახურავს!

— გამიგონია, ,,ქუდი ვაჟკაცს ამშვენებსო'', მაგრამ შენ ხომ ვაჟკაცი არა ხარ... ქოთანმა სარქველის ასეთი შელაპარაკება იუკადრისა და უხეშად მიმართა: ,,ერთი ამას დამიხედეთ! როგორ თუ მამშვენებ? ვინ, შენ უნდა დამამშვენო? უშნო, უშნო! ლოდივით თავზე დამედები! მე უშენოდ უკეთესად ვგრძნობ თავს. უჰ! ძლივს არ ამოვისუნთქე! —და ქოთანმა ისედაც განზე გასული ფერდები ერთიორად გაიბერა, მაგრამ მის ყოყლოჩინობას, ბაქიაობას მალე მოეღო ბოლო.

საიდანღაც თაგვი გამოცუნცულდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, კედელზე აცოცდა, კეცებს გადაურბინა. კატამ ყურები ცქვიტა, შეიშმუშნა, მერე ისევ გაინაბა... თაგვმა იგრძნო საშიშროების მოახლოება, უნდოდა დამალულიყო და ქოთანს მიაშურა. ამ დროს კატა ეცა, იმანაც თავი ქოთანში ჩაჰყო, გადმოაპირქვავა ლობიოს ქოთანი და მსუნაგი თაგვი კატის ბრჭყალებში მოექცა... დიდგული, გაბერილი ქოთანი ზევიდან გადმოვარდა და ყუმბარასავით სწორედ იმ ადგილზე გასკდა, სადაც სარქველი ეგდო. სარქველი ქოთანზე უფრო სულგრძელი აღმოჩნდა: ,,ეჰ, ჩემო კარგო! არ გერჩივნა, რომ მე, უშნო სარქველი გხურებოდი? —გულისტკივილით შენიშნა ქოთნისაგან დაწუნებულმა სარქველმა, —მე რომ შენთან ვყოფილიყავი, ის წუწკი თაგვი ვერ გაბედავდა მოკარებას და შენც მაგ მწარე ხვედრს გადაურჩებოდი''. ქოთნისათვის ბაქიაობა, ამპარტავნობა საბედისწერო აღმოჩნდა. ასე დასრუ-

ლდა ბაქია და თავმომწონე ქოთნის ამბავი. მწერალი ამით აფრთხილებს მკითხველს, რომ ყველას, ვინც ქოთანივით მკვეხარაა, ასეთი ბედი მოელის.

მარიჯანი ერთ-ერთი შესანიშნავი საბავშვო მწერალია, რომელიც ერთნაირი ძალით ფლობს ლექსსაც და მოთხრობასაც. ერთიც და მეორეც ორგანული ნაწილია მთელი მისი მხატვრული შემოქმედებისა. მის ნაწარმოებთა მთავარი ღირსებაა ის, რომ ყოველთვის ნათელ სურათოვნებას, ენობრივ სისადავესა და თვალსაჩინოებას ემყარება. მისი ლექსისა თუ მოთხრობის სიუჟეტის სარბიელი იქაა, სადაც პატარები ცხოვრობენ თავიანთი თავისებური ლამაზი და უმწიკვლო ცხოვრებით. მწერალმა იცის, რა აღელვებთ პატარებს, სად ტრიალებს მათი ოცნება, როგორ უნდა ესაუბროს და გამონახოს საერთო ენა თავის აღსაზრდელებთან. ამ მხრივ კი ძალზე მდიდარი საშუალებები გააჩნია მარიჯანს. იგი მკითხველს ესაუბრება ბუნებისა და ცხოვრების მხოლოდ ისეთ მოვლენებზე, რომლებიც მისაწვდომი და მისაღებია მისი ცნობიერებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ მარიჯანის ლექსის ფორმა ყველაზე ტრადიციულ და მარტივ რვამარცვლიან სტროფულ წყობაზეა აგებული, ხოლო პროზაული ნაწარმოებები მცირე ნოველისტური ფორმით არიან წარმოდგენილნი.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ მარიჯანს მტკიცედ აქვს გამომუშავებული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიდგომა თემისადმი და მისი გადმოცემის მრავალფეროვანი საშუალებებისადმი, რაც მას სავსებით გარკვეულ ადგილს უმკვიდრებს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ილია სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახევარი საუკუნის წინ, 1912 წელს, ჟურნალ „ნაკადულის" ფურცლებზე დაიბეჭდა ილია სიხარულიძის პირველი ლექსი „სიმინდის ყანა." ამ დღიდან პოეტი სიკვდილამდე უანგარო სიყვარულით ემსახურებოდა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის დიდსა და საპატიო საქმეს.

ილია ლუკას ძე სიხარულიძე დაიბადა 1889 წლის 16 აგვისტოს (ძველი სტილით), სოფელ ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი), მშრომელი გლეხის ოჯახში. რვა წლის ილია მშობლებმა ბუკისციხის სამრევლო სკოლაში მიაბარეს. აღნიშნული სასწავლებელი მან წარმატებით დაამთავრა და გამოცდები ჩააბარა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ სასულიერო სასწავლებელში მაინც არ მიიღეს, რადგან იგი გლეხის შვილი იყო. ილია იმედგაცრუებული დაბრუნდა თავის საყვარელ სოფელში. სწავლაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ნიჭიერ ყმაწვილს. 1907 წელს ილიამ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები, მაგრამ მალე საცხოვრებლად ხონში გადავიდა მისი ოჯახი და იქაურ საოსტატო სემინარიაში განაგრძო სწავლა. 1913 წელს დაასრულა აღნიშნული სემინარია და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

ილია სიხარულიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელად ათავსებდა პედაგოგი-აღმზრდელისა და პოეტის მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობას. შესანიშნავად იცნობდა რა პატარა მკითხველის სურვილებსა და მისწრაფებებს, იგი თავისი ლექსებით ყოველთვის იჭრებოდა მათი ცხოვრების ინტერესების სიღრმეში. ამის ცოცხალი მაგალითია მისი პირველი წიგ-

ნი ,,საბავშვო თამაშობანი ლექსებად", რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნში დაბეჭდილი ნაწარმოებები: ,,აიწონა-დაიწონა", ,,საქანელა", „ყიყლიყო მამალო", „ყვავ, ყვავ, ყვანჩალა" და სხვ. ისე სწრაფად გავრცელდა, რომ ბევრმა მათგანმა ხალხურობის ელფერიც კი მიიღო. ასეთმა წარმატებამ პოეტს კიდევ უფრო განუმტკიცა საკუთარი ძალებისადმი რწმენა და მთლიანად მიეცა შემოქმედებითს მუშაობას.

ილია სიხარულიძის ლექსებში ბავშვი, როგორც ნაწარმოების გმირი, ჯერ კიდევ აკვნიდან შემოდის. მაგრამ ნუთუ შეიძლება ძუძუთა პატარებს ვუკითხოთ ლექსები?! — იტყვის გაოცებული მკითხველი. დიახ, შეიძლება! პოეზია ცხოვრებაზე ნაძალადევად თავსმოხვეული მოვლენა როდია. განა პატარებს ნანას არ უმღერიან! განა დედის ნანაში მარტო სიტყვების შინაარსი ისმის და იგრძნობა? მშობლის განუზომლად ნაზ სიმღერაში ჩვილი ყოველთვის გრძნობს რაღაც სიცოცხლის მომნიჭებელსა და სანეტაროს. დედის ნანა ზრდის მის სისხლსა და ხორცში იმ განუსაზღვრელად მშობლიურსა და ახლობელს, რამაც საუკუნოდ დაამკვიდრა ამქვეყნად დედაშვილობა. შემთხვევით კი არ შეუქმნია დიდ ქართველ პედაგოგს და განმანათლებელს იაკობ გოგებაშვილს თავისი უშესანიშნავესი მოთხრობა ,,იავნანამ რა ჰქმნა?"

ილია სიხარულიძე თავისი ლექსებით თითქოს კვალდაკვალ მიჰყვება აკვნიდან გადმოსულ პატარას, თითქოს ჩვილთან ერთად იზრდება მისი ლექსები, მასთან ერთად იდგამს ფეხს და სწავლობს ჟღურტულს:

დგა-დგა, დგა-დგანა,
გოგი ფეხზე დამდგარა,
ფეხზე დგომა ისწავლა,
ახლა უნდა მას გავლა,
აგერ წადგა ნაბიჯი,
რა ბიჭია, რა ბიჭი!

(,,დგა-დგა")

როდესაც ვკითხულობთ ილია სიხარულიძის საბავშვო ლექსებს, ყოველ წუთს ვგრძნობთ, რომ პოეტს ღრმად ესმის უბნეობა და ხასიათი ბავშვისა, საფუძვლიანად იცნობს მისი

ცხოვრების განვითარების საფეხურებს სხვადასხვა ასაკში; ამიტომ იგი შესანიშნავად გრძნობს აღსაზრდელთა თავისებურ სულიერ მოთხოვნილებებს ამ მოთხოვნილებათა პასუხია პოეტის მიერ წარმოსახული სურათები, სადაც ყოველი ნიუანსი გამოხატავს ბავშვის სულიერ მისწრაფებათა ხორცშესხმას.

რაზე უნდა ვესაუბროთ სამი-ოთხი წლის ბავშვებს? ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა ლექსები; ,,ზღვა და დალი'', ,,პაწაწინა წიწილა'', ,,ქათამი'', ,,ინდაური ფაფხურა'', ,,ომარი და სარკე'', ,,ბეკეკა'', ,,აჩუ-აჩუ, ცხენო'', და მრავალი სხვა. სათაურებიც კი მეტყველებენ, რაოდენ ბევრი აქვს მწერალს სათქმელი პატარებისათვის. თითქოს მთელი სამყარო თავის საკუთრებად უქცევია მას და სამუდამოდ იქ დასახლებულა, როგორც პატარების მფარველი კეთილი და ბრძენი პაპა. აი, პატარა დალი პირველად წაიყვანეს ზღვაზე. ,,დიდი წყალი" —დაიძახა მისი დანახვისთანავე გოგონამ. ჩვენც უნებურად ისევე ვღებულობთ ბავშვის მიერ სიტყვიერად გამოხატულ ამ ცნებას, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია სხვაგვარი ასოციაცია ნორჩის გონებაში. ავიღოთ თუნდაც ლექსი ,,დარი-დირი დირალა''. თითქოს პირველივე სტრიქონის ალიტერაციული ხმოვნები მიგვითითებენ, რას გვეტყვის შემდეგში მწერალი:

დარი-დირი, დირალა,
მარიკელა მტირალა,
დაგიღია ხახა,
საყვირი ხომ არ ხარ?!
დაგიღია პირი,
ხომ არა ხარ სტვირი?!

თითქოს როგორღაც გეხამუშებათ პოეტის მიერ წარმოთქმული „დაგიღია ხახა", „დაგიღია პირი". მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ თითქოს ბავშვად ქცეული პოეტი ლაპარაკობს, მისი გრძნობები და ემოციები ლაპარაკობენ. სწორედ ასე იქმნება ბავშვის პოეტური ენა, მისი მეტყველება, მეტყველებაში კი წარმოგვესახება ბავშვის მთელი ხასიათი და ბუნება.

დრო მოვა და პატარების ცხოვრებაში შეიჭრება ოქტომბრელთა სიმღერები, სრულიად ახალი ცხოვრების მოწმენი

გახდებიან ისინი საბავშვო ბაღსა და სკოლაში. ახლა მთავარზე მთავარ ადგილს იკავებს ბავშვთა აღზრდა კოლექტივში და პოეტიც თითქოს მათ რიგებში დგება.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვის აღზრდის მთავარი მიზანია ცოდნის შეძენა, პატრიოტული და მოქალაქეობრივი გრძნობის, სწავლისა და შრომის ჩვევების, უფროსებისადმი პატივისცემისა და ჯანსაღი მეგობრობის სულისკვეთების გამომუშავება. ეს არის საბჭოთა სკოლის წმიდათა წმიდა მოვალეობა. ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ჩვენი საბავშვო ლიტერატურა და ილია სიხარულიძის შემოქმედებაც საბოლოოდ აქეთკენ არის მიმართული.

პოეტი აღსაზრდელებს ხშირად ესაუბრება ბუნებაზე, მის მრავალფეროვნებასა და მშვენიერებაზე. ამით იგი ცდილობს განამტკიცოს მათში მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარული და თავდადება:

გაზაფხულმა დედამიწა
გაათბო და გააღვიძა,
ვიშ, რა კარგად
მოიქარგა
მკერდგამთბარი
მთა და ბარი,
და ყვავილებს,
ტუჩგაშლილებს,
ეპკურება ფრთებზე ცვარი,
ჩამოესხნა ცას ღრუბელი
და მზის სხივებს რა დაჩრდილავს?
რა ხალასით გვეგებება
გაზაფხულის მკვირცხლი დილა.
(„გაზაფხულის დილა").

ილია სიხარულიძე დაკვირვებით ადევნებს თვალყურს, როგორ ყალიბდება ბავშვის ხასიათი. იგი ერიდება დაგვიხატოს მზამზარეული უცვლელი ხასიათები და მკითხველის წინაშე შლის ხასიათის წარმოქმნის პროცესს. ხასიათის ჩამოყალიბებას, რა თქმა უნდა, მრავალი რამ განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია თამაში, საყოველთაოდ აღიარებული კონცეფციის თანახმად მომავალი შემოქმედი ადამიანი თამაშით იწყებს შექმნას, შენებას. ამიტომ უდიდესი

მნიშვნელობა ენიჭება, როგორ შინაარსსა და მიმართულებას მიიღებს ყმაწვილის თამაში. მათ შორის ყველაზე უპირატესად და პერსპექტიულად შრომითი კოლექტიური თამაშია აღიარებული. ეს პოეტმა შესანიშნავად იცის.

„ბავშვის ბუნებისათვის დამახასიათებელია,—წერდა მაქსიმ გორკი,— წარმტაცისადმი მისწრაფება. უჩვეულო და წარმტაცი ჩვენს კავშირში არის ის ახალი, რასაც მუშათა კლასის რევოლუციური ენერგია ჰქმნის. აი ამას მტკიცედ უნდა მივაპყროთ ბავშვთა ყურადღება. ეს უნდა იყოს მათი სოციალური აღზრდის უმთავრესი მასალა. მაგრამ ამის შესახებ უნდა ვუამბოთ, ვუჩვენოთ, ნიჭიერად, მოხერხებულად, ადვილად შესათვისებელი ფორმით“. მ. გორკის ეს თვალსაზრისი ილია სიხარულიძის შემოქმედების სახელმძღვანელო პრინციპია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსები: „პაწია ოსტატები“, „პატარა მებაღეები“, „ხურო“, „მჭედლები“, „გაზაფხულის დილა“, „ჩაი“ და მრავალი სხვა. ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ საერთოდ სასურველი და დროულია ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. პოლიტიკური აღზრდის საძირკველი სწორედ აქ უნდა ჩაიყაროს. საჭიროა შეირჩეს,—წერდა მ. გორკი, — „ისეთი სათამაშოები, რომლებიც ჯგუფურ თამაშს მოითხოვენ“, რადგან კოლექტიურ შრომა-თამაშში იბადება ურთიერთპატივისცემის გრძნობა, მყარდება და მტკიცდება ნამდვილი მეგობრობა და ამხანაგობა. ერთი სიტყვით, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ლოზუნგით „თამაში არის ბავშვთა გზა იმ სამყაროს შეცნობისაკენ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომლის შესაცვლელადაც მოწოდებული არიან“. მ. გორკის ამ მითითების ერთგვარ პოეტურ რეალიზაციას ვხედავთ ი. სიხარულიძის ზემოთდასახელებულ ლექსებში—ეს ერთი. მეორე, ცხოვრების მაგალითებით, დაკვირვებითა და გამოცდილებით ვიცით, რომ ბავშვზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მოვლენები. ამ გზით ფართოვდება ჩვენი ბავშვების გონებრივი ჰორიზონტი, მამების, უფროსების გმირული შრომითა და გრანდიოზული მშენებლობით შთაგონებული ჩვენი მოზარდები აგებენ ელსადგურებს, ახალ სახლებს, ხიდებს, გაჰყავთ გზები და

ისეთი ენთუზიაზმით და პათოსით მუშაობენ მშენებლობებზე, როგორც ნამდვილი მშენებლები. აი, ამიტომ მიგვაჩნია ი. სიხარულიძის ზემოთ აღნიშნული ლექსები საჭირო და მეტად სასარგებლო აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებებად.

უბრალოება და ბუნებრიობა, კომპოზიციური მთლიანობა, ილია სიხარულიძის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სასკოლო თემაზე შექმნილი ლექსები, რომლებიც გამოხატავენ იმ შთაბეჭდილებებს, რასაც ბავშვი ღებულობს სკოლაში სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე. ეს შთაბეჭდილებები, ბავშვის უშუალო განცდა და გრძნობა კარგადაა გამოხატული ლექსში „წელს სკოლაში მიმაბარეს", აქ შინაგანი სიმართლითაა გადმოცემული ბავშვის მღელვარება და სიხარული, რასაც ის განიცდის სკოლის კარების შეღების პირველი დღიდანვე.

ლექსებში „დაბრუნება სკოლაში", „გამოცდები", „სწავლის დაწყება" და სხვ. კარგად არის გადმოცემული ჩვენი ბავშვების მისწრაფება სწავლისადმი. მაგრამ ავტორის მიზანია, არა მარტო სკოლაში მიღებული შთაბეჭდილებები დაუხატოს მოსწავლეებს, არამედ აღძრას ინტერესი და სიყვარული სკოლისა და მასწავლებლისადმი. პოეტის ჩანაფიქრი გამართლებულია. ნაწარმოების ძირითადი აზრი ნორჩ მკითხველს ღრმად სწვდება გულში. ი. სიხარულიძის ამ ლექსებით ერთხელ კიდევ დასტურდება, რაოდენ ღრმად იცნობს მწერალი ბავშვის ბუნებას, რა ახლოს არის იგი მის შინაგან სამყაროსთან.

თუ არა იმ სამყაროს ღრმა ცოდნა, რომელსაც მწერალი აღწერს და გადმოგვცემს, შეუძლებელია ბავშვის გონებაზე იმოქმედო და ხელი შეუწყო მის აღზრდა-განვითარებას. ი. სიხარულიძეს ჩინებულად აქვს შეგნებული ეს. ამის ცოცხალი მაგალითია მისი ლექსების ციკლი „კენკრა და ევკალიპტი", რომელიც ბავშვს აცნობს, თუ დროის რა პერიოდში მწიფდება ან სად და როგორ პირობებში იზრდება ჭანჭური, ასკილი, მაყვალი, მარწყვი, ზღმარტლი, რა სარგებლობა მოაქვს ამ მცენარეებს ადამიანისათვის. ყველაფერი ეს ისე კარგად არის

გააზრებული და აღწერილი, რომ შეუძლებელია ბავშვებში ბუნების შესწავლის ინტერესი არ გამოიწვიოს.

ილია სიხარულიძე თავის პატარა მკითხველებს აცნობს ისეთი თვისების ბავშვებს, რომლებიც მიბაძვის ღირსნი არიან. მწერალმა იცის, რომ ბავშვში დიდია მიდრეკილება მიბაძვისა. მიბაძვა ეს აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ამიტომ, ბუნებრივია, დადებითი ხასიათების შექმნა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საბავშვო პოეზიისა. ასეთი მისაბაძი მხატვრული სახეა ლია („ჩვენი ლია"), რომელიც ბეჯითად შრომობს შინ. გაიზრდება პატარა ქალი და მას უკვე კარგად ეცოდინება ოჯახის მოვლა-პატრონობა, შრომის ფასი, მისი ღირსება და მნიშვნელობა. არ შეიძლება ლიას მსგავსი ბავშვი ჩვენი ქვეყნის სასარგებლო და ღირსეული ადამიანი არ გახდეს. იგი ჩვენი ბავშვების ტიპიური სახეა...

საბავშვო მწერალი, რომელიც სპეციალურად ბავშვებისათვის წერს და მხოლოდ ამით გამოირჩევა კიდეც სხვა დარგის ლიტერატურული მოღვაწეებისაგან, არ შეიძლება შეიზღუდოს მარტოოდენ დადებითი პერსონაჟების ჩვენებით. ლექსში „ზარმაცი თოჯინები" ილია სიხარულიძე გვიხატავს ცუღლუტი და ზარმაცი ბავშვების სახეებს, მაგრამ ალეგორიულად. იგი თითქოს ვერ იმეტებს პატარებს გასაკიცხავად და თავისი გულისწყრომა თოჯინებზე გადააქვს. პატარა თოჯინები მოგვაგონებენ იმ ბავშვებს, რომლებიც დილით თავის დროზე არ დგებიან, პირს არ იბანენ და შრომასა და გარჯას ერიდებიან. ამიტომაცაა რომ მკითხველში თოჯინა ჯინას მოქმედება მწარე დაცინვას იწვევს. ასევე ალეგორიულ პრინციპზეა აგებული ლექსი „თითების დავა", რომელშიც პოეტი გმობს პატივმოყვარეობას და კოლექტივისაგან განკერძოებულობას.

იუმორს საბავშვო ნაწარმოებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ბავშვს ძლიერ უყვარს ჯანსაღი სიცილი. ი. სიხარულიძის ლექსები ამ მხრივაცაა საყურადღებო. ბევრი მათგანი გამსჭვალულია უწყინარი თბილი იუმორით. ლექსი „ჩირიჭამია" ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა უნდა, რას ჩამაცივდა,
რას ჩამძახის ეს ბეღურა?!
„ჩირი ჭამა", „ჩირი ჭამა!"
მართლა თქვა, თუ მომეყურა?!

. . . . . .

მერე რაა?! რა იქნება,
რომ ჩავიტკბო ცოტა პირი?!
რომ იცოდეთ, რა ტკბილია
ატმისა და ლეღვის ჩირი!

. . . . . .

რა ვქნა! „ჭყივ-ჭყივს" იძახოდა
დღევანდლამდე ეს ბეღურა.,.
დღეს კი „ჩირი ჭამას" ჭყივის!..
მართლა თქვა, თუ მომეყურა?

იგავ-არაკებს პოეტის შემოქმედებაში ადრიდანვე ვხვდებოდით, ჯერ კიდევ „ჯეჯილში" და „ნაკადულში" იბეჭდებოდა მისი საბავშვო იგავ-არაკები. მაგრამ შემდეგ პოეტმა რატომღაც შეწყვიტა ამ უაღრესად მიმზიდველ ჟანრში მუშაობა. ბოლო ხანებში კი კვლავ დაუბრუნდა მას. მისი იგავ-არაკებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ბაყაყი და წამალი", „თხუნელა", „მამლაყინწა", „მამალი და ინდაური", „კაკლის ხე და თხილი", „მამალი", „ქათამი და იხვი" და სხვ. ამ იგავ-არაკებში იგი დასცინის და ამათრახებს ბუტიაობას („მამლაყინწა"), კინკლაობასა და აყალმაყალს („ინდაური და მამალი"), ყალბ მედიდურობას („მამალი"), ზერელობას („კაკალი და თხილი") და მრავალ სხვა მანკიერებას. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას მშვენივრად ეხერხება იგავებში ხორცშესხმულად და კონკრეტულად დაგვიხატოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ხასიათები.

ი. სიხარულიძეს თუმცა მეტწილად მცირე ფორმის ლექსები აქვს, მაგრამ ყოველი მათგანი სიუჟეტიანია, გარკვეულ ამბავზეა აგებული. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მან შექმნა პოეტური ეპიკური თხზულებანი ბავშვებისათვის. ამ მხრივ იგი აგრძელებს XIX საუკუნის დიდ წინამორბედთა შესანიშნავ ტრადიციებს, ხოლო ჩვენს სინამდვილეში იგი ერთ-ერთი პირველი წამომწყებია ამ საქმისა. იგი პოემებს ქმნის როგორც სკოლამდელი, ისე უმცროსი სასკოლო ასაკის

მკითხველებისათვის და უნდა ითქვას, რომ მას ამ საქმეში დამსახურებულად აქვს მინიჭებული ეს პრიორიტეტი. ზოგ შემთხვევაში მისი პოემა უნაკლო და ნამდვილი სინთეტური საბავშვო მხატვრული ნაწარმოების ნიმუშს წარმოადგენს. ჩამოვთვლით მის საბავშვო პოემებს, ესენია: „ნათელას ფისო“, „საჰაერო განგაში“, „გურის მამა“, „მზია, ბუზი და წიწილა“ და სხვ. ამასთან, განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ უკანასკნელზე, რამდენადაც იგი ყველაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პოეტის საბავშვო ეპიკური ნაწარმოებების შესახებ. აქ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის, რომ პოეტს პირველი სტრიქონიდანვე უშუალოდ მოქმედებაში შეჰყავს თავისი პერსონაჟები და უკანასკნელ სტრიქონამდე მოქმედებაში გადმოგვცემს ნაწარმოების შინაარსს, რომელიც ესოდენი სურათოვნებით, ბავშვური გულუბრყვილობითა და ნათელი განწყობილებითაა გამსჭვალული. ორსტრიქონედის მარტივი ლექსობრივი სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს პოეტს შექმნას მოკლე და ნათელი სასაუბრო პოეტური ფრაზა, თანაც სიტყვათა შესანიშნავი ალიტერაციული განლაგება ჰქმნის ძლიერ ემოციურ ფონს, რომელშიც პატარა ფერწერულ ტილოსავითაა ჩახატული მზიას, ბუზისა და წიწილას თავგადასავალი.

ი. სიხარულიძის მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, მომავლის ნათელი რწმენით და დიდი ადამიანური გულით ნამოღვაწევი ხელთუქმნელი საუნჯეა ჩვენი შვილების, შვილიშვილების წმინდა, უმწიკვლო გულში სამუდამოდ გადანახული.

ი. სიხარულიძე გარდაიცვალა 1963 წლის 7 იანვარს.

გიორგი ნახუცრიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული საბჭოთა საბავშვო დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ნახუცრიშვილი დაიბადა თბილისში, 1902 წლის 7 მაისს (ძვ. სტილით). საშუალო სასწავლებელი მან 1920 წელს დაამთავრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი—1928 წელს. გ. ნახუცრიშვილი თვრამეტი წლის იყო, როცა მან ჟურნალ ,,ნაკადულში'' დაბეჭდა თავისი პირველი საბავშვო მოთხრობა ,,თაგუნას თავგადასავალი''. მისი ადრინდელი საბავშვო ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,პაპას ნაამბობი'' და ,,თამროს ოცნება''. ამ მოთხრობებში ნათლად ჩანს ბავშვთა სულიერი სამყაროს ცოდნა, რაც უფრო სრულყოფილად გამომჟღავნდა მისი შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში.

გ. ნახუცრიშვილმა 1933 წელს გამოსცა საკმაოდ მოზრდილი ზომის საბავშვო მოთხრობა ,,მამამ გამომგზავნა'', 1934 წელს—,,სილვა ვასილევი'', რომელიც მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს. მაგრამ ნორჩი მკითხველი და ჩვენი ახალგაზრდობა გ. ნახუცრიშვილს იცნობენ არა მარტო მოთხრობებით, არამედ შესანიშნავი პიესებითაც (,,ნაცარქექია'', ,,კომბლე'', ,,აჩაკუნე'', ,,ლადო კეცხოველი'', „მგელკაცა''. ეს უკანასკნელი პიესა დაწერილია მისივე რომანის ,,მგელკაცას'' მიხედვით). ეს პიესები ცნობილია, არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში. ასე მაგალითად, „ნაცარქექია'', რომელიც პირველად თბილისის ქართულ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში 1936 წელს დაიდგა და ცალკე წიგნად 1937 წელს დაიბეჭდა, თარგმნილი და გა-

მოცემულია რუსულ ენაზეც. მისი დადგმა განხორციელდა მოსკოვში, ალმა-ატაში, ტაშკენტში, ბაქოში, გროზნოში, ყალინინში, სარატოვში და საბჭოთა კავშირის ბევრი სხვა ქალაქის საბავშვო თეატრებში, საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანი მაყურებლის კუთვნილებად გადაიქცა აგრეთვე „კომბლე". ეს პიესაც იდგმება ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ქალაქების მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრებში. „ნაცარქექია" და „კომბლე" ძველ ზღაპარზეა აგებული. მაგრამ მათი სიუჟეტი ისე ოსტატურად არის განვითარებული, რომ ნორჩ მკითხველს რეალურობის სრული შთაბეჭდილება რჩება.

რა ამბავს მოგვითხრობს მწერალი ზღაპრის ფორმით? რა მორალს ქადაგებს იგი? იგი გმობს სიხარბესა და პატივმოყვარეობას, ეგოიზმსა და სულის სიმდაბლეს, ადიდებს ხალხის ინტერესებისათვის თავდადებას, მამაცობას, სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვის უნარს. მაგრამ ავტორი უბრალოდ კი არ მოგვითხრობს, არამედ ამას მოქმედებაში გვიჩვენებს, ნაწარმოებების ძირითად იდეას დამაინტერესებელ ფორმით გადმოგვცემს.

ბავშვი დიდი ყურადღებით ეკიდება ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს სათავგადასავლო ამბავს, მოულოდნელობას, გმირულ ცხოვრებას, მოქმედების სწრაფ მსვლელობას. „ნაცარქექია" და „კომბლე" ამ მხრივაც საყურადღებო ნაწარმოებებია. ისინი შემთხვევებით, მოულოდნელი და გმირული ამბებით მდიდარია. მათში მოქმედებაც განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება. ამ ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟები დაბრკოლებებსა და სიძნელეებს ადვილად ძლევენ. ერთი სიტყვით, „ნაცარქექიასა" და „კომბლეს" წარმატებას ხელს უწყობს სიუჟეტის მოქმედების დინამიკა, რაც მთავარია, ისეთი ჟანრისათვის, როგორიცაა ზღაპარი. „ნაცარქექია" და „კომბლე" ზღაპარი-კომედიებია. „ნაცარქექიას" გონებამახვილობით ბავშვი მოხიბლულია, აღტაცებულია. კომბლეს მოქმედებაც იწვევს სიცილს, მაგრამ ეს სიცილი უკვე სხვა ხასიათისაა. კომბლე როცა მეფეს, მამასახლისსა და ხარბ ძმას ძროხის კუდით ამათრახებს, ბავშვი იცინის და უპატიოსნო, სულით მდაბალი, ხარბი გაუმაძღარი ადამიანებისადმი სიძულ-

ვილით იმსჭვალება. მწერლის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს არის. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მწერალს ბავშვი ცოცხალი სურათებით, ცოცხალი მოქმედებით მიჰყავს იმ წარმოდგენამდე,რომ ეგოიზმი, ადამიანის მიერ ადამიანის მოტყუება, გამოძალვა, მექრთამეობა სულის სიმდაბლეა, ხოლო პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული— მაღალი ღირსება. ამრიგად, დამრიგებლობა, მორალი ამ პიესებში მოცემულია სახეთა მთელ სისტემაში, იგი უხეშად გარეთ არ არის გამოტანილი და არც ნაძალადევია.

როგორია ,,ნაცარქექიას'' სიუჟეტი? რა მასალაზეა აგებული იგი? უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ,,ნაცარქექია'' დაწერილია ცნობილი ქართული ზღაპრის შთაგონებით, მისი გავლენით. მასში უხვად არის გამოყენებული ქართული ანდაზები. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს კომედია ,,ნაცარქექია'' დამოუკიდებელ და სრულყოფილ ნაწარმოებს არ წარმოადგენდეს. აქ მოქმედება ისე ოსტატურად არის ასახული და ისეთი სირთულით ვითარდება, რომ მაყურებლის ინტერესი პირველი მოქმედებიდან ბოლო მოქმედებამდე არ ნელდება. მარტო ეს ფაქტი უკვე აშკარად ლაპარაკობს პიესის მაღალ მხატვრულ ღირსებაზე.

ჩია ტანის, ღარიბულად ჩაცმული ნაცარქექია-კიკილა, იგივე ყარამანი, იგივე როსტომი, იგივე ამირანი კერასთან ზის და თავის პატარა ძმიშვილებს—გიასა და თამარს უამბობს, თუ როგორ მოკვეთა მან თავი საშინელ და უზარმაზარ დევს. ბავშვები გრძნობენ, რომ უსაქმური და მშიშარა ბიძა მათ წინაშე აშკარად ტრაბახობს, ტყუილებს ფქვავს, მაგრამ მაინც გულმოდგინედ უსმენენ, რადგან მოსწონთ საუბრის თემა, ცრუპენტელა კიკილას ჯერ კიდევ ამბის თხრობა დამთავრებული არა აქვს, რომ თავზე მართა (რძალი) წამოადგება. მართამ, მოისმინა რა კიკილას უკანასკნელი სიტყვები, ბაქია მაზლს მოურიდებლად მიახალა: ,,ცრუპენტელა ნაცარქექიას გაუმარჯოს! ასე გიპასუხა, არა დათუნიამ?'' ამ დროს სცენაზე გამოჩნდება ფულის საშოვნელად გადახვეწილი ნაცარქექიას უფროსი ძმა თომა და ყველას ყურადღებას ის მიიპყრობს. თო-

მა ოჯახის წევრებს დაწვრილებით მოუთხრობს თუ რა გადახდა თავს, როგორ მოატყუა იგი ერთმა მდიდარმა კაცმა და როგორ დაადო ვალად ათასი მანეთი. საუბარში ნაცარქექია ჩაერევა და თავისებურად დაიწყებს ტრაბახს: ,,მე უნდა ვყოფილიყავი შენს ადგილას, სამ თვეში კი არა, სამ დღეში ისეთ ამბებს დავატრიალებდი, ისე გავამწარებდი,—თვითონ დამიწყებდა ხვეწნას: ოღონდ მომშორდი და ფული რამდენიც გინდა წაიღეო''... ამის გამგონე მართა მოითხოვს კიკილა წავიდეს, იმ მდიდარ კაცს დაუდგეს მოჯამაგირედ და ოჯახი იხსნას დაღუპვისაგან. ვერავითარმა მუდარამ მართას ხელი ვერ ააღებინა მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რის გამოც კიკილა იძულებულია ასეთი სიტყვა წარმოთქვას: ,,ოჰ, ჩემო ენავ, ჩემო ენავ! ძირში ხარ მოსაჭრელი, მაგრამ სადაა პატრონი!'' იგი ტოვებს სცენას და პირდაპირ მიდის ყაფლანის სახლში. აქედან იწყება ნაცარქექიას ვაჟკაცობის ამბავი, შემთხვევები, რომლებზედაც აგებულია პიესის სიუჟეტი. ყაფლანი კიკილას მოჯამაგირედ იმავ პირობით აიყვანს, რა პირობითაც მან თომა აიყვანა, როგორია ეს პირობა?

,,ყ ა ფ ლ ა ნ—სამი თვით მიგიღებ მოჯამაგირედ, მხოლოდ ერთი პირობით: თუ ჩემგან გეწყინა რამე, სიტყვა შემომიბრუნე, ჯამაგირზე ხელს აიღებ და ათასი მანეთი უნდა მომცე (მცირე სიჩუმე).

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა—(შემპარავად) თუ შენ გეწყინება ჩემგან რამე და სიტყვას შემომიბრუნებ, მაშინ როგორღა?

ყ ა ფ ლ ა ნ—(მხრებს აიჩეჩავს) შენ რით უნდა მაწყენინო? ვერ წარმომიდგენია...''

ყაფლანი მალე არათუ წარმოიდგენს, რომ კიკილას შეუძლია მას რაიმე აწყენინოს, არამედ იძულებული გახდება ნაცარქექიას ორი იმდენი გადაუხადოს და თავიდან მოიცილოს. მოქმედების სიცხოველით და სირთულით ეს სცენა განსაკუთრებით გამოირჩევა. მწერალმა საკმაო რელიეფურობით დახატა ყაფლანის ვიჟის 12—13 წლის ვახუშტის სახეც. სწორედ ვახუშტიზე ითქმის—,,კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო''. გამარჯვებული ნაცარქექია ბრუნდება შინ და თავისიანებს უამბობს, თუ როგორ აჯობა მან ყაფლანს. რასაკვირ-

ველია, ნაცარქექია ერთიორად აზვიადებს თავის თავგადასავალს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მან ოჯახი იხსნა აშკარა დაღუპვისაგან, არც ამით არ თავდება მისი თავგადასავალი. მართას მადა გაეხსნა, მან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და მაზლს ასეთი სიტყვებით მიმართა: „აბა, ახლავე აიკარი გუდა-ნაბადი და გზას გაუდექი. შენ ისეთი ძაღლის ბედისა ხარ, ას ამდენს იშოვიო.“ ნაცარქექია სრულებით არ მოელოდა ამას. იგი იძულებული ხდება კვლავ მიატოვოს თავისი საყვარელი კერა და ნაცარი. მაგრამ ვაი იმას, ვისაც ამ გაბრაზებულ გულზე მიადგება იგი. საბრალო მეფე დახტინგურს ამ ბოლო დროს სლოკინი დასჩემდა; ცაზე ვარსკვლავების გამოანგარიშების სურვილიც აწუხებს. და, აი, სწორედ თავის დროზე წარდგა სასახლეში ნაცარქექია. ავადმყოფი მეფე გასინჯა და კუჭნაწლავის მოწყენილობა აღმოუჩინა. აქ იმართება ასეთი დიალოგი:

„ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — თქვენი ხსნა მხოლოდ ცეკვაშია...

მ ე ფ ე — (გაოცებით) ცეკვაში?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — დიახ, ცეკვაში. თორმეტჯერ უნდა ჩამოუაროთ. მხოლოდ ყოველთვის, როცა იმ ადგილას მიხვალთ, საიდანაც ცეკვა დაიწყეთ, უნდა გაიღიმოთ და „ჰეი, ჰეი“ უნდა შესძახოთ...

მ ე ფ ე — მე რომ ცეკვა არ ვიცი?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — არაფერია... როგორც იცით, ისე იცეკვეთ.

მ ე ფ ე — აბა (ვეზირს), ჩქარა მუსიკა!“

ცეკვავს მეფე და მთელი მისი ამალა იცინის. მოხდა რაღაც სასწაული. დახტინგური განიკურნა. ნაცარქექიამ სხვა მხრივაც მოიგო მეფის გული, ცაზე ვარსკვლავები „გამოიანგარიშა“. ნაცარქექია ვეზირად ინიშნება. ამ სცენასაც არ აკლია კომედიისათვის აუცილებელი ღირსებები. ეს სცენა არ არის გაკეთებული უბრალო სიცილისათვის, ეს არის მძაფრი სარკაზმი ცხოვრების შეუსაბამობის, დახტინგურის მსგავსი ბრიყვი ადამიანების მიმართ. მივყვეთ სიუჟეტურ ხაზს. ნაცარქექიას წარმატება ყოფილ ვეზირს მოსვენებას არ აძლევს. დადგა შურისძიების წამი. შიკრიკი მეფეს აცნობებს, რომ

წყეულმა დევმა კვლავ მოაოხრა, დაარბია სამეფო, გარეკა საქონელი, გაანადგურა სოფლები. ყოფილი ვეზირის შთაგონებით მეფე როსტომს (ნაცარქექია) იხმობს და დევის მოკვლას უბრძანებს. მეფე დაჟინებით მოითხოვს მისგან, რომ დაუყოვნებლივ შეასრულოს მისი ბრძანება.

„ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — რაო? დევი მოვკლა?

მ ე ფ ე — ჰო, დევი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (მოიკუნტა) რას ბრძანებ, მეფეო? ამ ჩია კაცმა დევი როგორ მოვკლა?

მ ე ფ ე — მთას გამოართვი მისი ახმახობა და ისე მოჰკალი.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (მუდარით) ვერა, შენი ჭირიმე, ვერ წავალ... გამიგონია, დევები ადამიანებს ისე ჭამენ, როგორც მოხრაკულ წიწილებსო...

ვ ე ზ ი რ ი — (მეფეს ჩასჩურჩულებს) დიდებულო მეფეო, მაგის მეტი ვერავინ მოერევა...

მ ე ფ ე — არ მიდიხარ? ეი, მომგვარეთ ჯალათი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (შიშით) მოიცათ, ჯალათი რად გინდათ?... წავალ, წავალ„

ამრიგად, ნაცარქექიასათვის გამოსავალი არ არსებობს, იგი მიდის დევის მოსაკლავად და თავს განწირულად, დაღუპულად თვლის. მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც თან მიაქვს ერთი გუდა ნაცარი, ჭყინტი ყველი და სადგისი. ჩვენ აქ არ გავიმეორებთ იმ დიალოგს, რომელიც დევსა და ნაცარქექიას შორის გაიმართა შეხვედრის დროს, რადგან იგი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ეს სცენა იმდენად კარგად არის შესრულებული, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ კარგად ვიცით — ნაცარქექია ყოველ ნაბიჯზე ტყუის, მაინც გვხიბლავს თავისი გონებამახვილობითა და მოხერხების უნარით. ამ სცენაში უფრო მეტ გამართლებას პოულობს მწერლის მიერ მეორე სურათში გამოყენებული ხალხური თქმულება: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

პიესა უახლოვდება დასასრულს. სცენაზე არიან თომა, მართა, ყაფლანი და მოსამართლე. ყაფლანი ცდილობს თომას გამოქალოს ფული, ათას მანეთში სამი ათასი მანეთი გადაახ-

დევინოს. ამ საქმეში მას მხარს უჭერს მოსამართლე, რომელიც ყაფლანმა ხუთას მანეთად მოისყიდა. ნაცარქექიამ საქმის გარჩევას მოუსწრო. ამჯერადაც მან იხსნა თომა და მისი ცოლ-შვილი დაღუპვა-განადგურებისაგან. დამარცხებული დევის მიერ ნაჩუქარი დოლიდან ჯარი იხმო და ყაფლანი და მოსამართლე სამი დღისა და სამი ღამის სავალზე სულმოუთქმელად აძუნძულა. თითქოს ყოველივე ამის შემდეგ მართა მაზლით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. ნაცარქექიამ მას ხომ ოქრო-ვერცხლით გატენილი ხურჯინი მოუტანა, ნატვრის თვალი და ყოვლისშემძლე დოლიც ხომ მათ დარჩათ. მაგრამ რატომღაც მას თავი ბედნიერად მაინც არ მიაჩნდა. ცხოვრებამ იგი შეცვალა, გამოცდილებამ უჩვენა, რომ შესაძლებელია ქარის მოტანილი ისევ ქარმა წაიღოს. შენ როგორც გინდა, ისე იცხოვრე,—მიმართავს იგი თავის მაზლს,—რაც გინდა; გააკეთე, ნაცარი ქექე, ტყუილები დაფქვი, მე კი როგორც მიშრომია, ისე ვიშრომებ! მაყურებელი მართასადმი სიმპათიით იმსჭვალება. რაც შეეხება ნაცარქექიას, იგი მაყურებლის თვალში იგივე დარჩა, რაც პიესის დასაწყისში. მკითხველი მას დასცინის, რადგან მანკიერებანი მისი ხასიათისა — მძაფრი კომიკური შტრიხებით ხასიათდება. მას შრომა არ უყვარს (აქედან გამომდინარეობს ყველა სხვა მისი უარყოფითი თვისება), იოლი გზით სურს ცხოვრება. ამის გამოა, რომ მისი გულკეთილობა და ზოგიერთი სხვა კარგი თვისებები იჩრდილება, კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ ნაცარქექია არის ორიგინალური სახე, რომელიც, მწერალმა შექმნა მდიდარ ხალხურ მასალაზე. „ნაცარქექიას" მხატვრული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მაყურებელს შეუძლია ნათლად დაინახოს, ერთი მხრივ, მდაბალი მისწრაფებების ადამიანების სახეები (ყაფლანი, მოსამართლე), ხოლო მეორე მხრივ, სახე ისეთი ადამიანისა, რომელიც დაცინვის ღირსია, რადგან ზარმაცია და ცხოვრების მიზანი არა აქვს.

ზღაპარი-კომედია „კომბლე" თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში დაიდგა 1939 წელს. მისი დადგმა განხორციელდა აგრეთვე ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ქალაქების საბავშვო თეატრებშიც.

ამ პიესას ახასიათებს მოქმედების სიცხოველე და კომპოზიციური მთლიანობა. მისი შინაარსი სადა და ბავშვებისათვის ბევრი რამის მთქმელია.

კომბლე თავისი თვისებებით ნაცარქექიას კონტრასტია. მას შრომა უყვარს, ისწრაფვის შექმნას ოჯახი და კეთილად იცხოვროს. მაგრამ ცხოვრება თურმე არც ისე ყოფილა მოწყობილი, როგორც ეს პირველ ხანებში კეთილშობილ მეოცნებეს წარმოედგინა. კომბლეს მოჯამაგირეობიდან დაბრუნების შემდეგ ბევრი რამ გადახდა თავს. პირველი ადამიანი, რომელმაც დაამსხვრია მისი ბედნიერება, საკუთარი ძმა იყო. ფიცილამ, გაიგო თუ არა, კომბლე შინ ბრუნდებაო, ჯამ-ჭურჭელი გადამალა, მასავით უპატიოსნო ადამიანები მოისყიდა და კომბლე დაარწმუნა, რომ მამამ სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა, რომლის ძალით სახლი ფიცილას ეკუთვნის. მარინე არწმუნებს კომბლეს — ძმა გატყუებსო, მაგრამ ალალ-მართალსა და პატიოსან კომბლეს საცოლის სიტყვები გულთან ახლო არ მიაქვს, მას ვერ წარმოუდგენია, თუ ძმა პირადი სარგებლობისათვის ასეთ ტყუილს იტყვის. „ნუ, ჩემო მარინე, ნუ ამბობ ეგრე... ასე იტყოდა მამაჩემი, თორემ ძმა ძმას ასე როგორ გაიმეტებდა, ასე როგორ მომატყუებდა... ამას ვერ დავიჯერებ...“ მოჯამაგირეობაში კომბლეს ძროხა მისცეს. ახლა იგი მთელ იმედს მასზე ამყარებს. მეორე მოქმედებაში ვგებულობთ, რომ კომბლე ძროხის გასაყიდად ქალაქში ჩასულა და ძროხა თხის ფასად გაუყიდია.

„კ ო მ ბ ლ ე — (შემოდის ძროხით) ძროხა გასაყიდი, ძროხა!.. (ბეგლარ-აღას დაინახავს, გახარებული) დილა მშვიდობისა, აღავ, როგორ გამეხარდა შენი დანახვა...

ბ ე გ ლ ა რ - ა ღ ა — (ცივად) გაგიმარჯოს... არ მესმის, ჩემი დანახვა რისთვის უნდა გაგხარებოდა?

კ ო მ ბ ლ ე — გუშინ არ შემპირდი, ძროხა ჩამომიყვანე ქალაქში და ორმაგ ფასს მოგცემო?

ბ ე გ ლ ა რ - ა ღ ა — (ვითომ მოაგონდა) ჰოო... გუშინ რო დაგპირდი?

კ ო მ ბ ლ ე — ჰოდა, აი ჩამოგიყვანე!

ბ ე გ ლ ა რ - ა ღ ა — მერე და სად არის ის ძროხა? (აქეთ-იქით იხედება).

კ ო მ ბ ლ ე — (გაოცებული) საით იყურები, აღავ? აი შენი კვნესამე, აი, ძროხა...

ბ ე გ ლ ა რ-ა ღ ა — ესა?

კ ო მ ბ ლ ე — დიახ, ეს!

ბ ე გ ლ ა რ-ა ღ ა — (ვითომ გაოცებული) ამ თხაზე ამბობ ძროხაო?

კ ო მ ბ ლ ე — (გაეცინება) რას ბრძანებ, აღავ? რა ხუმარა ყოფილხარ!

ბ ე გ ლ ა რ-ა ღ ა — რა დროს ხუმრობაა. ვის ატყუებ, შელაწირაკო... კაცი დავბერდი და მაშ საქონელს ველარ ვცნობ რომელია ძროხა და რომელი თხა?!

საუბარში ჩაერევიან ყასბები და კომბლეს, რომელსაც თითქოს განუზრახავს „თხა" ძროხად გაასაღოს, დასცინიან. კომბლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ფიცილაც. მანაც ბეგლარ-აღას დაუჭირა მხარი და ამით ვალი მოიხადა მის წინაშე (მან ხომ ფიცილას უმოწმა ცრუ ანდერძის სიმართლეში).

„ ფ ი ც ი ლ ა—რაშია საქმე, ძმაო?"

კ ო მ ბ ლ ე—ლამის გამაგიჟონ ამ ქალაქელმა ვაჭრებმა... ძროხაზე მეუბნებიან—თხა არისო, სამ მანეთზე მეტს არ მაძლევენ. შენ მაინც გამომესარჩლე, ძმაო...

ფ ი ც ი ლ ა—სამ მანეთს გაძლევს? კარგი ფასი უძლევია...

კ ო მ ბ ლ ე—(გაბრაზებული) რას ამბობ, ძმაო, ძროხაში სამი მანეთი?

ფ ი ც ი ლ ა—რომელ ძროხაში?

კ ო მ ბ ლ ე—აი, ჩემს ძროხაში!

ფ ი ც ი ლ ა—რომელ ძროხაზე ლაპარაკობ ეგ ხომ თხა არის... შენი კუბო დამედგეს, თუ გატყუებდე..."

ამ დროს სცენაზე გამოჩნდება მეფე. მიამიტი კომბლე ფიქრობს, ახლა მაინც მეშველებაო. იგი მიმართავს მეფეს და სთხოვს, ვაჭრები და მისი სულით დამახინჯებული ძმა უმსგავსო საქციელისათვის დასაჯოს. მაგრამ მოხდა მისთვის სრულიად წარმოუდგენელი და მეტად უცნაური ამბავი. ყოვლისშემძლე მეფემ ვაჭრებს დაუჭირა მხარი და კომბლე გაიძვერა ადამიანად ჩათვალა, აიძულა კიდეც ბეგლარ-აღასათვის

,,თხა'' თხის ფასში მიეყიდნა. ამის შემდეგ კომბლეს აეხილება თვალები, მისთვის ყველაფერი გასაგები ხდება. მან შეიგნო, რომ საზოგადოება, რომელშიც უხდებოდა მას ცხოვრება, ძარცვა-გლეჯაზე, სიცრუესა და სიყალბეზე იყო აგებული. ბეგლარ-აღას უსიტყვოდ მიჰყიდა ძროხა ,,თხის'' საფასურათ, მისგანვე იყიდა ,,თხის'' კუდი. აქედან იწყება კომბლეს მოქმედება, მისი ,,გაბოროტება'' და სამართლიანობისათვის ბრძოლა. დამცირებული და შეურაცხყოფილი ჭაბუკი სრულიად მოულოდნელად ხან სასახლეში და ხან ბეგლარ-აღას სახლში გამოჩნდება ხოლმე და დაუზოგავად ამათრახებს მეფესა და ბეგლარ-აღას, აიძულებს მათ სიმართლე თქვან, რა უჭირავს მას ხელში, ძროხის თუ თხის კუდი. ამ ,,სიამოვნებას'' კომბლე არ აკლებდა თავის საკუთარ ძმასაც, რომელშიც სიხარბემ და ცხოველურმა ინსტინქტმა ჩაახშო ყოველივე წმინდა და ადამიანური. ნორჩი მკითხველი სავსებით კმაყოფილი რჩება, როცა ბევრის მაძიებელი ფიცილა ცოტასაც კარგავს. მწერალი დიდი გატაცებითა და დამაჯერებლობით ავითარებს ნაწარმოების ძირითად იდეას, რომლის მიხედვით საბოლოოდ კეთილი იმარჯვებს და ბოროტი მარცხდება. ნაწარმოების მხატვრული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ნორჩი მკითხველი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიდის დასკვნამდე: ბოროტმოქმედი, ხარბი და ეგოისტი ადამიანი გაკიცხვისა და სასტიკი დასჯის ღირსია.

პიესა-კომედია ,,აჩაკუნე'' პირველად თბილისის ქართულ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში დაიდგა 1941 წელს, ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1953 წელს. მისი მთავარი მომქმედი პირები უმთავრესად ათი-თორმეტი წლის ბავშვებია. მასში ჩვენი ბავშვების ცხოვრებაა ასახული, მათი მისწრაფებები და სურვილებია გამოხატული. აქ მწერალი უმთავრესად ხასიათების დაპირისპირების ხერხით სარგებლობს და მისი საშუალებით გვიჩვენებს თუ რა არის მოსაწონი და რა—დასაგმობი. ვასიკო თავის პატარა სახელოსნოში თვითმფრინავის მოდელზე ენერგიულად მუშაობს. ნიკო, ყარამანი და კაკო შრომისმოყვარე ყმაწვილს ულმობლად დასცინიან, ემუქრებიან კიდეც — თუ მუშაობას თავს არ მიანებებ, სახე-

ლოსნოს დაგინგრევთო. მუქარა ცუღლუტებმა ერთ მშვენიერ დღეს რეალურ სინამდვილედ აქციეს და აჩაკუნეს (ვასიკოს ეს სახელი ნიკომ შეარქვა) თვითმფრინავის მოდელი და სადურგლო იარაღები დაუმტვრიეს.

ვასიკო თბილისში მიდის და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ბრუნდება მშობლიურ სოფელში. თბილისში მან შეძლო ნამდვილი თვითმფრინავის გაკეთება. მაგრამ, ავტორის მთავარი მიზანი ის კი არ არის, გვიჩვენოს თუ როგორ დაეუფლა ვასიკო თბილისის ცენტრალურ ბავშვთა ტექნიკურ სადგურში თვითმფრინავის მოდელის მშენებლობის საქმეს, არამედ აქ მთავარი ყურადღება და მოქმედება მიმართულია იმისაკენ, რომ ვასიკომ და მისმა მეგობრებმა სძლიონ მეორე მხარეს, ესე იგი ნიკოს, ყარამანს და კაკოს, მოახდინონ მათზე გავლენა და სწორ გზაზე დააყენონ ისინი. პიესა მთავრდება ნიკოსა და კაკოს შემობრუნებით, მათი გამოსწორებით. მაგრამ ეს ხდება არა დამრიგებლობითი ხასიათის ტენდენციებით, სიკეთესა და პატიოსნებაზე მომაბეზრებელი საუბრით, არამედ ცოცხალი და თვალსაჩინო მაგალითებით, დადებითი პერსონაჟების მოქმედებით.

მაყურებელსა და მკითხველზე განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ვასიკო. ეს პერსონაჟი არა მარტო თავისი მაღალი მისწრაფებით გამოირჩევა, არამედ ნებისყოფითა და მტკიცე ხასიათით. ვასიკომ საქმეში აჩქარება არ იცის, იგი დინჯი ყმაწვილია, მისი ხასიათის ეს მხარე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ნიკოსთან შეჯახებაში, მასთან ბრძოლაში. გამარჯვებული ვასიკო ,,დამარცხებულებს'' უხეშად როდი ეპყრობა, მათ არ ამცირებს და თავმოყვარეობას არ ულახავს. მან კარგად იცის, რომ ნიკო, კაკო და ყარამანი შემთხვევით არიან აცდენილი გზას და თუ ახლა ისინი ცულლუტობენ, ცუდად იქცევიან, ეს მათი შეუგნებლობის ბრალია და სხვა არაფერი. ვასიკოს მათ გამოსწორებაზე ,,მე რა მესაქმებაო'' არასოდეს არ უთქვამს. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობს ნიკო და მისი მეგობრები დააყენოს ისეთ თვალსაზრისზე, საიდანაც ისინი დაინახავენ რა არის კარგი და რა არის ცუდი მათ მოქმედებაში. ეს უდავოდ პიესის მაღა-

ლი ღირსებაა. პიესის მთავარი პერსონაჟები ვასიკო და ნიკო სრულყოფილი ხორცშესხმული სახეებია. პიესის კონფლიქტიც მხატვრულად კარგად არის დამუშავებული, ცოცხლადაა გაშლილი და განვითარებული. მხატვრული შესრულების თვალსაზრისით გამოირჩევა ყარამანისა და კაკოს სახეც.

საერთოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ენის მრავალფეროვნებასა და პოეტურობაზე დიდად არის დამოკიდებული ნაწარმოების ემოციურობა და მისი წარმატება. გ. ნახუცრიშვილის ენა ხატოვანი და მჩქეფარეა. მისი მოთხრობები და პიესები ცოცხლად არის დაწერილი და დიდი ინტერესით იკითხება.

მაყვალა მრევლიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი ჩვენი მოზარდი თაობისათვის კარგად ცნობილი მწერალია. მისი წიგნები: „დილა მშვიდობისა" (1951 წ.) „გასეირნება" (1952 წ.), „ჩვენი სათამაშოები" (1952 წ.) ,,გოგია და ტოლია" (1954 წ.) ფართოდ არის გავრცელებული და დიდი ინტერესით იკითხება.

მაყვალა მრევლიშვილი დაიბადა 1909 წლის 14 თებერვალს, თბილისში, ცნობილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის ოჯახში, საშუალო სასწავლებელი მან 1926 წელს დაამთავრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი 1930 წელს. უნივერსიტეტში ყოფნის დროს წერდა ლექსებს. მისი პირველი ლექსი ,,წერილი აბასთუმნიდან" დაიბეჭდა 1927 წელს ,,ქართველ ქალთა ალმანახში", ამავე ხანებში მაყვალა მრევლიშვილი გატაცებული იყო ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვებით. მან ამ მიზნით რამდენჯერმე იმოგზაურა მესხეთ-ჯავახეთში და საყურადღებო მასალებიც შეაგროვა. 1932 წლიდან მაყვალა მრევლიშვილი კვლავ განაგრძობს ლექსების წერას, 1950 წელს იბეჭდება მისი ლექსების წიგნი ,,ქართლის უბეში". საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა მან 1935 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან იგი სისტემატურად აქვეყნებს საბავშვო ლექსებს.

თითქმის ყველა თანამედროვე მწერალი თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ პირველ ადგილს სწავლისა და შრომის თემას უთმობს. ეს რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივია, რადგან ბავშვის ხასიათისა და თვისებების გამომუშავება უმთავრესად სწავლასა და შრომაში ხდება, მაგრამ თემა რაგინდ აქტუალური და საინტერესო არ უნდა იყოს, თუ იგი მხატვ-

რულად კარგად დამუშავებული არ არის, შესრულების მხრივ სუსტია, მკითხველის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, ვერ აღძრავს ჯანსაღ ემოციებს. საბავშვო ნაწარმოებებს კი პირველ რიგში მოეთხოვება აღძრას ბავშვებში ემოციები და მიაწოდოს მათ გარკვეული შემეცნებითი მასალა გასართობ ფორმაში. მაყვალა მრევლიშვილის შრომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. ლექსებში „ბაღში", „სახლობანა", „საზეიმო", „დალის ნაქარგი", „აი!" შრომის მნიშვნელობაა გამოხატული. მაგრამ ეს მნიშვნელობა გამოხატულია არა ზოგადად და საერთო ფრაზებში, არამედ ლამაზ სურათებში. ამბავი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ნაწარმოებებს, ისე ცოცხლად არის გადმოცემული, რომ ბავშვს სურვილი ებადება მიბაძოს ლიას („აი!") და მანაც მოქსოვოს კოხტა და რბილი ფაჩუჩები. ამ მოცულობით პატარა ლექსში (ზემოთ დასახელებული ყველა ნაწარმოები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ლიტერატურას ეკუთვნის) სამი პერსონაჟია გამოყვანილი და სამივენი ხალისიან შრომაში არიან ჩაბმული. თუ ლია კოხტა ფაჩუჩებს ქსოვს, სამაგიეროდ სიკო ლამაზ ხურჯინებს კერავს, თინა ქარგავს. ერთი სიტყვით, არც ერთი მათგანი უსაქმოდ არ არის დარჩენილი და თავისი შრომით პატარა მკითხველზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ნორჩ მკითხველზე საჭირო და სასარგებლო გავლენას ახდენენ ნოდარი და ცისიაც („ბაღში"), აქაც სურათს მიჰყავს ბავშვები გარკვეულ წარმოდგენამდე. ამ სურათის მიხედვით პაწია მკითხველს აუცილებლად დაებადება სურვილი გვერდში ამოუდგეს ცისიას და ნოდარს, დარგოს ხეხილი, ბილიკებზე დაყაროს დანაყილი აგური და გაალამაზოს ბაღი. ავტორის მიზანიც სწორედ ეს არის, ღრმა პედაგოგიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ მ. მრევლიშვილის მიერ თამაშსა და სათამაშოებზე დაწერილ ლექსებსაც. პოეტი აღწერს ისეთ სათამაშოებს, რომლებიც ბავშვებში იწვევენ სხვადასხვა მანქანების აგებულებისა და მექანიზმის შესწავლის ინტერესს: მაგალითად, ლექსი „ელმავალი" უეჭველად გამოიწვევს ელმავლის აგებულების შესწავლის სურვილს. აქაც მწერალს პოეტური

ფორმა იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი ეხმარება მას წმინდა პრაქტიკული მიზნების გადმოცემაში. პოეტი ამ ლექსებშიც არ ღალატობს თავის პრინციპს—ლაკონურობას, რაც აუცილებელი პირობაა სკოლამდელი ასაკის საბავშვო ლიტერატურისათვის და ბავშვებში სურათების, ცოცხალი აზრების მეშვეობით წარმოშობს საგნისა და მოვლენების არსში ჩაწვდომის სურვილსა და ინტერესს როცა მ. მრევლიშვილის სათამაშოებზე დაწერილ ლექსებს ვეხებით, არ შეიძლება ერთ მდგომარეობას არ მივაქციოთ ყურადღება: არიან ბავშვები, რომლებიც თავის სათამაშოზე სხვას ხელს არ მოაკიდებინებენ, გაჰყვირიან ,,ჩემია'' და თავის ტოლებს არ აძლევენ თამაშის ნებას. ეს გარემოება, რასაკვირველია, დასაგმობია. კარგად მოიქცა პოეტი, როდესაც მან პატარა ნუნუს (,,ჩივილი'') ეგოისტური განწყობილება გამოავლინა და ამხანაგების თვალში დაამცირა. ამასთან ჩვენს ლიტერატურაში დააყენა საკითხი ისეთი სათამაშოების შექმნისა, რომლებიც კოლექტიურობის გრძნობას განავითარებენ, ეს საკითხი აქტუალურია და მის მხატვრულ გადაწყვეტას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მ. მრევლიშვილი როცა ეხება სათამაშოებს თუ თამაშს, ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვას (,,მანქანები'') თუ მხნე და გაბედული ახალი თაობის აღზრდაში სპორტის მნიშვნელობის (,,ვარჯიში'') საკითხს, მხოლოდ ერთი აზრით არის დაინტერესებული: ხელი შეუწყოს ბავშვებს გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებაში, დისციპლინის გამომუშავებაში. იგი ცდილობს წიგნის კითხვა (,,ჩემი წიგნი''), სწავლა (,,ხატვა'') და შრომა (,,ბაღში'') შეაყვაროს მათ. დასახელებულ ლექსებში პოეტის მისწრაფებას გამოხატავენ თვით პერსონაჟები. ამ ხერხით ის მეტ დამაჯერებლობას აღწევს. პაწია მკითხველს მოსწონს თავისი ტოლის განზრახვა, ისიც მზად არის მის მსგავსად ანბანი და ხატვა ისწავლოს, ააგოს კოხტა სახლი (,,ახალი სახლი'') თავის დროზე დაიძინოს (,,ძილი ნებისა''), ჭამის წინ ხელი დაიბანოს (,,საუზმე''), დილაობით ივარჯიშოს. ლექსებში ,,ვარჯიში'', ,,ჩემი ტანსაცმელი'', ,,პირი დავიბანოთ'', ,,საუზმე'', ,,თამარ-ქალი'', ,,ხატვა'', ,,ჩემი წიგნი'', ,,ახალი სახლი'', ,,ბაღში'', პოეტი დამრიგებ-

ლობას კი არ ეწევა, არამედ მოგვითხრობს ამ ნაწარმოებების პერსონაჟების საქმიანობაზე, მათ თვისებებზე, ხასიათზე და ამით კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს პატარა მკითხველზე. ამავე ხერხს მიმართავს იგი, როცა უარყოფით სახეებს ხატავს. თვალსაჩინოდ დახატულ სურათში ჩანს, რომ ქეთინო („ხელები არ დაიბანა") ცუდად მოექცა თავის დედოფალას:

„—ამ მშვენიერ დედოფალას
ბუზები რად ესევიან,
ან ბავშვები სად არიან,
რად არ ეალერსებიან?
—იცი. რატომ? მაგ საწყალმა
დედოფალამ დამიბარა:
ქეთინომ რომ ისაუზმა;
ხელები არ დაიბანა,
ტკბილი ფაფით მოთხუპნულმა
ააყენა, დააწვინა,
დასაბანი ხელი ჰქონდა
და იმ ხელით დააძინა.
ახლა აღარ ეკარება,
თამაშს თავი მიანება,
ჭუჭყიანი დედოფალა
აბა, ვიღას ეამება?"

პაწია მკითხველში ქეთინოს საქციელი გაკიცხვას იმსახურებს. იგი იმახსოვრებს, რომ არ შეიძლება ჭუჭყიანი ხელებით სათამაშოს აღება, რომ თამაშისა და ჭამის შემდეგ ყოველთვის საჭიროა ხელ-პირის დაბანა. ზემოთ ვთქვით, რომ პოეტი დამრიგებლობას არ ეწევაო. ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს მაყვალა მრევლიშვილი დიდაქტიკას არ მიმართავდეს. საერთოდ, შეცდომაა, როცა ფიქრობენ, თითქოს მხატვრული ნაწარმოებისათვის დიდაქტიზმი უჩვეულო იყოს და მავნეც კი, სწორედ ამის გამო ამბობდა მ. გორკი: „მე არ ვიცი ისეთი ხელოვნება, რომელსაც დიდაქტიკა არ გააჩნდეს, და არც ვფიქრობ, რომ დიდაქტიზმს შეეძლოს ხელოვნების გავლენის ძალის შესუსტება მკითხველის წარმოდგენაზე, გონებასა და ნებისყოფაზე". ხელოვნება, ლიტერატურა, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურა დიდაქტიზმის გარეშე არ არსებობს, მაგრამ თავისთავად ცხადია ისიც, რომ დიდ-

აქტიზმმა როდი უნდა შეანელოს ნაწარმოების ემოციური სიმახვილე. როცა ჩვენ ზემოთ მ. მრევლიშვილის ლექსებზე ვლაპარაკობდით, სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში. მათში გამოსადეგი დარიგებანი გამოთქმულია მოკლედ და ნათლად, მოსწრებულად, შერწყმულია სურათებში.

იდეურ-ემოციური სიმახვილე ახასიათებს მ. მრევლიშვილის მოთხრობებს. საინტერესოა, მისი საბავშვო პიესა „ჯეჯილიც". „მე მაგარი ჯიშის ვარ, გლეხის ნაამაგარი, კოლმეურნე მიშველის მოსპობს ამინდს გვალვიანს",—ასე მიმართავს ნორჩი ჯეჯილი სარეველა ბალახებს, რომელნიც ცდილობენ წაართვან მას მზის სხივები და წვიმის წვეთები. პიესის ძირითადი თემა არ არის რთული. ჯეჯილი სასარგებლო მცენარეა, სარეველა კი-მავნე. პიესაში ბრძოლა ამ ორ მცენარეს შორის წარმოებს, რაც პირველის სასარგებლოდ თავდება. პოეტი ითვალისწინებს რა თავის მკითხველის ასაკს, მოქმედებას არ ართულებს სხვადასხვა დეტალების ჩართვით. მართალია პიესაში მასალა მცირეა, მოქმედება მარტივი, მაგრამ ამბავი ისე მკაფიოდ არის გადმოცემული, რომ პატარა მკითხველისათვის გასაგები ხდება, რომელი მცენარეა მავნე და რომელი სასარგებლო, და რა ღონისძიებანი უნდა ჩატარდეს სარეველა ბალახების მოსასპობად.

სულ სხვა ფონზე იშლება პიესა „დედის ჩიტი". როგორც პიესის შინაარსიდან ვგებულობთ, დალიმ და ვაჟამ ცუგრია აბანავეს, იატაკი დათხუპნეს და თვითონაც გაითხუპნენ, მაგრამ ვაჟა გამჭღავნებულ დანაშაულს უარყოფს, თავის მართლებას იწყებს და აშკარად ცრუობს. ამის გამო იგი დედამ სასტიკად დასაჯა. დატუქსულსა და შერცხვენილ ვაჟას ძალიან აინტერესებს, როგორ გაიგო დედამ ცუგრიას ბანაობისა და მათი გაწუწვის ამბავი. დალის აზრით, ცუგრიას ბანაობის ამბავი დედას ჩიტმა მოუტანა. გულუბრყვილო ვაჟა განრისხდა და გადაწყვეტს შური იძიოს ჩიტებზე. ვაჟას ხელში ჩავარდნილი უდანაშაულო ჩიტი ირწმუნება, რომ მას არავითარი ამბავი არ მიუტანია დედისათვის და რომ ის ჩიტი, რომელმაც ამხილა ისინი, არის დედის გული და მისი ორი

თვალი, რომელიც ყველაფერს გრძნობს და ხედავს. ჩიტის მიერ ეს იმდენად დამაჯერებლად იყო თქმული, რომ ვაჟა ჩიტებზე თავის შეხედულებას შეიცვლის და ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე უარს ამბობს. კეთილი ვაჟა ბოლომდე კეთილი რჩება.

ეს პიესა მრავალმხრივ იპყრობს მკითხველის ყურადღებას, აქ აზრები და სურათები ერთიმეორეს ცოცხლად მისდევენ. მთავარია, არ იქნეს ჩადენილი დანაშაული, თორემ მისი მხილება გარდუვალია, რა გულმოდგინედაც უნდა იყოს შენიღბული ის. მთავარია არა დასჯა, არამედ საქმეში გარკვევა. ნაჩქარევად გამოტანილ დასკვნას შეიძლება მოყვეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა, გადაწყვეტილების მიღების დროს საჭიროა სიფრთხილე და დაკვირვება; სულსწრაფობა, აჩქარება დამღუპველია. პიესის ეს იდეა დასურათებულია და მოქმედებაშია გახსნილი.

პატარებისათვის დაწერილი პიესები არ შეიძლება რთულ სიუჟეტზე აგებული, ეპიზოდებითა და დეტალებით გადატვირთული იყოს, მათში მოქმედება სწრაფად უნდა ვითარდებოდეს, რადგან გაჭიანურებული მოქმედება ბავშვის გონებას ღლის და მასალა აუთვისებელი რჩება. საბავშვო პიესებში (იგულისხმება სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი პიესები) ეს აუცილებელი პირობა დაცულია აგრეთვე პიესაში „პატარა სიმღერები". ამ პიესის მთავარი მოტივია შრომა, პიესის მთავარი გმირები ბიჭუნები და ყოგონები არიან, მათ საერთო სიმღერაში

„ვეხმარებით ერთმანეთს,
ერთად ვშრომობთ, ერთად;
ჩვენმა ტურფა ქვეყანამ
ძმურად შეგვაერთა",—

საკმაო სიცხადით გამოსჭვივის საბჭოთა ბავშვების სულიერი განწყობილება. იმ ბავშვებისა, რომლებიც ემზადებიან, რათა მომავალში ჩადგნენ კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

მ. მრევლიშვილის პიესებში მთავარი ადგილი რეალურ სინამდვილეს და მოქმედებას უკავია, პოეტი არ იყენებს ძველ

ხერხს, რომლითაც იწერებოდა წინათ საბავშვო პიესები, ამ პიესებში მთავარ, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადამიანები და არა მითიური გმირები და უსულო საგნები, რომლებიც მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას და ჩვენი ბავშვების ინტერესებს.

მ. მრევლიშვილი რამდენიმე მოთხრობის ავტორია, მაგრამ ეს მოთხრობები ცალკე, დამოუკიდებელი ნაწარმოებები როდია. მათ ერთი საერთო სიუჟეტური ხაზი აქვთ. ამ მოთხრობების საერთო სათაურია „გასეირნება". პირველ მოთხრობაში „ყვავილები" ვგებულობთ, რომ საბავშვო ბაღის მოსწავლენი სასეირნოდ მიჰყავთ, რის გამო ისინი დიდ სიხარულს განიცდიან. აი, რას ამბობს ამის შესახებ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ლამარა, რომლის მეშვეობით ვგებულობთ, თუ რა ნახეს პატარებმა ექსკურსიის დროს და რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ნახულმა: „ჩვენი ჯგუფი ემზადება სასეირნოდ, — ვაშა, ვაშა! ყველას გვიხარია! ვისაუზმეთ და ეზოში გამოვედით, სეირნობას ვნატრობთ დიდი ხანია!

აბა, ჩქარა, ქუდი უკვე დავიხურე, მე ცისანას ხელი მაგრად ჩავჭიდე, მერე წყვილად დავეწყვეთ და ჩვენს ქუჩაში გრძელი, გრძელი კუდბაწარა გავჭიმეთ.

ჩვენმა გამგემ კარებამდე მიგვაცილა და საბავშვო ბაღის ღობეს გავცილდით, დიდ ქუჩაზე ახალ სახლებს ჩავუარეთ, მე აქ ვცხოვრობ!—მეუბნება არჩილი. წინ რომ გვიძღვის, ის დეიდა თამარია, სულ ბოლოში მოგვდევს მარო დეიდა; გზაზე სუფთა ასფალტია დაგებული და ცხრათვალა მზე დაგვყურებს ზევიდან. მივდივართ და ყველა ერთად მივიმღერით, რა სჯობია ასე ერთად სიარულს?"

ამ საინტერესოდ აგებულ ნაწარმოებში ავტორი შესანიშნავად ახერხებს პაწიების ხასიათის გამოვლინებას და მათთვის სათანადო რჩევა-დარიგების მიცემას. იმის მიუხედავად, რომ აღმზრდელებმა დაარიგეს ბავშვები, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი პარკში, რომ არ შეიძლება ყვავილების მოწყვეტა და გათელვა, გივი მაინც ნერგებზე გადავიდა, ლამაზ ყვავილს თავი წააწყვიტა და ჯიბეში ჩაიდო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ლამარას. საყვედურზე, თუ რატომ მოწყვიტა

მან ყვავილი, გივიმ თავის მართლებას მიჰყო ხელი, იმიტომ მოვწყვიტე, რომ ჩვენს ბაღში მინდა მივიტანო, საუბარში მებაღე ჩაერია („მებაღე"): „-ბაღი თქვენც გაქვთ? მერე რა გაქვთ დათესილი?—შემკრთალ გივის ჰკითხა ძია მებაღემ; ჩვენ მოვგროვდით და მებაღეს მოვუყევით ჩვენი ბაღის და ბოსტნის შესახებ". მებაღემ თქვა: „თუ ასეა, პატარებო, უნდა მოგცეთ ფესვიანი ყვავილი. თქვენთან დარგეთ, თაიგული შემიკონეთ თქვენთან ბაღში, როცა სტუმრად გამოვივლი." ეს არის დიდი ტაქტით წარმოთქმული შთამაგონებელი სიტყვები. მებაღის მოქმედებამ და სიტყვებმა გივი ჩაახედა თავის საქციელში და ცრემლები, რომლებიც მის თვალებს მოადგა აშკარად ლაპარაკობს, რომ იგი მეორედ აღარ ჩაიდენს ასეთ საქციელს და ამხანაგებსაც აღარ შეარცხვენს.

გასეირნება გრძელდება. „იქით ნეტა რა მომხდარა, ბავშვები რომ გარბიან? აბა წამო, ჩვენც გავიქცეთ, ვნახოთ, რა ამბავია!" ბავშვებმა დაინახეს, თუ როგორ ფართხალებდა ჩიტის ბარტყი („ჩიტის ბარტყი"). პატარებმა დიდი ძებნის შემდეგ ბარტყის ბუდეს მიაგნეს და ერთხმად განაცხადეს: „ბარტყი ჩავსვათ! ფრთხილად, ფრთხილად! არაფერი ეტკინოს. პატარაა,—უღონოა,—ჯერ დედასთან ეძინოს". ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ნაზი და ფაქიზი გრძნობებით არიან აღსავსენი ჩვენი პაწიები. ჩიტები რომ დაამშვიდეს, ბავშვები გორაკისაკენ წავიდნენ („გორაკზე"), დიდ გორაკზე რომ ავიდნენ, ხის ჩრდილში მზეს და სიცხეს დაემალნენ, ჩამოსხდნენ ახალ, მწვანე სკამებზე და მაღლობიდან გადახედეს არემარეს. ქალაქს დიდხანს გაყურებდნენ. „ზაზა მილებს დააცქერდა, უყურებდა დიდხანს, დიდხანს; ბოლი რატომ ამოდისო; ჩვენს დეიდა თამარს ჰკითხა". მაგრამ სანამ დეიდა თამარი ზაზას პასუხს გასცემდა, ნანამ წამოიძახა: „ეგ ხომ ჩვენი ფაბრიკაა, ჩემი მამა იქ მუშაობს. ერთხელ მეც თან წამიყვანა. შიგნით ბევრი დაზგებია: დიგ-დიგ-დიგ-დიგ!—იძახიან. —მეც კი ვიცი ამბობს დათო, დაზგა ბევრჯერ მინახია". თუ ზაზას, დათოს, უნახავთ ფაბრიკა და დაზგები და ახლა ამით ამაყობენ, რად არ უნდა ნახონ ფაბრიკა და დაზგები მათმა ტოლებმა, რატომ არ უნდა გაეცნონ ისინი ფაბრიკის მოწყობილობას, მის მუ-

შაობას? აი; ამ მიზნით არის დაწერილი ეს მოთხრობა, რომელიც უეჭველად წარმოშობს პატარა მკითხველში ფაბრიკა-ქარხნისა და მისი მოწყობილობის გაცნობა-შესწავლის ინტერესს.

ამ მოთხრობების ციკლიდან საყურადღებოა აგრეთვე „პიონერი". პატარა ნუნუმ ლენტი დაკარგა, ბავშვებმა გადაწყვიტეს მისი მოძებნა. ნია, გივი და სხვები ამაოდ ეძებდნენ ლენტს: ვერ ნახეს, ვერ იპოვეს, მოიწყინეს. ამ დროს ერთმა თმაქოჩორა პიონერმა ნუნუს ლენტით მოირბინა და პატარებს ჰკითხა: ეს ვისია, ვინ დაკარგა?.. ნუნუსა და მის მეგობრებს გაეხარდათ, სახე გაუბრწყინდათ. შემდეგ ირკვევა, რომ გია სწორედ იმ საბავშვო ბაღში აღზრდილა, რომელშიც ახლა ლამარა, ნია, გივი, ნუნუ, ზაზა, არჩილი და ექსკურსიის სხვა მონაწილენი სწავლობენ, გია თავის აღმზრდელებს მიესალმა. აქ ირკვევა, რომ საბავშვო ბაღს გიას სახით კარგი ბიჭი აღუზრდია, გია ახლა პიონერია, კარგად სწავლობს, იცის ფოტოაპარატის ხმარება, ბავშვების შეკითხვაზე, თუ ვინ მისცა მას ფოტოაპარატი, გია ასეთ პასუხს იძლევა: „—მე პატარა ელსადგური ავაშენე: თითს დააჭერ—ნათურები აშუქებს, ელსადგური მომიწონეს უფროსებმა და სკოლაში ამით დამასაჩუქრეს!" მან ახლა ამ ფოტოაპარატით ბავშვებს გადაუღო სურათი. პოეტი ბუნებრივად გადადის ერთი საგნის აღწერიდან მეორის აღწერაზე და ბავშვებს უღვიძებს ფოტოაპარატის შესწავლის, ელსადგურის აგების სურვილს. შემთხვევითი როდია, რომ ზაზა ამბობს: როცა დიდი გავიზრდები, მეც ასეთი პიონერი ვიქნები, მაშინ ფოტოაპარატი მეც მექნება, კიდევ—ბევრი, ბევრი, კარგი წიგნი. ლამარამ გადაწყვიტა, როცა გაიზრდება, უეჭველად პიონერი გახდეს. ბავშვების ასეთი მისწრაფება აიხსნება გიას კარგი ქცევით. მისი მოქმედებითა და ცოდნით. გია უეჭველად შთამაგონებელი სახეა.

გასეირნება დამთავრდა. შინისაკენ მხიარულად მიმავალთ პარკის გასასვლელთან საჩუქარი დაახვედრა ძია მებაღემ. ამასთან ბავშვებს აუხსნა, თუ რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ნერგებმა იცოცხლონ. ამრიგად, ბაღში ბავშვებმა ბევრი რამ ნახეს და, რაც მთავარია, მათ ყველგან სიყვარულით ეგე-

ბებოდნენ, ეალერსებოდნენ. ბავშვები წყაროსთან მივიდნენ, უფროსებმა ისინი მაშინვე წინ გაუშვეს („აუზთან"); დიდ ქუჩაზე რომ გავიდნენ, გამვლელებმა მათ გზა დაუთმეს („შინისაკენ"), ერთი სიტყვით, ბავშვები ყველგან პირველნი იყვნენ. ეს ფაქტი ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელია და ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მოზარდი თაობის საერთო კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. მაგრამ „გასეირნების" შეფასება სრულყოფილი არ იქნებოდა, რომ ერთი გარემოებისათვის ყურადღება არ მიგვექცია, გვერდი აგვევლო იმ ორი პერსონაჟისათვის, რომლებიც ნაწარმოებში თითქოს ისე, სხვათა შორის არიან გამოყვანილი. ესენია აღმზრდელები თამარი და მარო. პირველი მათგანი ბავშვებს გასეირნების დროს წინ მიუძღოდა, მეორე კი უკან მიჰყვებოდა. მათი სახე მოქმედებაში ნაკლებად ჩანს, მაგრამ ისინი რომ დ უზარებელი და გამოცდილი პედაგოგები არიან, ეს ჩვენთვის ნათელია, ნათელია თვით ლამარასა და ნუნუს, გივისა და არჩილის მოქმედებით, მათი ქცევით, ლამარა და მისი ტოლ-მეგობრები რომ კარგი და საყვარელი ბავშვები არიან, ეს ამ აღმზრდელთა წყალობითაა. როგორც კი მკითხველმა დაამთავრა „გასეირნების" კითხვა და გაიგო, რომ ბავშვები ბაღში უვნებლად დაბრუნდნენ, თამარისა და მაროსადმი შინაგანად რაღაც განსაკუთრებული სიყვარული იგრძნო. მის თვალში ეს ორი პიროვნება უფრო ამაღლდა და გაიზარდა, ეს მოვლენებისა და ხასიათის გამომჟღავნების თავისებური ხერხია. მაყვალა მრევლიშვილის შემოქმედებისათვის ეს მხატვრული ხერხი დამახასიათებელია.

ბავშვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებში მთავარია ბუნებრიობა და სისადავე. რთული სიუჟეტი და დახლართული კომპოზიცია როდი გამოდგება მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებში. ეს კარგად არის გათვალისწინებული მ. მრევლიშვილის პოემაში—„გოგია და ტოლია", რომელიც ამ ასაკის ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. ამ პოემის მთავარი პერსონაჟები—

„ჩვენი ორი ბიჭუნა
ერთმანეთის ტოლია,
ერთსა ქვია გოგია,
მეორეს კი ტოლია“.

აი ახლა, დილაადრიან, ორი განუყრელი მეგობარი— გოგია და ტოლია საბავშვო ბაღისაკენ მიიჩქარიან. მათი საბავშვო ბაღი სააგარაკოდ მიემგზავრება და ბავშვებს ეშინიათ არ დაუგვიანღეთ. ტოლიასა და გოგიას ნინო მასწავლებელი და მათი ტოლ-მეგობრები გასამგზავრებლად მომზადებული დაუხვდნენ. დაიძრა ავტომანქანა. შემდეგ პოეტი აგვიწერს იმ ადგილმდებარეობას, სადაც საბავშვო ბაღი დაბინავდა. პოემის გეგმის მიხედვით, ქალაქელმა ბავშვებმა უნდა გაიცნონ სოფლის ცხოვრება. პირველი, რაც პატარებმა ნახეს,—ეს არის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა. აქ ისინი ეცნობიან ინკუბატორს, წიწილების გამოჩეკვის „ხელოვნებას“, შემდეგ ბავშვებს ვხვდებით ყანაში, კალოზე, სადაც მათ ნახეს კომბაინი, გაეცნენ მის მუშაობას. ერთი სიტყვით, საბავშვო ბაღის ოცდაათმა აღსაზრდელმა, სანამ ზაფხული მრიწურებოდა, ხელშესახებად ნახა ბევრი რამ ისეთი, რის შესახებაც ამათ მხოლოდ უფროსებისაგან გაეგონათ, მდიდარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან ისინი დედაქალაქში.

მ. მრევლიშვილის ნაწარმოებები ეხებიან ქალაქისა თუ სოფლის თემას, ყველანი თანაბარი სიძლიერით ემსახურებიან ჩვენი ბავშვების აღზრდის საქმეს.

ქართველ პოეტთა დიდი წვლილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

ასე ეწოდება აგნია ბარტოს ერთ-ერთ წერილს, სადაც ვკითხულობთ: ,,ყველამ ვიცით, თუ როგორ უყვართ ბავშვები საქართველოში, ვიცით, რომ სრულასაკოვანსა და ხანდაზმულ ქართველ პოეტებს ხშირად ,,სული წასძლევთ'' ხოლმე რაიმე საბავშვო ნაწარმოების შესაქმნელად. მათ კრებულებში იგრძნობა ბავშვთა სიყვარული. ეს უეჭველად ყურადსაღები მოვლენაა''.

მაინც რა გვახარებს ქართველი პოეტების ნაწარმოებების კითხვისას? უწინარეს ყოვლისა, — ამბობს გამოჩენილი რუსი მწერალი, — მაღალი ოსტატობა, თემატური მრავალმხრივობა, აგრეთვე ისიც, რომ ავტორებს ესმით, თუ რა უნდა მოუთხრონ ბავშვებს და რა არა. სწორედ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი თანამედროვე ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზია, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ი. გრიშაშვილის მახვილი თვალით და ბრწყინვალე ერუდიციით ესოდენ მოხიბლულია აგნია ბარტო. იგი წერს: „იოსებ გრიშაშვილს აქვს ლექსი ,,მიყიდე''. ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეუჩნდებიან ხოლმე პატარები უფროსებს ამგვარი თხოვნით და აი, ლექსის ავტორმა გაიგონა ეს სათხოვარი, ხოლო ჩვენ მანამდე ამგვარი რამ ვერ გავიგონეთ. ს. მიხალკოვი უეჭველად იტყვის: რატომ ძე ვერ მოვკარი თვალი ასეთ რამეს და სხვამ კი დაინახაო. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთმა საბავშვო პოეტმა ამგვარი რამ ვერ დავწერეთ, ვერ გავიგონეთ ჩვენი ბავშვების მიერ

წამდაუწუმ ნათქვამი ხსენებული სიტყვა. როგორ მთავრდება ეს ლექსი?

კმარა ჩემო შვილიკო,
კმარა: თორემ იცოდე,
ნამდვილ სახელს წაგართმევ
და „მიყიდეს" გიწოდებ.

აქ იგრძნობა ბავშვის ფსიქიკის ცოდნა და დაკვირვების დიდი სიზუსტე."

ქართული მხატვრული დიდაქტიკური პოეზიის ძვირფასი შენაძენია ი. გრიშაშვილის ლექსები „რაც არ იცი, ჰკითხე სხვასა", „ნუ გადასდებ ხვალისათვის", „მოხუცის დარიგება", „მეგობარი" და სხვა. ეს ლექსები აგებულია გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამებზე. ერთხელ არაბ ფილოსოფოსს გაზალის ჰკითხეს, როგორ მიაღწიე ასეთ მაღალ საფეხურს მეცნიერებაშიო? იმით რომ, არა მრცხვენოდა მეკითხა ის, რაც არ ვიცოდიო, — უპასუხა მან (საადი). ეს ძველთაძველი ამბავი პირველ ლექსში ხორცშესხმულია მხატვრული სიტყვის მადლით და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ამის შესახებ ადრე არაფერი ვიცოდით. ამაშია ი. გრიშაშვილის ორიგინალობა.

საბავშვო ლექსი უნდა იყოს სადა, მისთვის უცხოა სირთულე, მით უმეტეს, ნაწვალები. ი. გრიშაშვილის ლექსები ნათელი და ბუნებრივია. პოეტისათვის დამახასიათებელია ექსპრესიული, მკვეთრი რიტმული მეტყველება, სინამდვილის გამოხატვის მკაფიო ემოციური ფორმა. ამას მოწმობს მისი საბავშვო ლექსებიც, რომლებსაც იგი ქმნიდა მთელი თავისი ცხოვრებით, სულით, გრძნობით.

ბარტოს დასახელებულ წერილში საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე გიორგი ქუჩიშვილს. „კარგი ლექსი აქვს გ. ქუჩიშვილს, „მლესავი ალექსი". აქ გაისმის მკაფიო ხმა, დასამახსოვრებელი ინტონაცია. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე პოეზიას ეხება და ამდენად ოსტატობაზე უნდა ვილაპარაკოთ. პოეტურ ოსტატობას თან ცოცხალი ინტონაცია უნდა სდევდეს". გ. ქუჩიშვილის ლექსებში სწორედ ცოცხალი ხმები გაისმის. ერთი სიტყვით, ი. გრიშაშვილის და გ. ქუჩიშვი-

ლის მეტად საინტერესო, თავისებური, ღრმა და ჭეშმარიტი პოეზია ბავშვებს მამულის, ხალხის, ბუნების, შრომის სიყვარულს უნერგავს, მოზარდებში კარგ აზრებსა და უწმინდეს გრძნობებს იწვევს. ამ მხრივ საყურადღებოა ი. გრიშაშვილისა და გ. ქუჩიშვილის შემდგომი თაობის პოეტების მოღვაწეობაც. ისინი აგრძელებენ უფროსი თაობის საბავშვო პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს.

1

გრიგოლ აბაშიძის ლექსები და პოემები თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის მაღალ დონეზე მეტყველებენ. ისინი („ნაბოლარა წიწილა", „რუსთაველის მერცხლები", „ავი ღლავი", „მეცამეტე გოჭი", „ფისოს გასეირნება თვითმფრინავით" და სხვა) გამოირჩევიან მომხიბვლელი სიუჟეტებით, ამბის წარმტაცი თხრობით, იმ შინაგანი ენერგიით, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმოების სიმტკიცესა და გამძლეობას.

მწერალი თავისი ნაწარმოებებისათვის შინაარსს იღებს ცხოვრებიდან, ბუნების წიაღიდან, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროდან, ფოლკლორიდან. აქ მხედველობაში გვაქვს „ნაბოლარა წიწილა", რომელიც აგებულია იმ ძველი ქართული ზღაპრების მოტივზე, სადაც გარეგნული შესახედაობით სუსტი და უმწეო არსება მოულოდნელად განსაცვიფრებელ გმირობას გამოიჩენს ხოლმე. ასეა ამ პოემაშიც, რომელიც ბავშვებს უნერგავს მშვენიერ იდეებს: „ნამდვილი მეგობრობა ჭირში იცნობა", „მთავარია შინაგანი ღირსება და არა შესახედაობა".

„მეცამეტე გოჭსაც" აქვს თავისებური მორალი. ცნობილია, რომ მეტიჩარასა და აბეზარას მეცამეტე გოჭს უწოდებენ. იხსენებს რა ამ ხალხურ შედარებას, პოეტი ნორჩ მკითხველს განუმარტავს. თუ რამდენად უარყოფითი თვისებაა აბეზრობა და მეტიჩრობა.

პოემას „ფისოს გასეირნება თვითმფრინავით" ბავშვები დიდი ხალისითა და ინტერესით კითხულობენ. ფისოს თავგადასავალი და ცუგრუმელას კინკლაობის ამბავი აქ ძლიერ

საინტერესოდ და სხარტად არის გადმოცემული. ბავშვებს უფროსებისაგან ხშირად სმენიათ—თქვენი მეგობრების ამბავი ძაღლისა და კატის მტერ-მოყვრობის მსგავსიაო... პოეტი სადად და კონკრეტული მაგალითით უხსნის პატარებს ხალხში გავრცელებულ ამ შინაარსიან გამოთქმას:

ბევრჯერ ფეხქვეშ ამოიდებს,
დაულურჯებს თათით გვერდებს,
კატა მაინც არ ეშვება
და უკატოდ ძაღლიც ვერ ძლებს!

მართალია, გ. აბაშიძე ამ ხასიათის პოემისათვის ფაბულას ხშირად ხალხური თქმულებებიდან სესხულობს, მაგრამ პოეტი არასოდეს არ მიმართავს ფოლკლორის უბრალო გამეორებას. აქაც იგი მუდამ ორიგინალური და დამოუკიდებელია. ამიტომ მისი ნაწარმოებები ყოველთვის სიახლის შთაბეჭდილებას ტოვებს და ბავშვებიც გატაცებით კითხულობენ პოეტის ამ ქმნილებებს.

საბავშვო ლიტერატურაში ალეგორიის ხერხი სავსებით მისაღებია. მწერალი მიმართავს კიდეც ამ ხერხს („ავი ღლავი") და შესანიშნავადაც იყენებს მას სიხარბის, გაუმაძღრობის, მტაცებლური ჟინით შეპყრობილთა წინააღმდეგ. ეს ნაწარმოებიც შექმნილია შთაგონებით და ავტორისათვის დამახასიათებელი ოსტატობით. სწორედ ამით აიხსნება ნაწარმოებისადმი პატარა მკითხველების ესოდენ დიდი ინტერესი.

ბავშვს ყველაზე უფრო უყვარს ის თხზულება, რომელშიც იგი თავის ტოლებს ხედავს, პატარები გატაცებით კითხულობენ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც რაინდული სულის, მამაცი, ფიზიკური ძალით აღსავსე ადამიანები მოქმედებენ. ასეთი ნაწარმოებია „ყველაზე ძლიერი", რომლის მთავარი გმირია მამაცი საბჭოთა ჯარისკაცი. სწორედ მან იხსნა პატარა გოჩა დათვის კლანჭებისაგან.

პოემის შინაარსიდან ვიცით, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ პოეტი სავსებით სწორია, როდესაც ბავშვს თავიდანვე უნერგავს იმ აზრს, რომ თავდაუჭერელი გატაცება, გართობა სახიფათოა.

„რუსთავის მერცხლებში" დაწვრილებით არის მოთხრო-

ბილი ახალი ქალაქის წარმოშობის ამბავი. თხრობაში გრძნობა ჭარბობს, მაგრამ აქ მკვეთრად ჩანს ამ გრძნობის წყაროც.

ნაწარმოებში მერცხლები გაადამიანურებული არიან. გამოსახვის ეს ხერხი ბავშვებს აახლოებს ბუნებასთან.

,,რუსთავის მერცხლებში'' გარკვეულად შეინიშნება გრ. აბაშიძის პოეტიკის მჭიდრო კავშირი ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებასთან. საერთოდ, გრ. აბაშიძის პოეზიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ეროვნულ ნიადაგში.

რომ შთააგონოს ბავშვს სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, პოეტი თვით უნდა იყოს ღრმად გამსჭვალული ამ უაღრესად კეთილშობილური გრძნობით. ,,ხუთი გმირის'' მთავარი პერსონაჟი ჯონდო იმიტომ ლაპარაკობს ასე აღტაცებით თანამედროვე ცხოვრების მშვენიერებაზე, რომ თვით პოეტია ამ მშვენიერებით ესოდენ მოხიბლული და აღფრთოვანებული. პატარა მკითხველმა შესანიშნავად იცის, რომ ჯონდომ საზაფხულო არდადეგები სოფელში, შრომისა და ბრძოლის გმირების ოჯახში გაატარა, ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით იმ შთაბეჭდილებებზე, ასე დაწვრილებით რომ არის გადმოცემული პოემაში. ჯონდოს მიერ ნანახმა და განცდილმა ღრმა და უშუალო გამოძახილი ჰპოვა ნორჩ მკითხველებში. ამიტომ ვამბობთ, რომ საბავშვო მწერალმა ყველაზე მეტად თანამედროვე ცხოვრების აღწერაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, ბავშვებს ყველაზე უფრო ადამიანების გარემო აინტერესებთ, ის ნაწარმოები იზიდავთ, რომელშიც ხალხი მოქმედებს.

გრ. აბაშიძე არც უმცროსი ასაკის ბავშვებს ივიწყებს. ლექსში ,,მე და ნიკა'' პაწიები ამსხვრევენ და ამტვრევენ სათამაშოებს, თანაც გვეკითხებიან, მოგწონთ თუ არა ჩვენი საქციელიო. რა თქმა უნდა, მათი საქციელი მთლად მოსაწონი არ არის, მაგრამ ბავშვი არ უნდა დავსაჯოთ. მით უმეტეს, მკაცრად, იმის გამო, რომ სურვილი აქვს გაიგოს, როგორ არის ეს ნივთები მოწყობილი, რა არის შიგნით მოთავსებული (გოეთე). ბავშვები უნდა წავახალისოთ როცა ისინი თამაშობენ, რადგან ბავშვი, ბავშვი უნდა იყოს. თუ ამ წესს დავარღვევთ, მივიღებთ ნაადრევად მომწიფებულ ნა-

ყოფს, რომელიც, რუსოს სიტყვებით რომ ვთქვათ, უმწიფარიც იქნება, უგემურიც და გაფუჭებულიც. ამიტომ არის, რომ გრ. აბაშიძე ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევს თამაშის საკითხს და ეხმარება ბავშვებს გართობაში („მე და ნიკა", „მანქანის შეკეთება" და სხვა.)

საბავშვო ნაწარმოებში მიზანშეუწონელია დიალექტის, კუთხური გამოთქმების გამოყენება. ავტორი და პერსონაჟი, წმინდა ლიტერატურული ენით უნდა ლაპარაკობდნენ. თუ პატარაობისას სიტყვა დამახინჯებულად შეითვისე, მერე მისგან განთავისუფლება ძნელია. ამიტომ საბავშვო მწერალს ყველაზე უფრო მოეთხოვება ენის სიწმინდის დაცვა. გრ. აბაშიძის ენა დახვეწილი და ნატიფია, სტილი ლაპიდარული, მისი გმირების მანერები ბუნებრივია. ეს გარემოებანიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის გემოვნების, ლამაზი მეტყველების, ხასიათის გამომუშავებაში.

პოეტის ლექსების, პოემების დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ბოლო სტრიქონები პირველი სტროფის დასკვნას შეიცავს. ერთი სიტყვით, გრ. აბაშიძის ნაწარმოებებს კომპოზიციური მთლიანობა ახასიათებს.

გრ. აბაშიძე კარგად იცნობს ბავშვთა სამყაროს, რაც მთავარია, მათი ფიქრების, სურვილების, ცხოვრების გამოხატვისას მტკიცედ იცავს ზომიერების პრინციპს.

2

ქართველი საბავშვო მწერლების დიდი წვლილი, — წერდა გამოჩენილი რუსი პოეტი ბარტო,— შეიძლება შევიტანოთ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში, სადაც ის საპატიო ადგილს დაიჭერს. ქართველი პოეტების ლექსებში მშვენიერი და ამაღლებული იდეები ნიჭიერად არის გამოთქმული. მათი ნაწარმოებები, — წერდა იგი, — მდიდარია ფერებით, გამოირჩევა დიდი მხატვრული უშუალობით და ორიგინალურად გამოხატავს „მამებისა" და „შვილების" ნათელ დამოკიდებულებას. ამ სავსებით სწორი მოსაზრების

ერთ-ერთი ცოცხალი დადასტურებაა ხუტა ბერულავას ლექსი ,,საუბარი შვილთან (ანუ, კეთილგონივრული რჩევა და შეგონება ყმაწვილისადმი, ცხოვრებას რომ იწყებს).''

რა თქმა უნდა, დიდაქტიკა საჭიროა, მაგრამ ბავშვმა თუ იგრძნო, რომ ჭკუის დარიგება ვალდებულებით არის ნაკარნახევი, სასარგებლო შედეგზე ზედმეტია ლაპარაკი. რჩევა-დარიგებას მხოლოდ მაშინ აქვს მიმზიდველობა და ძალა, როცა ის ბუნებრივია. ,,საუბარი შვილთან" მთელი თავისი შინაარსით უშუალო ნაწარმოებია, აღბეჭდილი მშობელი მამის ყურადღებიანი და მშვიდი სიყვარულით...

ხუტა ბერულავას ნაწარმოებები ცხოვრებისეულ სიუჟეტებზეა აგებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „აჩიტა და ბაჩიტა'', რომლის მთავარ პერსონაჟს თითქმის ყველა ბავშვი იცნობს. ამ კეთილი და რიხიანი ბიჭის ირგვლივ თავმოყრილია პოემის ყველა ძაფი და მოქმედი პირი, რომლებმაც ასე მწვავედ განიცადეს ბაჩიტას დაღუპვის ამბავი. სწორედ ამ განცდაში ჩანს მათი ხასიათი, ზნეობა, სულის სიფაქიზე.

შემთხვევა, რომელიც აღწერილია პოემაში, ნამდვილად მოხდა. აჩიტა, ზურაბი, ლევანი, მზეონა, ზოია, ლონგინოზი და სხვანი რეალური პიროვნებები არიან. მათი ქცევისა და განწყობილების გამოსახვის მანერა სავსებით მისაწვდომია ნორჩი მკითხველებისათვის.

,,აჩიტა, და ბაჩიტა'', ადამიანური პოემაა, ბავშვებში ჰუმანურ გრძნობას აღრმავებს. საბავშვო პოეზიის ნამდვილი მოწოდებაც ეს გახლავთ.

მხატვრული თხზულება საუკეთესო საშუალებაა გააღრმაოს ბავშვებში სიმართლის გრძნობა, შთააგონოს მათ, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ღირსების მთავარი ნიშანი პატიოსნებაა. სწორედ ეს აზრია გამოთქმული ლექსში ,,დაბადების დღეს ნათქვამი'', სადაც ვკითხულობთ:

„იყავ ნათელი, როგორც სიმართლე
და შენი ხალხის მახარობელი''.

ბავშვმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ ,,ყოველი კაცი'' ვინც წინ ისწრაფვის, წარსულისა და თავისი დროის სიმდი-

დრით სარგებლობს", მისი კეთილშობილი სურვილები სურ-
ვილებად დარჩება, თუ ის გზადაგზა არ დაეუფლება ყველა იმ
სიკეთეს, მამებმა რომ დააგროვეს საუკუნეების მანძილზე. ეს
აზრი ნათელ ზოლად გასდევს პოეტის ლექსებს. სავსებით
მართალია მგოსანი, როცა ამბობს: მეტად ძნელია, რომ ქვე-
ყანაზე დატოვო კვალი, მაგრამ აუცილებელია იყო ᲨᲨრომელი
და პატიოსანი. აი, ეს არის ხუტა ბერულავას პოეზიის მიმა-
რთულება, მთავარი აზრი.

ბუნების წმინდა ღიმილით არის სავსე ლექსი „შენ, პატარა
მეგობარო!" აქ ბუნება ბავშვების კეთილი მეგობარია და დიდ
სიხარულს ანიჭებს პატარებს.

იმაზე უფრო მშვენიერი არა არის რა, გაერკვე ბუნების
საიდუმლოებაში და გაიმარჯვო სტიქიონზე, მისწვდე დაფა-
რულ საგანძურებს. სწორედ ამ საქმეში გვეხმარება წიგნი. ის,
გორკის თქმით, ფრთებს ასხამს გულსა და გონებას ქვეყნიერე-
ბის, ადამიანის სიყვარულით. აი, ამიტომ მოითხოვს პოეტი
ასე დაჟინებით ბავშვებისაგან წიგნის პატივისცემას:

მას შეუძლია გიჩვენოს ფონი
და გაპოვნინოს ბილიკი წვრილი,
ვერ შეედრება ძალით და ღონით
ცის შვილობილი თუ მიწის შვილი.

ხუტა ბერულავას ლექსების ძალა სიმართლეა. იგი მარ-
თლად და საინტერესოდ ხატავს ცხოვრებას, ადამიანებს, ხა-
სიათებს, გარემოს. პოეტი ბავშვების მეგობარია და გულ-
წრფელად აღწერს მათ საქციელს. თუ რომელიმე მათგანში
ნაკლს შენიშნავს, პირდაპირ მიუთითებს, რადგან შესანიშნა-
ვად იცის, რომ შეიძლება უმნიშვნელო ნაკლი განვითარდეს
და მანკიერებად იქცეს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მან
უყურადღებოდ არ დატოვა რეზოს უღირსი საქციელი: „თხილ-
სა ხრავდა, როგორც თაგვი და ნაჭუჭებს ყრიდა გზაზე". მისი
მოქმედება არ მოსწონს ნიკას, რომელიც თანატოლს სრულია-
ად სამართლიან შენიშვნას აძლევს:

—ნაჭუჭს ყრიან განა გზაზე?
სხვა თუ არა, ძია დათას
მძიმე ჯაფა დააფასე!

პიონერების დიალოგში ირკვევა, რომ ნიკა საღად მსჯელობს, რეზო კი ცუდად აზროვნებს. რეზო მიხვდა თავის შეცდომას და ყმაწვილების მეგობრობა გრძელდება.

ფაბულა დამაჯერებლად ვითარდება და მკითხველი არ ცდება, როცა ფიქრობს, რომ რეზო მშობლიური ქალაქის სიყვარულს საქმით დაამტკიცებს. ამრიგად, პოეტმა ცხოვრებისეული სიუჟეტით ცხადყო ჭეშმარიტება იმ აზრისა, რომ ,,არაფერი არ ასწავლის კაცს ისე, როგორც საკუთარი შეცდომის შეგნება. ეს თვითაღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა''.

რა თქმა უნდა, ,,საგნები, რომლებსაც ბავშვებს ასწავლიან, მათ ასაკს უნდა შეეფერებოდეს. თორემ არის საშიშროება, რომ მათ დაიჩემონ დიდი ჭკუა, აჰყვნენ მოდას, გახდნენ პატივმოყვარენი". ეს ეხება ლექსსაც, სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარმოები უნდა იყოს მარტივი, რადგან მათ არ შეუძლიათ ღრმა განცდების ანალიზი. ამიტომ ხუტა ბერულავა პაწიებს ისეთ სიუჟეტებს სთავაზობს, რომლებიც მათთვის სავსებით გასაგებია (,,როცა კარგად გათენდება'', ,,დილის ვარჯიში'', ,,თოჯინებო, ,,მეგობრებო'', ,,სტუმარი'', ,,ლია სცენაზე'', ,,მაიკო'' და სხვა).

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორი არ არის, თითქოს პაწიებისათვის განკუთვნილი ლექსებისათვის მთავარი მუსიკალური მხარე იყოს. ნაწარმოებს მხოლოდ მაშინ აქვს ფართო აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როდესაც მაღალი იდეა გამოხატულებას პოულობს კარგ მხატვრულ ფორმაში, მუსიკალურ რითმში. ამას ადასტურებს ჩამოთვლილი ლექსები. მათში იდეა და მელოდია განუყოფელია.

ზღაპარი საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ჟანრია. კარგი ზღაპარი მეცნიერებისა ღა მხატვრული ფანტაზიის სინთეზია; იგი აღაფრთოვანებს ბავშვს, წარმოსახვის უნარსა და ძალას უვითარებს. სწორედ ამ მხრივ იპყრობს ყურადღებას ხუტა ბერულავას ზღაპრები, განსაკუთრებით კი ,,ნატვრისთვალი'', სადაც ბავშვს გაწეული სიკეთე სიკეთით უნაზღაურდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კაჭახიძე თავის ერთ-ერთ წერილში ამბობს: ,,ბავშვებისათვის წერა ყოველი პატრიოტი მწერლის მოვალეობად მიმაჩნია. რასაც დათესავ, იმას მოიმკიო, უთქვამს ხალხს. ბავშვები ჩვენი მომავალია და როგორებსაც მათ აღვზრდით, მომავალიც ისეთი გვექნება''. ამ შეგნებით პოეტმა ბავშვებზე და ბავშვებისათვის მრავალი ლექსი და პოემა შექმნა, რომელთაც მომადლებული აქვთ დიდი სითბო და სინათლე, სინდისი და ალალმართლობა. ამიტომაც განსაკუთრებულია მათი აღმზრდელობითი გავლენა.

გ. კაჭახიძის მთავარი მიზანია მოზარდს შეათვისებინოს საუკეთესო ჩვეულებანი, გაუღრმავოს თანდაყოლილი ნიჭი და კეთილშობილური ზნეობრივი გრძნობები, ინტერნაციონალიზმის, კოლექტივიზმისა და ურთიერთპატივისცემის შეგნება (,,ერთია ჩვენი სამშობლო'', ,,მოსკოვი'', ,,ფიქრით, გულით მოსკოვშია'' და სხვა).

ერთი გვაქვს დედა სამშობლო,
მზის და გმირობის ქვეყანა.
გზა მეგობრობის, გზა ძმობის
მან ნოგვცა, მან შეგვაყვარა.
(,,ერთია ჩვენი სამშობლო'').

ეს სტროფი ნათლად მეტყველებს პოეტის პერსონაჟთა მაღალ ინტერნაციონალურ შეგნებაზე, აქ მკაფიოდ ჩანს გარემო, სადაც ხდება მოზარდი თაობის ინტელექტუალური განვითარება.

რამდენადაც თანამედროვეა პოეტი, მის შემოქმედებაში იმდენად უფრო მძლავრად გაისმის მოქალაქეობრივი მოტივი. ამას ადასტურებს გ. კაჭახიძის პოეზიაც, რომელიც გამსჭვალულია თანამედროვე ცხოვრების პათოსით და რომლის მთავარი გმირი ახლის მშენებელი ადამიანია. იგივე ითქმის მის საბავშვო ლექსებზეც, რომელთა პერსონაჟები აქტიურად მოქმედებენ. მათ სახეებს პოეტი კონკრეტული საქმიანობის ფონზე ხატავს.

ცოდნა ცხოვრების განვითარების რეალური ძალაა, „ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი უდგება" (ილია)

ცოდნის საფუძვლებს კი სკოლა იძლევა. ამიტომაც პოეტი დიდ ყურადღებას აქცევს სკოლის თემას („ფრიადოსანი ცირა", „სკოლაში დაბრუნება", „სწავლა დაიწყო", „პირველკლასელი მეგობრები" და ა. შ.). ამ ნაწარმოებების მიზანია მოზარდებში აღძრას ცოდნის შეძენის ინტერესი, სწავლისა და სკოლის სიყვარული. ესოდენ კეთილი მიზნის მისაღწევად პოეტი ხატავს ისეთ პირებს, რომლებიც ამ ინტერესით და სიყვარულით არიან შეპყრობილნი და დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ პატარებზე.

გ. კაჭახიძის საბავშვო პოეზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების სურათებს, სოფლის კოლორიტის აღწერას, რადგან ბუნებაში ადამიანი „პოულობს შემოქმედებითი სიხარულის ახალ წყაროს, იწმინდება და უფრო მაღალი და კეთილი ხდება". ბუნების სილამაზეს ჩვენ ბავშვობაშივე ვგრძნობთ და განვიცდით. ეს უშუალო განცდა და შეგრძნება პოეტმა ჩინებულად გამოხატა ლექსებში: „ჭადრები", „ია", „წვიმა სოფელში", „შემოდგომა", „ზამთარი", „მერცხლები მოფრინდნენ", „წეროები" და სხვა. ამ ლექსებს დიდი ესთეტიკური ღირებულება აქვთ. ისინი პატარებს ბუნების სიყვარულს ასწავლიან, ხოლო ბუნება თავის მხრივ აჩვევს მათ სიფაქიზეს და უვითარებს ჭეშმარიტი მშვენიერების გრძნობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთლად სწორი არ უნდა იყოს ის აზრი, თითქოს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ბუნებით ნაკლები გატაცება შეინიშნებოდეს. ბუნება დღესაც ქართული მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ კი საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და ქართველი პოეტები სამართლიანად ითვლებიან ბუნების ბრწყინვალე მომღერლებად.

გ. კაჭახიძე რამდენიმე პოემის ავტორია. „ჩვენი სკოლის ყმაწვილები" და „ნინო მასწავლებელი" აგებულნი არიან ცხოვრებისეულ სიუჟეტებზე და წარმოადგენენ დახვეწილ, მხატვრულობის თვალსაზრისით სრულყოფილ ნაწარმოებებს.

პირველ პოემაში ნორჩი ნატურალისტების ცხოვრებაა ასახული. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების გოგისა და შალვას სახით ჩვენ საქმე გვაქვს პატრიოტული გრძნობებით ანთებულ მოსწავლე ახალგაზრდობასთან, რომელთა სულიერ

ინტერესს სწავლა და შრომა შეადგენს. სწავლისა და შრომის ურთიერთობა პოემის მთავარი თემაა. კარგი სწავლით, ქცევით, მოქმედებით, სიბეჯითით ბავშვი ტოლ-მეგობრების სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გოჩა. იგი სუსტი ხასიათის ბავშვია, ყველაფერს უნდობლად ეკიდება. პოემაში გამოყენებულია ხასიათების დაპირისპირების ხერხი. უნდა ითქვას, რომ გ. კაჭახიძემ ამ ხერხით შეძლო მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერება და პერსონაჟთა ინდივიდუალური თვისებების გამოკვეთა. პოემა მკაფიოდ მეტყველებს პოეტის ფსიქოლოგიურ ალღოზე. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე პოემა „ნინო მასწავლებელი", რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა საბჭოთა მასწავლებლის ცხოვრებაზე, იმ დიდ შემოქმედებითს შრომაზე, რომელსაც ის სკოლაში და სკოლის გარეთ ეწევა. პოემის ცოცხალ ლირიკულ სტრიქონებში კარგად იგრძნობა მასწავლებლის კეთილშობილური და სპეტაკი სახე.

გ. კაჭახიძის ყველა ნაწარმოები, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, ერთ საერთო მიზანს ემსახურება. ეს მიზანია ბავშვის ესთეტიკური და მორალური აღზრდა. მისი ყოველი ახალი ნაწარმოები ახალი შთაგონებაა, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებში კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებას.

4

რევაზ მარგიანის პოეზიაში მთავარი ადგილი სამოქალაქო მოტივზე აგებულ ლექსებს უჭირავთ („ძმობის სიმღერა", „ყველა გზა მოსკოვში მოდის", „მოსკოვი", „რაიმონდა დიენ" „პიონერის სიმღერა", „ეს არის ჩემი ოცნება" და ასე შემდეგ) ეს ნაწარმოებები აკეთილშობილებს ზნეობრივ გრძნობებს და პატარებს საყოველთაო სოლიდარობის სულისკვეთებით მსჭვალავს, განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ქმნილებები, რომლებიც მთელი სისავსითა და ძალით გადმოგვცემენ ღრმა და უსაზღვრო სიყვარულს იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხალხს ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება მიანიჭა.

ლექსს ,,ლენინი'' ორიგინალური და ფრიად საინტერესო სიუჟეტი აქვს. მისი მთავარი პერსონაჟი ისწრაფვის, რაც შეიძლება მალე ისწავლოს ანბანი. ეს დღეც დადგა:

ბიჭუნამ რვეულზე სათუთი
თითებით
პირველად დაწერა:
ლენინი.

ეს ამბავი, ქართველი ბავშვის სიხარული და აღფრთოვანება პოეტმა ნათელ, ჰარმონიულ, გულში ღრმად ჩამწვდომ ლექსად ჩამოაყალიბა.

საბავშვო ნაწარმოებები უნდა გამოხატავდეს მართალ და უწმინდეს გრძნობებს, დიდ აზრებს. სწორედ ასეთებია ,,ლენინი'' და ,,ლენინის მამულში''.

იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ლექსი სიკეთეს ნერგავს და გზას უღობავს ცუდ ჩვევებს. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო რევაზ მარგიანის პოეზია, რომელიც გამოხატავს მოზარდების დამოკიდებულებას საგნებთან, მოვლენებთან, ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან.

ბავშვზე ყველაფერი ახდენს გავლენას—ნივთებიც და გარემოც, მაგრამ მის აღზრდაში მთავარია ადამიანი. ამიტომაც პოეტის მთელი ყურადღება ჭაბუკებისა და გოგონების ცხოვრებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებისაკენ არის მიპყრობილი. ამას მოწმობს თუნდაც ლექსი ,,მეგობარი'', რომლის მთავარი პერსონაჟია პატარა ნინო, ასე ღრმად რომ განიცდის მეგობრის ავადმყოფობას. ის ნანის განსაკურნებლად აქტიურად მოქმედებს, რაც მის მდიდარ ბუნებაზე მეტყველებს. ნამდვილი ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალი (საბა). აი, ამ ლექსის ძირითადი იდეა, ნაჩვენები დამარწმუნებელი მაგალითით.

პოეტს სავსებით სამართლიანად მიაჩნია ის აზრი, რომ ხასიათი ადამიანთან ერთად არ იბადება. ნინო იმიტომ არის კარგი ბავშვი, რომ ცხოვრობს და იზრდება ჯანსაღ ოჯახურ ატმოსფეროში. მაგრამ ბავშვმა კარგი თვისებები რომ შეიძინოს, ეს დიდად არის დამოკიდებული ლექსზეც. როდესაც მოზარდი კითხულობს ,,მეგობარს'', იმსჭვალება იმ გრძნო-

ბით, რითაც გვხიბლავს ნინო. ეს არის ლექსის ღირსება. საერთოდ კი, მეგობრობის თემა საბავშვო ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი თემაა. ბავშვს მეგობრის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაჰყვეს. ამიტომ საჭიროა ამ თემის განსაკუთრებით ღრმა და მთელი მრავალფეროვნებით ასახვა. საბავშვო პოეზია დაუცხრომელი პროპაგანდისტია მტკიცე, განუხრელი მეგობრობისა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს საქმის სიყვარულზე, ის ხელს უნდა უწყობდეს მოზარდი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის დიდსა და საპატიო საქმეს. სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება ზემოთჩამოთვლილი ნაწარმოებები.

რევაზ მარგიანის ლექსები აღსავსეა ენთუზიაზმით. ამ მხრივ გამოირჩევა „ნორჩ მეზღვაურთა სიმღერა". მისი პერსონაჟები მხნე და გაბედული ბავშვები არიან. მათ თავიანთი თავის რწმენა აქვთ.

> გავა წელი მრავალი,
> დღეს რომ გვიცნობთ პატარებს,
> საბჭოეთის გემებით
> ქვეყნებს შემოგატარებთ.

აქ ისმის კეთილი მიზნის მისაღწევად შემართულ ნორჩ მეზღვაურთა გულწრფელი ხმა. ეს ხმა მკითხველს ეუფლება და აძლიერებს მასში სიყვარულს იმ საქმისადმი, რომლის მიმართ ისინი ამჟღავნებენ მიდრეკილებას.

ლექსმა ბავშვში უნდა აღძრას მოქმედების ინტერესი. ამ მოთხოვნილებას ეხმაურება „მოსავლის სიმღერა". მის პატარა გმირებს (ხათუნი, თამრო, მარინე, თინო, ბედი) გული შესტკივათ სახალხო დოვლათზე. ისინი ნაპურალში დარჩენილ თავთავებს აგროვებენ და კოლმეურნეობის ბეღლებს ავსებენ. ამ ლექსს საკმაო ძალა გააჩნია იმისათვის, რომ გააღრმავოს ბავშვის შეგნება და ჩააბას ის ხალისიან შრომაში. პოეტის მიზანი სწორედ ეს გახლავთ.

თანამედროვე სოფლის ლამაზ და მომხიბლავ სურათს წარმოადგენს „მოსავლის ამბავი". ეს ნაწარმოებიც შექმნილია შთაგონებით და ნერგავს სოფლის სიყვარულს. აქვე

გვინდა აღვნიშნოთ, რომ საბავშვო პოეტები უმთავრესად სოფლის ცხოვრებას ასახავენ და ნაკლებ ყურადღებას იჩენენ ინდუსტრიული პეიზაჟის მიმართ. ეს სერიოზული ნაკლია.

ბავშვი უნდა შევაჩვიოთ არა მარტო კარგ გრძნობებს, მანერებს, არამედ შინაარსიან მსჯელობასაც, გამართულ მეტყველებას. ამ მხრივაც ფრიად სასარგებლოა რ. მარგიანის ლექსები, რომელთა პერსონაჟები აზრს გამოთქვამენ ნათლად და ზუსტად, ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ მაშინ, როცა სათქმელი აქვთ („პირველი ზარი დარეკეს", „ხათუნას რვეული", „მზად ვართ!" და სხვა). ზოგჯერ ხდება, რომ ავტორი აკისრებს პერსონაჟს მთხრობელის როლს. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მათთვის ერთიანი ენა არ არსებობდეს. პოეტი პერსონაჟთა მეტყველებაშიც მტკიცედ იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანის ხასიათი მეტყველებაშიც ვლინდება.

ჩვენ შევფიცეთ დროშას—
ყველა ხალხის მზეს,
ჩვენი ნორჩი გული
სამშობლოსთვის ძგერს...
ერთი გვახსოვს სიტყვა:
— პიონერო, წინ!

აი ნამდვილი ხასიათი. ნამდვილი ხასიათის მქონე ადამიანი კი გადაწყვეტილებას მტკიცედ მისდევს.

ლირიკული უშუალობით არის შესრულებული ლექსი „მე რომ პატარა ვიყავი". ის მაღალი გრძნობა, რომელიც ათბობს ამ ლექსის გმირის სულსა და გულს, მშობელი დედისა და სამშობლოს მგზნებარე სიყვარულია.

მე რომ პატარა ვიყავი,
ცელქობით ვიყავ გართული,
დედის კალთაზე ვისწავლე
ჩვენი ლამაზი ქართული.
და როცა წამოვიზარდე,
ამიბიბინდა ულვაში,
საომრად ფრონტზე წავედი
ცეცხლის და ტყვიის ბურანმი,
ჩვენს ძმებთან ერთად ჩავები
სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში,
დედის ძახილი გვესმოდა
ზარბაზნის ტყვიის სროლაში.

ეს სტრიქონები ორ უწმინდეს თანდაყოლილ გრძნობას— მამულისა და მშობლის სიყვარულს აღრმავებს და ავითარებს.

ლექსს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ოჯახს, საზოგადოებას, სკოლას ბავშვის ყოველმხრივ აღზრდაში, თუ ავტორი ყოველმხრივ იცნობს ბავშვს,მის ცხოვრებას, ფსიქიკას. რევაზ მარგიანის მრავალფეროვანი პოეზია ამ ცოდნის დადასტურებაა.

საბავშვო ლიტერატურის ძირითადი ამოცანა მოზარდთა პატრიოტული აღზრდაა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ალეკო შენგელიას მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები უმთავრესად სამშობლოს თემას ეხება. მას აქვს პატარა მკითხველებისათვის მრავალი კარგი ლექსი, სადაც მშვენივრად არის აღწერილი საქართველოს ბუნება, ჩვენი ხალხის ცხოვრება, შრომა და ბრძოლა საყოველთაო ბედნიერებისათვის. მაგალითად, ავიღოთ „ნორჩი პატრიოტის სიმღერა", რომლის გმირი სავსებით იმსახურებს ქება-დიდებას, რადგან იგი ჭკვიანი ბავშვია, თუმცა ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე აქვს უნარი გამოხატოს თავისი გრძნობა და აღტაცება, დაინახოს ის, რაც დამახასიათებელია მისი სამშობლოსათვის.

რა გვახარებს ამ ლექსის კითხვისას? ნათელი განწყობილება, რომლის გამოხატვა ბავშვის ფსიქიკის ცოდნასა და დიდ ოსტატობას მოითხოვს.

ა. შენგელია ჭეშმარიტი შემოქმედია. ამას მოწმობს მისი მაღალიდეური, მაღალმხატვრული ლექსები, ხოლო ამგვარი ლექსების კითხვა ბავშვისათვის აუცილებელია. მათი წყალობით ყმაწვილი არა მარტო მუსიკალურ და ესთეტიკურ სიამოვნებას ღებულობს, არამედ ცოდნასაც იძენს. პოეტი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სანახაობა გადაშალოს ნორჩების წინაშე რათა გააფართოოს წარმოდგენა ცხოვრებაზე, სამყაროზე. „ანბანთ სიმღერაში" ყველა მოქმედი პირი კონკრეტული საქმით არის გატაცებული. თინა უბრალო მკერავი როდია, არამედ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, ღუტუ —კარგი დურგალი, პეტრე—ჩინებული მშენებელი, ზაზა—დაკვირვებული აგრონომი, რეზო—ქარხნის სული და გული. მაშასადამე, პოეტის აზრით, მთავარი ის კი არ არის, რა იცი, არამედ

მთავარია როგორ იცი, რამდენად გიყვარს შენი ხელობა. ქვეყნის ზრდა-განვითარება მხოლოდ ღრმა ცოდნასა და დაუღალავ შრომაზეა დამოკიდებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფრის ცოდნა ერთ კაცს არ შეუძლია. ასე რომ პროფესია, რომელსაც დაუფლებული ხარ, საჭირო და საპატიოა. ეს იდეა ანბანთქებაში თვალსაჩინოდ და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით არის გამოხატული.

დედის თემა ქართულ პოეზიაში სათანადოდ არის დამუშავებული. ამ ფაქტის ერთ-ერთი ილუსტრაციაა ალეკო შენგელიას „დედა", აქ პოეტი გველაპარაკება იმ იდუმალ და უხილავ ძაფებზე, რომლებიც გაბმულია დედასა და შვილს შორის. „თუ შენ სკოლას ასახელებ, სად იყო და სად არა, დედის გულის ხმა მოგწვდება, ჩემო კარგო, პატარავ!" პოეტი ხორცს ასხამს საკმაოდ ცნობილ აზრს. „არავინ არის დედაზე უფრო გულთამხილველი" და რომ „აღზრდის პირველ ხანებში ყველაზე მნიშვნელოვანია დედა, რადგან ზნეობრიობა ბავშვს უნდა შთაუნერგოს როგორც გრძნობა".

წიგნის მნიშვნელობაზე, მის ძალაზე საკმაოდ ბევრი რამ არის დაწერილი. შთამაგონებელია ა. შენგელიას ლექსიც „გიყვარდეს წიგნი". მასში მარჯვე და ცოცხალი სტრიქონებით გამოხატულია სასარგებლო რჩევა ჭაბუკებისა და ქალიშვილებისადმი, წიგნი, „მთელ ქვეყანას რომ გვიხატავს თვალწინ და გზას გვინათებს, როგორც ლამპარი", ცოდნის დაუშრეტელი წყაროა, ხოლო ცოდნა—კაცობრიობის განვითარების საფუძველი. ერთი სიტყვით, მგოსანი მოუწოდებს: გიყვარდეთ წიგნი, — მისი პატარა ჯარისკაცები — ანბანთ კრებული, თუ გსურთ ასახელოთ მშობელი მხარე, ნათლად გაერკვეთ ცხოვრების რთულ პროცესებში და განიმსჭვალოთ ყოველივე ადამიანურისადმი სიყვარულით.

ალეკოს შენგელიას გმირები მგრძნობიარე, მოსიყვარულე, გულისხმიერი ბავშვები არიან. ერთი მათგანია ლიანა, რომელიც ასე საოცრად განიცდის თავისი მტრედის ბედს; მტრედი დილაადრიან გაფრინდა და ჯერ კიდევ შინ არ დაბრუნებულა.

ნუთუ აღარ დაბრუნდება
ძეკლუცი და ღუღუნა,
იქნებ ქორი წინ გაღუდგა,
გული გადაუბრუნა?!

წუხს ლიანა და პატარა მკითხველები მას თანაუგრძნობენ. ხოლო, დაიმსახურო თანატოლების თანაგრძნობა, ეს იოლი როდია.

ალეკო შენგელიას პერსონაჟები ნორჩ მკითხველთა წრეში იმიტომ სარგებლობენ კარგი ავტორიტეტით, რომ ისინი მედიდურები და გულცივები არ არიან. რაც მთავარია, მათი მსჯელობა და ქცევა მათს ასაკს შეესაბამება. ასე რომ პოეტი კარგად იცნობს ბავშვთა სამყაროს. მისი ლექსების გმირები ჩვეულებრივი ბავშვები არიან და არა ,,ნორჩი პროფესორები'', დიდ ჭკუას რომ ჩემულობენ.

ლექსი ,,მერცხალი'' უშუალოა, ყოველი ბავშვი მასში თავისთავს ხედავს, ტიპობრივია და უშუალობის საუკეთესო ნიმუშია ,,წერილი მამას''. ეს ლექსი ომის წლებში დაიწერა და გამოქვეყნებისთანავე გახმაურდა. მისი სტრიქონები მკაფიოდ მეტყველებენ პოეტის შემოქმედებითი იდეების სიდიადეზე.

კითხულობთ იმედითა და მოლოდინით გამთბარი ბავშვის მიერ წარმოთქმულ ნაღვლიან სტრიქონებს, გმირობასა და თავდადებას რომ ნათელი შარავანდედით მოსავს, და ღრმად რწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს გულით დაწერილმა ლექსმა სამშობლოს.

ამბობენ, რომ ბავშვი თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ კარგ გრძნობებსა და მიდრეკილებებს, სწორედ ამ მიზნის ხორცშესხმას ემსახურება ა. შენგელიას თემატიკურად მრავალმხრივი ლექსები. ეს ლექსები მოწმობენ, რომ პოეტი ეროვნული ჩარჩოებით არ იზღუდება. ,,მგზავრობა მოსკოვის მეტროში'', ,,ორი მწყემსი'' და მისი სხვა მრავალი ნაწარმოები მნიშვნელოვნად ეხმარება საზოგადოებას ჩვენი ნორჩი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში.

სავსებით სწორია ის აზრი, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო უშუალო უნდა იყოს მისი ზნეობრივი აღზრდა. ამ პრინციპს მტკიცედ ემყარება ა. შენგელიას მოღვაწეობა საბავშვო ლიტერატურის სფეროში. ამას ადასტურებს მისი ზემოთ დასახელებული ლექსებიც, რომელთა სიუჟეტები ბუნებრივად ვითარდება და ბავშვი მათ თავისუფლად, ძალდაუტანებლად აღიქვამს.

ალეკო შენგელია კარგი მებადურიც არის და ნორჩი მება-

დურების გულითადი მეგობარიც. ამიტომაც ასე საინტერესო და დამაჯერებელია მისი ვრცელი ლექსი თუ ზღაპარი „კალმახის გადარჩენა". ალაპარაკებულ კალმახებს სხვა მწერლების ნაწარმოებებშიც შევხვედრივართ, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, ბადეში გახვეული თევზი ადამიანის ხმით რომ მეტყველებს, არამედ ხაზგასმულია ის სიბრალული, რასაც ნორჩი მებადური თავისი მსხვერპლის მიმართ იჩენს. მან თავისუფლება მიანიჭა დედა კალმახს და, როგორც ავტორი გვაუწყებს, გადარჩენილი კალმახი მებადურის ტრფობას ახლაც ატარებს. ნაწარმოები ბავშვში ჰუმანურობის გრძნობას აღრმავებს, ხოლო მისი ბოლო სტრიქონები ნორჩი თაობისადმი უდიდეს სიყვარულს გამოხატავს:

ვიდრე თევზი წყალში ცურავს,
აღმა-დაღმა დარბის, —
ყველა ნატვრა აგისრულდეთ,
და აგშორდეთ დარდი.

საბავშვო ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მეტი სინათლე, ღიმილი და სასიამოვნო ფერები. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ლექსები: „მაისის სიმღერა", „ზაფხულს ვაშა!", „გამარჯვება, სოფელო!" და სხვა.

საბავშვო მწერალი არა მარტო სიტყვაკაზმული ლიტერატურის დესპანია მოზარდებში, არამედ პედაგოგიც, მასაც აქვს მინდობილი ბავშვის შეგნების ჩამოყალიბება, ყოველმხრივი აღზრდა. ამ უძნელესი და საპატიო მისიის პირნათლად შესრულება ნიჭის გარდა გულისხმობს მოზარდთა ცხოვრების, სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნას, ხასიათზე, ქცევაზე დაკვირვების უნარს. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ნ. ჩაჩავას ნაწარმოებები, რომლებშიც პატარები ესოდენ ხმაურობენ, მოძრაობენ, ერთობიან, ერთმანეთს უმეგობრდებიან.

ბავშვი რომ საზოგადოებრივ ადამიანად, სრულქმნილ პიროვნებად აღიზარდოს, პატარობიდანვე უნდა მივაჩვიოთ შრომას. ამიტომ პოეტს ნაწარმოებების გმირებად ისეთი ბავშვები გამოჰყავს, რომლებიც სიბეჯითით და მისაბაძი ჩვევებით გამოირჩევიან („პატარა დურგალი", „წუთით არა მცალია", „ჩვენ ყველანი ვშრომობთ").

ნ. ჩაჩავა ხშირად მიმართავს დიდაქტიკას. მაგრამ იგი გა-

შიშვლებული როდია, რაც მთავარია, მისი რჩევა-დარიგებანი გამოთქმულია გრძნობით და შთაგონებით. მხედველობაში გვაქვს ლექსი „ხეა ჩვენი მეგობარი", რომლის იდეა პატარებს ბუნების სიყვარულითა და პატრიოტული სულისკვეთებით მსჭვალავს.

ბავშვისათვის დამახასიათებელია სიკეთისაკენ მისწრაფება. საბავშვო მწერლის მოვალეობაა გააღრმავოს კეთილშობილური გრძნობა, მუდმივ თვისებად და წესად აქციოს საუკეთესო შინაგანი მიდრეკილება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ლექსები „დავაპუროთ, ჩიტები", „მოფრინდნენ მერცხლები", „მოდი, ბაჭიავ!", „პეპლები", მათი პერსონაჟები ბუნების უმანკო შვილებისადმი სიყვარულსა და ზრუნვას გამოხატავენ.

ბავშვი ხელმეორედ არ დაუბრუნდება ნაწარმოებს, თუ მან პირველი წაკითხვისთანავე არ მოიწონა სიუჟეტი. ამიტომ მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი თხზულება არ უნდა იყოს გადატვირთული სამკაულებით, საჭიროა მოვერიდოთ ისეთ წვრილმანებს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ ძირითად იდეასთან. ამ მხრივ საყვედური არ ითქმის ნ. ჩაჩავას მიმართ. იგი სადად და მარტივად წერს, მისი ნაწარმოებების აზრს მცირეწლოვანი მკითხველი ადვილად წვდება. ასეთია თუნდაც „ჯერ გაკვეთილს მოვრჩები", რომელიც ნორჩს ეხმარება ნებისყოფის გამოწრთობაში.

უსასრულოდ მრავალფეროვან ბუნებაში საოცარი ჰარმონიაა, მასში მოვლენები ვითარდება მკაცრი თანმიმდევრობით. ეს უნდა იცოდეს პატარამ, ბავშვს წარმოდგენა უნდა შევუქმნათ ბუნებაში არსებულ კანონზომიერებაზე. ამ თემას ეხება ლექსები „გაზაფხულია", „პაწაწინა ბალახი", რომლებშიც ჰვრეტის ფორმით წარმოსახულია ბუნების გაღვიძებისა და განახლების პროცესი. აბა მოვუსმინოთ მარცვალს, რომელიც თავის წიაღში ატარებს სიცოცხლის ძალას:

კარგად გამოვიზამთრე,
ჩემთვის ტკბილად მეძინა,
თავზეც მიწა მეხურა,
გვერდზეც მიწა მეფინა.
როცა გამოზაფხულდა,
მიწა გათბა, გახურდა,
ამოვყავი წვერი,
ზევით ამოვძვერი.

ნ. ჩაჩავას პეიზაჟური ლირიკა ბუნების შესწავლის ინტერესს აღრმავებს და აძლიერებს.

საბავშვო მწერლის ხელოვნება ის არის, რომ ნაწარმოებში განავითაროს აღზრდის თემა. ნ. ჩაჩავა წარმატებით წყვეტს ამ ამოცანას. კითხულობთ მის ლექსებს და თქვენს წინაშე დგებიან ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით დაჯილდოებული ცოცხალი სახეები. პოეტის ნაწარმოებთა გმირები ნორჩები არიან და ამიტომაც ბავშვურად ლაპარაკობენ, თავიანთი ბუნების შესაბამისად მეტყველებენ, დაუდგრომელი კილო დამახასიათებელია ამ ნაწარმოებებისათვის. ამიტომაც იმსახურებენ ისინი ყურადღებას.

მხატვრული საბავშვო ლიტერატურა მოზარდის გულსა და გონებას ასაზრდოებს, უვითარებს კეთილ თვისებებს, კარგ გემოვნებას, სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო თანამედროვე ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზია, რომელსაც ახასიათებს იდეური სიღრმე და ფსიქოლოგიური სიმართლე, ოპტიმიზმი, სისადავე, ბუნებრიობა, მშვიდი და უწყინარი იუმორი, სიუჟეტებისა და გამომსახველობითი ხერხების სიმარტივე და მრავალფეროვნება. ამიტომ ამბობდა გამოჩენილი მწერალი აგნია ბარტო, ქართველ ბავშვებს კარგი პოეტები ჰყავთო. მათ რიცხვს უთუოდ ეკუთვნის თ. ჯანგულაშვილი, რომლის ნაწარმოებები ყურადღებას იპყრობენ ფერადოვნებით, ცოცხალი ინტონაციებითა და სინათლის სიუხვით.

თ. ჯანგულაშვილი დიდი სამამულო ომის დღეებში ბრძოლის ველზე შეხვდა ცამეტი წლის ყმაწვილს, რომელმაც სერიოზული სამხედრო დავალება შეასრულა. სწორედ ამან შთააგონა ლექსი ,,სიმღერა ყელსახვევიან ბიჭუნაზე''. ასევე რეალური პიროვნებაა პერსონაჟი ლექსისა ,,მთიელი ბიჭის ამბავი''. მან განიცადა ომის მთელი საშინელება, მაგრამ გენერალმა ლესელიძემ გაუწია მამობრივი მზრუნველობა და დღეს უკვე საბჭოთა არმიის ოფიცერია. ლექსი ,,ზოია კოსმოდემიანსკაია'' მიეკუთვნება იმ ნაწარმოებთა ჯგუფს, რომელთა პერსონაჟები ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის მაგალითს იძლევიან. დოკუმენტურია პოემაც ,,რუკასთან'', რომელშიც მოთხრობილია ავტორის ქარცეცხლიან გზაზე. პატარა მკითხველები

ფეხდაფეხ მიჰყვებიან სინამდვილეს და გმირული სულით, მშობლიური მიწის სიყვარულით იმსჭვალებიან. სწორედ ამასთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება: ნორჩებზე დოკუმენტური ამბავი, მოთხრობა რეალურ ადამიანებზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს. ჩვენი ლიტერატურა იცნობს ამ ხასიათის არაერთ კარგ ნაწარმოებს, მაგრამ ქართველი მწერლების ვალია სრულად დააკმაყოფილოს მკითხველთა მზარდი მისწრაფება.

ლექსი ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი მოქმედების, ჩვევების სურათი და დახასიათებაა. თ. ჯანგულაშვილის ბევრი ნაწარმოების („რთველი", „მოდის ახალი პური" „ამბავი ივრის ტალღისა", „ახალი წელი ახალ სამგორში") ფაბულა იშლება და ვითარდება ომისშემდგომ მოვლენათა ფონზე, მათში მკაფიოდ ისმის ბუნებაზე გამარჯვებული იმ ადამიანების ხმა, ბრძოლის იარაღი შრომის იარაღზე რომ შეუცვლიათ. ცხოვრება მაშინ არის ბედნიერი და ხალისიანი, როცა ადამიანი შრომობს, იღწვის, ქმნის. ამ ჭეშმარიტებაში ავტორი ბავშვებს ცოცხალი, ხატოვანი სურათებით არწმუნებს.

თ. ჯანგულაშვილის პოეზიაში ყველაზე დიდი ადგილი მეგობრობის თემას უჭირავს. სამშობლოს, ხალხის სიყვარული ასაზრდოებს მეგობრობის გრძნობას. ეს აზრი ნათელ ზოლად გასდევს ლექსებს: „ბარათი მოსკოველ პიონერებს", „საოქტომბრო ბარათი კიეველ მეგობრებს". მათში რუსი, უკრაინელი და ქართველი ბავშვების ტრადიციული მეგობრობა წმინდა და ამაღლებულია. როდესაც კითხულობთ ძმობის შუქით განათებულ ჯანგულაშვილის ლექსებს, ხედავთ იმ გარემოსაც, რომელშიც ხდება ძლიერი სულისკვეთებისა და ნათელი თვისებების მქონე მოქალაქის აღზრდა.

ლექსმა ბავშვში უნდა აღძრას ჯანსაღი ოცნებები და მისწრაფებანი, დააგმობინოს ცუდი ჩვევები. პატარა შოთა („შოთა ბიჭი") გმირობაზე ოცნებობს და ნაწარმოებში კარგად ჩანს, რომ მიზანს მიაღწევს. მიზანს მიაღწევს „მეზღვაურის ვაჟიშვილის" მთავარი პერსონაჟიც, რადგან მისი მეზღვაურად გახდომის სურვილი უბრალო სწრაფვა როდია, შინაგანი მოთხოვნილებაა. სულ სხვა ბუნებისაა პოემის „შაქ-

როს“ მთავარი პერსონაჟი. მისი ქცევა ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება, მაგრამ მოზარდში ჩანს კეთილი საწყისები, რაც უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს. აი, ეს არის სწორედ საბავშვო პოეზიის ამოცანაც.

ხასიათი აღზრდაში წარმოიქმნება და თანდათან ყალიბდება. ამ კეთილშობილ საქმეში ლექსს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს, ამიტომ პატარებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებს ყველაზე უფრო მეტად მოეთხოვება სისადავე და ბუნებრიობა, რაც დიდაქტიკასთან თავშეკავებულად, გონივრულად უნდა იყოს შეზავებული. ბავშვს უძნელდება აღიქვას რთული მეტაფორები და მხატვრული სახეები. ჯანგულაშვილის ნაწარმოებებში საგნები თუ მოვლენები აღწერილია გასაგებად და სხარტად, გააზრებულად. ამ მხრივ საყურადღებოა მისი პეიზაჟური ლირიკაც („ნაკადული“, „ენძელა“, „ტყის დღე“, „გაზაფხული დადგა თბილი“, „შემოდგომის დილა სოფლად“). ეს ლექსები ყრმას უფრო აახლოებს ბუნებასთან, აღრმავებს მასში მშობლიური გარემოს სიყვარულს. ბავშვმა თავიდანვე უნდა იცოდეს ბუნების მოვლა-პატრონობა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სიცოცხლის წყარო, მძლავრად ჩქეფდეს. ამ მიზანს ემსახურება ლექსი „ტყის დღე“, რომელშიც ტყის მშვენიერებაზე ასე წარმტაცად და დამაჯერებლად არის მოთხრობილი. აღსანიშნავია, რომ პოეტის პეიზაჟურ ლირიკაში მთავარი ადგილი ადამიანს უჭირავს. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ქმნიან ერთ მთლიან უაღრესად ხალისიან სურათს.

კიდევ ერთი: ნორჩს ვერ მივაწოდებთ საშინელ და უბედურ შემთხვევებზე აგებულ ნაწარმოებებს, რადგან მათს სათუთ სულზე ასეთი თხზულებები მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ და არასასურველ ასოციაციებს იწვევენ. სწორედ ამით აიხსნება, რომ თ. ჯანგულაშვილის სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები ესოდენ ხალისიანი სიუჟეტებისაგან შედგება („მზია მასწავლებელი“, „მზე და მზია“, „ტარიელის თვითმფრინავი“ და სხვა).

II

მხატვრული საბავშვო ლიტერატურა მოზარდ თაობას კეთილ თვისებებს, გემოვნებას უვითარებს, ასაზრდოებს მის გულსა

და გონებას. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო თანამედროვე ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზია, რომელსაც ახასიათებს იდეური სიღრმე და ფსიქოლოგიური სიმართლე, ოპტიმიზმი, ბუნებრიობა, მშვიდი და უწყინარი იუმორი, სიუჟეტებისა და გამომსახველობითი ხერხების სიმარტივე და მრავალფეროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალი აგნია ბარტო ამბობს, ქართველ ბავშვებს კარგი პოეტები ჰყავთო. მას საბავშვო პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიაჩნია მარიჯანის „ბელურეიბს კვება". „ამ ლექსში,—წერს გამოჩენილი რუსი მწერალი,—იგრძნობა ეროვნული კოლორიტი. რამდენი რამ არის ნათქვამი ათიოდე სტრიქონში! ნათქვამია საბავშვოდ, მშვენივრად".

მაინც რა არის ნათქვამი ასე კარგად ათიოდე სტრიქონში?

პატარა ნელი სათნო და ქველმოქმედი ბავშვია, მას გული სტკივა მშიერ ბელურებს რომ ხედავს, გადაწყვეტს მათს დაპურებას. იგი თითქმის ყოველდღე ჩიტების გამოკვებით არის გართული. ნელის ეს საქმე დიდ სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებს, ხოლო ნორჩ მკითხველში ადამიანურ გრძნობებს აღვივებს, სიკეთის სურვილს ბადებს.

მარიჯანის პოეზიას მკაფიო, მიზანდასახულ შინაარსთან ერთად, ახასიათებს სისადავე, სურათოვნება, ზომიერების გრძნობა, ფსიქოლოგიური სიმართლე. სწორედ ამ იდეურ-მხატვრული ღირებულებით მოიპოვა მარიჯანის ნაწარმოებებმა ფართო პოპულარობა ნორჩ მკითხველთა შორის.

მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატმა ილო მოსაშვილმა დიდი ამაგი დასდო საბავშვო ლიტერატურასაც. იგი დაჯილდოებული იყო ბუნებისა და ცხოვრების პლასტიკური ხილვის ნიჭით. ამიტომაც ბავშვები ადვილად აღიქვამენ მის პოემებს, რომელთა მთავარ თემას შეადგენს ბუნება, გარეულ და შინაურ ცხოველთა სამყარო, რაც ესოდენ იზიდავს და აინტერესებს ბავშვებს. ამ ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებს პოეტის სადა და ლაღი თხრობა; ამ მხრივ უსათუოდ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემები „კიკნას თავგადასავალი", „როზგა ჩაფარი", „სამი მონადირე", „უცნაური ცხოველი", „ერთად", მოთხრობა „თოლია".

ბავშვს საოცრად იზიდავს ხიფათიანი და სათავგადასავლო

ამბები, ილო მოსაშვილის საბავშვო პოეზიაში კი მთავარი ადგილი სწორედ ასეთ სიუჟეტებს აქვს დათმობილი; ამ სიუჟეტებში პოეტი ორგანულად აქსოვს აღმზრდელობითს მოტივებსა და მოქალაქეობრივ იდეალებს.

ნორჩ მკითხველებში პოპულარობით სარგებლობს პოემა „როზგა ჩაფარი". აქ ბოროტების დათრგუნვა გროტესკული ხერხით ხდება. მხატვრული თვალსაზრისით როზგა ჩაფარი ორიგინალური, იუმორით დახატული სახეა.

ილო მოსაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცოცხალ მხატვრულ მეტყველებას, როგორც მოზარდის ლექსიკის გამდიდრების, ენის გაფაქიზებისა და მისი მუსიკალობის განვითარება-დახვეწის მძლავრ საშუალებას. პოემები ბავშვებს რითმისა და რიტმის გრძნობას უვითარებს, პოეზიის სიყვარულს უღვივებს.

ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არნო ონელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლა-აღზრდის საკითხს. პოეტმა შესანიშნავად იცის, რომ „სკოლის საკითხი — ეს არის ჩვენი შემდგომი წინსვლის საკითხი". სწავლა-აღზრდის თემაზე დაწერილი ლექსები მეტყველებენ, რომ სკოლის გავლენა ბავშვის ფსიქიკაზე მწერალს კარგად აქვს შესწავლილი.

საბავშვო ნაწარმოები, რომელიც მტკიცედ არ არის დაკავშირებული პედაგოგიურ იდეებთან, სრულყოფილ ქმნილებად არ ჩაითვლება. არნო ონელის ლექსები ამ პრინციპზეა აგებული. ამ მხრივ სამაგალითოა ლექსი „თქვენ რას იტყვით?", რომელშიც ხასიათების დაპირისპირების ხერხია გამოყენებული. ეს ხერხი უსათუოდ მოსაწონია, თუ იგი მხატვრულად სწორად არის განვითარებული. „თქვენ რას იტყვით?" კი ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

პოეტი ყურადღებით ადევნებს თვალს ბავშვის ქცევას სკოლის გარეთაც. მას არ აკმაყოფილებს გელას ხუთოსნობა („სკოლაში და სკოლის გარეთ"), რადგან სკოლის გარეთ მოზარდი ცუდად იქცევა, „ერთნაირად კარგი ვიყოთ სკოლაში და სკოლის გარეთ", — აი, ავტორის დევიზი.

ლექსში ეფექტს ცალკეული სიტყვები, ფრაზა, პასაჟი კი არ ქმნის, არამედ ნათელი აზრი, იდეა, რომელიც ორგანულად უკავშირდება ლექსის საერთო წყობას. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო არნო ონელის პოეზია.

დავით გაჩეჩილაძე ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, მისი ,,ძახილი უკვდავებისა'', ,,სალამური'', ,,კრწანისი'' და სხვა ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ნაწარმოებებია. მათში დახატულია ეროვნული ცხოვრების კოლორიტი და სული. დავით გაჩეჩილაძის პოეზიის მიმართ ინტერესს დიდად აცხოველებს ლაკონური და დამაფიქრებელი ქვეტექსტები. პოეტს დიდი წარმატება ხვდა წილად აგრეთვე საბავშვო პოეზიაში. მისი პრემირებული პოემა ,,ტყუილს მოკლე ფეხები აქვს'' ნორჩ მკითხველთა შორის პოპულარულია.

პოემა ადამიანის მორალური კეთილშობილებისა და მისი ზნეობრივი აღზრდის პრობლემას ეხება. იგი მკითხველს შთააგონებს არ იცრუოს და მუდამ წმინდად ემსახურებოდეს სიმართლეს, აფასებდეს და ფაქიზად ეპყრობოდეს ადამიანებს, ასეთივე თემას ეხება პოემები ,,ფისო და ფასო'', ,,ვაშა, ვაშა, ბიჭო ლაშა'', ,,ბრიყვი მგელი''. მათში პოეტი გმობს უზნეობას, მედიდურობას, ყოყოჩობას, ტრაბახს — ყველა იმ უარყოფით თვისებებს, რომლებიც ადამიანს ამახინჯებს.

ცნობილი კომედიის ,,ჭრიჭინას'' ავტორს მ. ბარათაშვილს კარგად იცნობენ ნორჩი მკითხველებიც. მან ბავშვებზე და ბავშვებისათვის ბევრი კარგი ნაწარმოები შექმნა.

კარგი ლექსის წაკითხვა სასიამოვნოც არის და სასარგებლოც. იქ ვხედავთ ცოცხალ მხატვრულ სახეებს, ამბავი ბუნებრივად იშლება და ვითარდება. (მხედველობაში გვაქვს ,,ცისანას ოცნება'', ,,ბურთი'', „ნანული", „თინა და ჭიანჭველები" და სხვა). მ. ბარათაშვილის ნაწარმოებებში ნორჩი მკითხველები თავიანთ ტოლ-მეგობრებს ხედავენ, გრძნობენ მათს განწყობილებას, ხასიათს, მისწრაფებებს, სიხარულს.

პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭი-

რავს პოემა „ყაჩაღანას“, რომლის მთავარი პერსონაჟი დაუდგრომელი, მოუსვენარი ბავშვია. ყაჩაღანას რომ ღრმადვე განეცადა თავისი საქციელის შედეგი, პატარები მას სასტიკად გაკიცხავდნენ, მაგრამ დღეს ის მათი საუკეთესო მეგობარია, მისი ალალი და კეთილი ბუნება მკვეთრად გამოჩნდა ნაწარმოების ფინალში.

ბავშვი რთული მოვლენაა. იქ, სადაც მას თანაგრძნობა სჭირდება, ფუჭია მშრალი დარიგება და შეგონება. ეს კარგად იცის პოეტმა, რომლის ნაწარმოებებში არეკლილია მოზარდი თაობის დღევანდელი ბედნიერი ყოფა: ერთი სიტყვით, მარიკა ბარათაშვილის გმირები მის იდეალს შეესაბამებიან, ხოლო ეს იდეალი ცხოვრებას მოწყვეტილი როდია.

იოსებ ნონეშვილმა ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლისთანავე სამართლიანად მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.

რით დაიმსახურა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტმა მრავალრიცხოვანი მკითხველის ესოდენი პატივი?

ლექსმა უპირველეს ყოვლისა სმენა უნდა დაატყვევოს. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი იდეურად და მხატვრულად ნათელი და სრულქმნილია, ხოლო მშვენიერი ბგერები ერთმანეთს საამოდ ეხმარებიან; სწორედ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი იოსებ ნონეშვილის ლექსები, მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი ექსპრესულობა, ტემპი და სინატიფე, აზრის ლამაზად და მარჯვედ გამოხატვა, ჰარმონიულობის გრძნობა, მუსიკალობა, ფერწერის ელემენტების სიუხვე მისი საბავშვო პოეზიის ნიშან - თვისებებიც არის. ბევრი მისი ლექსი შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოში და ზეპირად იციან ბავშვებმა.

როდესაც კითხულობთ ლექსს ,,ბავშვები და შემოდგომა''. ღრმად რწმუნდებით პოეტის ფერწერულ ნიჭში. ნაწარმოების ძირითადი თემის დამუშავებას ხელს უწყობს მოქმედების ადგილის შესანიშნავი აღწერა, რომელსაც ხასხასა ფერებით გვიხატავს. საერთოდ, იოსებ ნონეშვილის ლექსებში ფერები ყოველთვის ეხმება თემის საერთო ხასიათს.

პოეტი უფლებამოსილია ჩაერიოს ბავშვის ცხოვრებაში, გაკიცხოს ან შეაქოს მისი ქცევა. მაგრამ ეს როდია იოსებ ნონეშვილის მთავარი ამოცანა. მისი მიზანია თანამედროვე ცხოვრების პათოსით აავსოს ნორჩები. სწორედ ამ საქმეს ემსახურება ლექსები: „ბაღნარი", „ინჟინერი", „ხარაჩოები" „მფრინავები", „მზემ წითლად ამოანათა", „უსაზღვროა და ცისფერი", „ვარდებს გვაყრის გაზაფხული", „გამარჯვების დიდი დროშა" და სხვა.

ბავშვს აქვს საგნებისა და მოვლენების შეგრძნობის დიდი უნარი. საჭიროა მხოლოდ მასალას ისეთი ფორმა მიეცეს, რომელიც არ დაამძიმებს მოზარდის გონებასა და ამავე დროს მას ცოდნით გაამდიდრებს. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო იოსებ ნონეშვილის პოეზია, რომელიც აღსავსეა ნათელი ფერებით, მზის სხივებით, სიხარულისა და ბედნიერების შუქით.

იოსებ ნონეშვილი ჭეშმარიტი ლირიკოსია, მისი ლირიზმი გამომდინარეობს პოეტის ღრმა შემოქმედებითი ბუნებიდან. ეს ნათლად იგრძნობა იმ ლექსებშიც, რომელიც პოეტმა პატარებს უძღვნა.

თანამედროვე პოემის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ოთარ ჭელიძეს. მან შექმნა რთული კომპოზიციის, დრამატიზმით აღსავსე რამდენიმე პოემა („ჩემი მაგნიტური არე", „ამირანმთა" და სხვ.) ამ ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მოქმედების მძაფრი გაშლა, დარბაისლური კილო, მონუმენტური სტილი. მათში მკვეთრად გამოვლინდა ის სიახლეც, რაც საერთოდ პოეტმა ქართულ ლექსთაწყობაში მოიტანა.

ოთარ ჭელიძე პოემებს ბავშვებისთვისაც წერს. მისი „ალხანა და ჩალხანა" კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

„ალხანა და ჩალხანა" სათავგადასავლო სიუჟეტიანი ნაწარმოებია, მაგრამ მასში ამბავი პერსონაჟებს როდი ჩრდილავს. ამბის თხრობის პარალელურად ხორცს ისხამს და სრულყოფი-

ლი ხდება გმირის სახე და იგი ღრმად იჭრება მკითხველის მეხსიერებაში, ცუღლუტი და ცელქი ყმაწვილები, რომლებიც თავისი ბუნებით კეთილნი არიან, თავიდანვე ინტერესს იწვევენ და როცა დადუღდებიან — მისაბაძ გმირებად იქცევიან. ერთი სიტყვით, მწერლისათვის მთავარია ხასიათების გამოძერწვა, ფსიქოლოგია და არა თავგადასავალი. სწორედ ამან განაპირობა პოემის წარმატება.

ოთარ ჭელიძე მძაფრი სიუჟეტების ოსტატია, მისი საბავშვო პოემებიც დაძაბული რიტმით იქცევს ყურადღებას („ლეგენდარული ჩანთა", „განსაცდელი", „თანდილა" და სხვა). პოეტმა ტოლიას სახით შექმნა სამშობლოსათვის თავდადებული, მტრის ზიზღით გამსჭვალული დაუვიწყარი მხატვრული სახე. თანდილაც უშიშარი და გამბედავია. საერთოდ, დასახელებული ნაწარმოებების პერსონაჟები, ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭები, გვხიბლავენ სიწმინდით, გმირობით და კეთილშობილებით, მათი მოქმედება კანონზომიერი შედეგია მათივე შინაგანი ბუნებისა. ამიტომაც პირველი შეხვედრისთანავე შთაბეჭდილებას და ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე.

ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია, ნათელი, იდეური, მართალი და ბუნებრივია. მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების ღირსებაც სწორედ ის არის, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ეს ნიშანთვისებები აქვს. ამიტომ არის, რომ მისმა ლექსებმა სწრაფად მოიპოვეს საყოველთაო აღიარება. ეს ითქმის პოეტის საბავშვო ლექსებზეც, სადაც იგი ნორჩი მკითხველის ინტერესის დიდ ცოდნას ამჟღავნებს.

ხასიათი ბავშვობის პერიოდში ყალიბდება. ამიტომ საბავშვო მწერალმა ნორჩ მკითხველს უნდა მიაწოდოს გამამხნევებელი და გამახალისებელი ნაწარმოებები, რომლებიც გააღვიძებს სიკეთის გრძნობას, კეთილ მიდრეკილებებს. მ. მაჭავარიანის საბავშვო ლექსებში „წკრიალებენ ტოროლანი, მხიარულობს წყარო, შრიალებენ ვერხვის, ცაცხვის, მუხის ხეები... ერთი სიტყვით, ყველაფერი ხარობს". პოეტის ლექსების კითხვისას განვიცდით თვალგახელილი ყაყაჩოებისა და ამწვანებული ვარდების სილამაზეს, აფეთქებული ნუშის ხეების მშვე-

ნიერებას, გვესმის კუდმაკრატელა ჩიტუნების სასიამოვნო ყღურტული და ვგრძნობთ იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვებს გალვიძებული ბუნება ანიჭებს.

მუხრან მაჭავარიანის პერსონაჟები იმიტომ უყვართ ნორჩ მკითხველებს, რომ ისინი უშუალონი, გულწრფელნი არიან, ერთმანეთს თანაუგრძნობენ („მზექალა და თინა"), უფროსებს პატივს სცემენ („პატარა ქალიშვილი"), უყვართ სკოლა, მასწავლებელი, შრომა („ყმაწვილი"). პოეტის მიერ დახატული ის გარემო, რომელშიც ბავშვები იზრდებიან, სიცოცხლით სავსე და ხალისიანია.

საბავშვო პოეზიაში ნაყოფიერად მუშაობს გივი ჭიჭინაძე. მან უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა. ერთ-ერთი მათგანია „ჭინჭველა წრიპას გმირული თავგადასავალი", რომლის მთავარი პერსონაჟი — ჭინჭველა წრიპა განსაკუთრებით მოსწონთ ბავშვებს. ეს სავსებით გასაგებია. წრიპა რაინდია, ყველასათვის სიკეთე სურს. სხვების ბედნიერებისათვის სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილს თავი ვაჟკაცურად უჭირავს. თავისი ამ ვაჟკაცობით ფუტკართა დედოფლის გული მოინადირა და უმკაცრეს სასჯელს გადაურჩა. წრიპას გმირობა და რაინდობა მკითხველს სიხარულს ანიჭებს და მეგობრისათვის თავდადებას შთააგონებს.

გივი ჭიჭინაძის პოეზიის სიკეთე ამბის ნათელ და ძალდაუტანებელ თხრობაშია. იგი ბავშვებისათვის პოულობს საინტერესო თემებს და სახეებს და ძალიან უშუალოდ ძერწავს მათ (,,ბაბთები'', ,,რთველი'', ,,შემოდგომა'' და სხვა).

ნაზი კილასონია ნათელი აზრის პოეტია. მისი ლექსები გამჭვირვალეა. გამსჭვალულია შთამაგონებელი იდეებით, კეთილი გრძნობებით. პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა, სიმამაცე, ზნეობრივი სიწმინდე — აი მისი ნაწარმოებების შინაარსის მთავარი მოტივი.

ავახმიანოთ დაფი, ნალარა,
დილაადრიან, დილაადრიან,

ლენინის ძეგლთან თავი დავხაროთ
და ფიცი მივცეთ მშობელ პარტიას:
რომ სანამ ფეთქავს ჩვენი გულები,
და სანამა სცემს ჩვენი მაჯები,
სამშობლოვ, შენთვის დავირაზმებით
მამულო, შენთვის გავისარჯებით,
რათა ავწიოთ მაღლა თაღები,
ავაშრიალოთ ქვეყნად ბაღნარი,
შენთვის ვიზრდებით,
შენთვის ვმაღლდებით
და მტრედებივით თავზე დაგხარით...

ნაზი კილასონიას საბავშვო პოეზიის ხასიათის გასაგებად ეს ლექსიც („მაისის მზეო") კმარა. ამასთან ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პოეტის შემოქმედება თემატიკურად მრავალფეროვანია, იგი ჩინებულად ასახავს საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვთა ცხოვრებას სკოლასა და სკოლის გარეთ.

ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები ბავშვს მშვენიერ იდეებს უნერგავს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას ასწავლის. სწორედ ასეთებია „დედამიწის ქალი", „პავლიკ მოროზოვი," „პირველი დროშები".

ნაზი კილასონია კარგად გრძნობს თანამედროვე ცხოვრების სიდიადეს, საქართველოს პეიზაჟს. პოეტი თავის გმირებს წარმოგვიდგენს ჰარმონიით აღსავსე ცხოვრებისა და ბუნების ფონზე.

მეტად საინტერესო და თავისებური პოეტია ზურაბ ლორთქიფანიძე, მისი პოეტური სამყარო გიზიდავთ იშვიათი უშუალობითა და ლირიზმით. ეს ღირსებანი ერთგვარად აისახა მის საბავშვო ნაწარმოებებშიც. პოეტის საბავშვო პოეზიის პერსონაჟები წარმოდგენილი არიან ასაკის შესაფერისი ქცევებით, მოქმედებით, ფიქრისა და შეგრძნების საკუთარი მანერით. ეს გარემოება—ბავშვის ცხოვრების მართალი და ბუნებრივი ჩვენება —იწვევს ნორჩთა ინტერესს პოეტის ნაწარმოებებისადმი, რომელთა გმირები ხასიათით და ჩვევებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ერთი ნიავივით ჩქარია, მეორე — მშვიდია, დინჯი („ლეილა და ლამარა"), მესამე — მკვეხარა („მკვეხარა ამირანი"), ან გულადი, ენერგიული, ბეჯითი, ცელქი,

მოუსვენარი („მერაბის ველოსიპედი“, „ცელქი გოგი“, „არავინ აწყენინოს“). ამ ნაწარმოებებში მკაფიოდ მოჩანს ავტორის უნარი დამაჯერებლად დახატოს რეალური სახეები, ბავშვის უშუალო ცხოვრება.

გივი ძნელაძის შთაგონების წყარო ბუნებაა—მზე და ყვავილები. თითქმის ყველა მისი საბავშვო ლექსი გაზაფხულის საგალობელია, ბუნებაში პოულობს ფერთა და სახეთა სიუხვეს და ბავშვებისათვის საინტერესო და სახალისო თემებს:

მაისის დღეა,
მზე თამაშობს დედამიწასთან...
ბაღში ბავშვები
მზეს ხატავენ ხეების ჩრდილზე;
ხენი კი დგანან და ნელ-ნელა
მიდიან ცისკენ...

საბავშვო მწერლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ბავშვის აზროვნების განვითარებაა. ამ მიზანს ემსახურება უდავოდ ნიჭიერი საბავშვო მწერლის გიორგი წერეთლის გამოცანები, თვითეული მათგანი შეიცავს დასრულებულ ლექსს და ხელს უწყობს ბავშვის გონების გაღრმავებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პატარებს საოცრად უყვართ ეს ჟანრი. ამიტომ სასურველია პოეტმა ამ დარგში განაგრძოს მუშაობა, ახალი ნაწარმოებებით გაამდიდროს თავისი გამოცანების წიგნი, გაართულოს მათი სიუჟეტები, რათა ბავშვმა დიდხანს იფიქროს. ხოლო თუ დიდხანს ფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, იცოდე, რა უნდა გააკეთო და რა არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნინო ნაკაშიძე 3
იოსებ გრიშაშვილი 16
ლეო ქიაჩელი 31
ანა ხახუტაშვილი 41
გიორგი ქუჩიშვილი 57
მარიამ ალექსიძე 75
ილია სიხარულიძე 85
გიორგი ნახუცრიშვილი 94
მაყვალა მრევლიშვილი 106
ქართველ პოეტთა დიდი წვლილი 117

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Владимир Антонович Джибути
СОВРЕМЕННЫЕ ГРУЗИНСКИЕ ДЕТСКИЕ ПИСАТЕЛИ
(На грузинском языке)
Художник К. Тевзадзе
Детюниздат Грузинской ССР
„Накадули", Тбилиси 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ი. კიკნაძე;
მხატვარი ა. თევზაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექრედაქტორი ნ. შველიძე
კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი მ. ლაღაძე
გამომშვები ნ. ნიჟარაძე

გადაეცა წარმოებას 3/X-73 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 11/I - 74 წ. ანაწყობის ზომა 5 5×8³/₄
ქაღალდის ზომა 60×84, ნაბეჭდი თაბახი 9,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,79
ტირაჟი 3 000 უე 00326 შეკვ. № 1200
ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის № 34 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის სტამბა
კამოს ქ. № 68.

Типография Тбилисского профтехнического
училища № 34, ул. Камо № 68.